ჟურნალ „არტანუჯის“ ბიბლიოთეკა

ნიკო ჯავახიშვილი

ქართული ფალერისტიკა
(ჯილდოთმცოდნეობა)

თბილისი
1995

ნაშრომი წარმოადგენს პირველ მონოგრაფიულ გამოკვლევას, რომელშიც შესწავლილია ქართული ფალერისტიკის (ჯილდოთმცოდნეობის) საკითხები. სათანადო მასალებზე დაყრდნობით დასაბუთებულია, რომ ქართველებს გაგვაჩნია საკუთარი წარჩინების ნიშნების გარკვეული ტრადიცია. ამასთანავე, დადგენილია, რომ XVIII საუკუნის მიწურულიდან მოყოლებული, საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ, არაერთხელ ჰქონდა ადგილი ქართულ ჯილდოთა დაწესების ცდას.

ეროვნული ჯილდოთმცოდნეობის ძირითად საკითხებთან ერთად მონოგრაფიაში განხილულია ქართულ ფალერისტიკასთან დაკავშირებული ზოგიერთი პრობლემაც.

რედაქტორი
აკადემიკოსი როინ მეტრეველი

რეცენზენტები:
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი გიორგი დუნდუა;

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი,
პროფესორი ნოდარ შოშიაშვილი;

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
გოჩა ჯაფარიძე;

ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი
ვაჟა ლორთქიფანიძე.

წიგნის მთელი ჰონორარი მოხმარდება ავტორის
მეორე ნაშრომის („ქართული გონისტიკა“) გამოცემას.

НИКО ДЖАВАХИШВИЛИ

ГРУЗИНСКАЯ ФАЛЕРИСТИКА
(Очерки из истории грузинских наград)

Труд представляет собой первое монографическое исследование, в котором изучены вопросы грузинской фалеристики. На основе соответствующих материалов установленно, что грузинский народ имеет определенную традицию собственных знаков отличия. При этом указанно, что начиная с конца XVIII века в Грузии и за ее пределами не раз имели место попытки учредить грузинские награды.

Вместе с коренными вопросами в книге рассмотрены некоторые детали, которые боле или менее связаны с историей грузинской фалеристики.

NIKO JAVAKHISHVILI

GEORGIAN FALERISTICS
(Outlines from the Georgian rewards history)

The work represents the first monographic research, where the questions of Georgian rewards history are studied. On the basis of certain resourses it is proved that the Georgians have its own tradition of rewarding. At the same time it points out, that since the end of the XVIII century there were several effords to establish Georgian awards in Georgia and abroad as well.

Alongside with the fundamental questions the certain details more or less associated with the Georgian rewards history are considered.

შინაარსი

წინათქმა 5

შესავალი 6

პირველი თავი

ქართულ ჯილდოთა პირველი პროექტი და საქართველოსთან დაკავშირებით მოპრილი უცხოური მედლები

1. ქართულ ჯილდოთა დაწესების იოანე ბაგრატიონისეული კონცეფცია 11
2. ერეკლე მეორის ხოტბა გერმანულ მედალზე: მითი თუ რეალობა? 15
3. საქართველოსთან დაკავშირებით მოპრილი რუსული მედლები 17

მეორე თავი

ქართული ფალერისტიკული ძეგლები და საქართველოს სახელმწიფო ჯილდოები (XX ს.)

1. თამარ მეფის ორდენი (გერმანულ-ქართული სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის ისტორიიდან) 20
2. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოები 37
3. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოები 42
4. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოთა დაწესების ცდა 1991 წელს 51
5. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოები 53

მესამე თავი

ევროპაში შემუშავებული ქართულ ჯილდოთა პროექტები

1. პროექტი ორდენისა „საქართველოს თავისუფლებისათვის“ 60
2. „ქართველ მხედართა დარაზმულობის“ მიერ შემუშავებული ეროვნულ ჯილდოთა პროექტები 63

მეოთხე თავი

უცხოურ ჯილდოთა ქართველი კავალრები 68

დასკვნა 82

RESUME 85

SUMMARY 88

ლიტერატურა 91

წინათქმა

წინამდებარე წიგნი ახალგაზრდა მკვლევარის ნიკო ჯავახიშვილის მეცნიერული შრომის ნაყოფია. იოანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტის მიერ განხორციელებული კვლევა საქებარია. გზა დავულოცოთ ახალგაზრდა მეცნიერს... გზა მეცნიერების მწვერვალებისაკენ.

ერთი რამ აუცილებლად უნდა აღინიშნოს: შესრულებული კვლევა მაღალი მეცნიერული დონისაა და იგი შეფასებისას არავითარ შეღავათს არ საჭიროებს.

ქართული ფალერისტიკა — ქართული ჯილდოების — ორდენებისა და მედლების ისტორიის შეისწავლის; ჯილდო სახელმწიფოს მნიშვნელოვანი კომპონენტია და, ცხადია, მისი კვლევა დღეს მეტად აქტუალურია.

აღსანიშნავია ნარკვევის ორიგინალურობა. ქართული ფალერისტიკის საკითხების მონოგრაფიულად შესწავლა პირველად ხდება ჩვენს ისტორიოგრაფიაში. მოპოვებულია მეტად საინტერესო მასალა, რომლის შესწავლა-გაანალიზების საფუძველზე წარმოდგენილია სათანადო დასკვნები.

მისასალმებელია, რომ ახალგაზრდა მკვლევარმა სრულიად ახალი პრობლემა აირჩია და ფაქტობრივად ქართული ისტორიოგრაფიის ეამირის ათვისებას შეუდგა. ამ პატარა წინათქმაში არ მინდა კონკრეტული შეფასება მივცე წიგნს, ვისაუბრო მისი დადებითისა თუ უარეოფითის შესახებ (ეს პირუთვნელი მკითხველისათვის მიმინდვია). თავისთავად ამ წიგნის გამოცემა ავტორის წარმატებაა. ამასთან იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახალგაზრდა მკვლევარი გააგრძელებს მოცემულ საკითხებზე მუშაობას, შეავსებს მას ახალი მონაცემებით და გააფართოებს კვლევის სფეროს.

წარმატებული იყოს ნიკო ჯავახიშვილის მეცნიერული ნათლობა და მკითხველის გულისყური ვუსურვოთ ამ მშვენიერ წიგნს.

როინ მეტრეველი

ვუძღვნი
ივანე ჯავახიშვილის
დაბადების 120-ე წლისთავს

შესავალი

ფალერისტიკა წარმოიშვა ბერძნული სიტყვიდან Phalara. იგი აღნიშნავდა ლითონის ბალთებს, სამკაულებს, რომლებიც მიმაგრებული იყო მებრძოლთა მუზარადზე, მკერდზე ან ცხენის შუბლზე და სამხედრო წარჩინების ნიშნების როლს ასრულებდა. მოგვიანებით, ეს წესი რომაელმა ლეგიონერებმაც გადაიღეს თავიანთი მხედრული ღირსების აღსანიშნავად. ფალერა წარმოადგენდა ჯილდოს მამაცობისათვის.

ფალერისტიკა ისტორიული მეცნიერების ერთ-ერთი დარგია, რომლისადმი ინტერესი განუწყვეტლივ იზრდება მსოფლიოს ცივილიზებულ ქვეყნებში.

ისტორიულ დისციპლინათა რიგში ფალერისტიკა, რომელსაც კვლევის საკუთარი სფერო, თავისებური სტრუქტურა და სპეციფიკური ამოცანები გააჩნია, ჩვენი საუკუნის 70-იანი წლებიდან შევიდა. მანამდე იგი მონეტების შემსწავლელი მეცნიერების — ნუმიზმატიკის შემადგენელ საგნად ითვლებოდა. ჩეხმა ნუმიზმატებმა პირველებმა შემოიტანეს წინადადება, რომ ნუმიზმატიკურ მასალას გამოყოფდა ჯილდოები: ორდენები, ჯვრები, მედლები და სხვ. 1937 წელს ჯილდოთა ჩეხმა კოლექციონერმა ოლდრჟიხ პილცმა სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა ტერმინი „ფალერისტიკა", რომელიც საბჭოთა პერიოდიკაში პირველად 1965 გამოჩნდა (50, 80).

ფალერისტიკა წარჩინების ნიშნების წარმოქმნასა და არსებობას შეისწავლის თანადროული ისტორიულ პროცესებთან მჭიდრო კავშირში. იგი იკვლევს ორდენებს, მედლებსა და სხვა სახის წარჩინების ნიშნებს, როგორც ისტორიის ნივთიერ წყაროებს.

დაჯილდოების სისტემის ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორიის შესწავლის პროცესში, ფალერისტიკა, წარჩინების ნიშნების გარდა ეყრდნობა შემდეგ ისტორიულ წყაროებს: დაჯილდოების დოკუმენტაციას (მასში შედის დაჯილდოების აქტები, დაჯილდოების სტატისტიკური მონაცემები, ცნობები დაჯილდოებულ პირთა შესახებ); ფონოდოკუმენტებს; ფერწერულ და გრაფიკულ ნამუშევრებს; კინო-ფოტო დოკუმენტებს, რომლებზედაც უშუალოდ წარჩინების ნიშნები და მათი მფლობელია გამოსახული (50, 80).

ჯილდოთა შესწავლა ისტორიის მეცნიერების ერთ-ერთი ამოცანაა, რადგან ფალერისტიკულ ძეგლებზე ნათლად არის ასახული კაცობრიობის მიერ განვლილი გზა, ისტორიული ქარტეხილები, რითაც გაჯერებულია ჩვენი წარსული. ფალერისტიკა ისევე დრამატულია, როგორც თვით ისტორია.

გარდა იმისა, რომ წარჩინების ნიშნები, დაჯილდოების სისტემა და მათთან დაკავშირებული ოფიციალური დოკუმენტაცია საკმაოდ ძვირფასი წყაროა ამა თუ

იმ ქვეყნის პოლიტიკური და სამხედრო ისტორიის შესწავლისათვის, განმასხვავებელი ნიშნები საიუველირო ხელოვნების ძეგლებია და თავისი დროის მხატვრული გემოვნების მაჩვენებელიცაა. მართალია, წარჩინების ნიშნები ნებისმიერი დამოუკიდებელი ქვეყნის ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტია, მაგრამ გამონაკლისი აქაც მოიპოვება შვეიცარიის სახით, სადაც საერთოდ არ არსებობს არავითარი პირადი ჯილდო და კანონით აღიარებული ჰელვეციის ყველა მოქალაქის თანასწორობა უკრძალავს მათ უცხო სახელმწიფოს ორდენის მიღებასაც კი (50, 80-81).

წარჩინების ნიშნების ტრადიცია უძველესი დროიდან იღებს სათავეს. ჯერ კიდევ პირველყოფილი საზოგადოებისათვის იყო ცნობილი დაჯილდოების ისეთი ორიგინალური ფორმა, როგორიცაა ადამიანის სხეულის ტატუირება. ასეთი პატივი, ძირითადად, ბრძოლაში თავგამოჩენილ მეომრებს ხვდებოდათ წილად (68, 6).

მსოფლიოს ქვეყნების ისტორიიდან ფართოდ არის ცნობილი ჯილდოთა არაერთი სახეობა, თუმცა ფალერისტიკა შეისწავლის ძირითადად ორდენებსა და მედლებს. მეცნიერების ამ დარგის ინტერესთა არეში შედის ისეთი წარჩინების ნიშნებიც, როგორიცაა საპატიო იარაღი (მეტწილად ძვირფასი ქვებით მოოჭვილი და ოქრო-ვერცხლით მოსილადებული), აგრეთვე ე. წ. სამაგიდო მედლები, რომლებიც გაცემულია გარკვეული დამსახურებისათვის, ანდა რომელიმე მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტის აღსანიშნავად არის მოჭრილი.

ისეთი სახის ჯილდოები, როგორიცაა: წერილობითი მადლობის სიგელი, დიპლომი, აღიარების დეკრეტი, ლითონის ან ბროლის თასი, ოქროს ან ვერცხლის საათი, ავტოკალამი, წიგნი, ფულადი პრიზი და სხვა მისთანანი — არ წარმოადგენს ფალერისტიკის კელევის ობიექტს.

მიუხედავად ზემოთქმულის, ტერმინ „ფალერისტიკის" მეტნაკლებად შესატყვის ქართულ ტერმინად შეგვიძლია მივიჩნიოთ „ჯილდოთმცოდნეობა", თუმცა ეს უკანასკნელიც დაახლოებით ისეთივე პირობითი ცნება იქნება, როგორც მაგალითად „ნუმიზმატიკის" ნაცვლად დამკვიდრებული „საფასთმცოდნეობა" (ეს ტერმინი მონეტებთან ერთიანებს ქაღალდის ფულსაც, რომელიც ნუმიზმატიკისაგან მკვეთრად გამიჯნული სპეციალური საისტორიო დისციპლინის — ბონისტიკის შესწავლის საგანია).

ორდენი წარმოდგა ლათინური სიტყვიდან Ordo, რომელიც ნიშნავდა რიგს, თანრიგს. ფრანგი მკვლევარის ა. პეროს აზრით, პირველი ორდენი ჩნდება ჯერ კიდევ 370 წელს ეთიოპიაში (50, 80).

ორდენი ეწოდება სხვადასხვა ფორმისა და სახელწოდების მქონე წარჩინების ნიშანს, რომელიც გარკვეული დამსახურებისათვის გადაეცემა ამა თუ იმ პიროვნებას. ორდენი შეიძლება იყოს, როგორც ერთი, ასევე რამდენიმე ხარისხისაც. ორდენის, როგორც საპატიო ჯილდოს წარმოშობა უკავშირდება სასულიერო და საერაინდო ორდენ-გაერთიანებებს, რომლებიც XII საუკუნიდან არსებობდნენ ევროპაში, მსგავსად ბერ-მონაზონთა ორდენებისაა. სამხედრო ბერ-მონაზონთა საერაინდო ორდენები, კერძოდ, ტამპლიერთა ორდენი, იოანიტთა ორდენი და გერმანული ორდენი ჯვაროსნული ომების დროს დაარსდა პალესტინაში. XIII — XIV

იოანიტთა ორდენის წევრები: მარცხნივ ორდენის სულიერი ძმა, მარჯვნივ რაინდი (XII ს)

საუკუნეებში სარაინდო ორდენების რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა დასავლეთ ევროპაში. ზოგიერთი მათგანი, კერძოდ, ტევტონთა და ლივონიის ორდენები ათი ათასობით რაინდს ითვლიდა. თავდაპირველად, ეს ორდენები სამხედრო-რელიგიურ ორგანიზაციებს წარმოადგენდნენ და ექვემდებარებოდნენ რომის პაპს, ხოლო შემდეგ, მათი უმრავლესობა მოექცა ცალკეულ მონარქთა გამგებლობის ქვეშ, რომლებიც თვითონვე აარსებდნენ ახალ სარაინდო ორდენებს. ორდენთა წევრები ატარებდნენ სხვადასხვა ფორმისა და ფერის ჯვრების გამოსახულებიან ტანისამოსს. XIV — XVI საუკუნეებში ფართოდ ვრცელდება სამეფო კარის ორდენები ამ ორდენთა წევრებს ეცვათ ბრწყინვალედ და ჰქონდათ ვამორჩეული საორდენო ნიშნები, რომლებმაც, მოგვიანებით, ჯილდოთა სახე მიიღო. ასეთი იყო, მაგალითად, წვივსაკრავის ორდენი, რომელიც 1349 წელს დაარსდა ინგლისში ედუარდ მესამის (1327-1377) მეფობის დროს, ანდა სულიწმინდის ორდენი, რომელიც 1579 წელს დაწესდა საფრანგეთში (71, 491; 77, 196-197).

აღსანიშნავია, რომ იზაბელა პორტუგალიელზე ქორწინების დღეს 1429 წლის 10 იანვარს, ბურგუნდის ჰერცოგმა ფილიპე კეთილმა ფლანდრიაში დააწესა ოქროს საწმისის ორდენი, რომელიც მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე ფართოდ ცნობილ ჯილდოდ ითვლება. ცოტას ხვდა წილად ამ ორდენით დაჯილდოების პატივი, რადგან ხსენებული წარჩინების ნიშნის მსურველთათვის მისაბაძ მაგალითად თვით კოლხეთიდან ოქროს საწმისის გამტაცებელი ლეგენდარული იაზონი იყო დასახული (68, 41).

ორდენი, ძირითადად, ჯვრის ან ვარსკვლავის ფორმის იყო. როგორც წესი, მას სპეციალური ძეწკვით ატარებდნენ ან საორდენო ლენტზე ამაგრებდნენ. მაღალი ხარისხის ორდენები ზოგჯერ კეთდებოდა მხარზე გადაკიდებულ, ფართო, ფერად ლენტზე. არსებობდა გარკვეული საფეხურებრივი კიბე ორდენთა შორის და მათი მინიჭების საგანგებო წესი (სტატუტი). ზოგჯერ, ორდენთა გადაცემა სპეციალურად მოწყობილ ცერემონიებზე ხდებოდა.

XVIII — XX საუკუნეებში მსოფლიოში არაერთი ორდენი დაწესდა. ამას ხელი შეუწყო ხსენებულ პერიოდში მომხდარმა მრავალრიცხოვანმა ომებმა. სამხედრო ხასიათის ჯილდოები განსაკუთრებით მომრავლდა პირველი (1914-1918) და მეორე

(1939-1945) მსოფლიო ომების დროს.

მედალი წარმოიშვა ლათინური სიტყვიდან Metallum და ეწოდება მრგვალი, ოვალური ან სხვა ფორმის გამოსახულებიანი ნიშანს, რომელიც იჭრება ამა თუ იმ ცნობილი მოღვაწის პატივსაცემად, ან რომელიმე მნიშვნელოვანი მოვლენის აღსანიშნავად, ანდა, გამოიყენება, როგორც წარჩინების ნიშანი. იგი პირველად იტალიაში მოჭრეს XIV საუკუნეში. თავდაპირველად, მედალს ჭრიდა, როგორც ქვეყნის ხელისუფლება, ისე ცალკეული საზოგადოება, ან კერძო პირი, XVII საუკუნიდან კი მისი დამზადება სახელმწიფოს პრეროგატივა ხდება. მედალი, როგორც ჯილდო ოფიცერთათვის. XVII საუკუნეში შემოიღო შვედეთის მეფემ გუსტავ ადოლფმა (1594-1632). აქედან იგი მთელს მსოფლიოში გავრცელდა. მედლით აჯილდოებენ სამხედრო, მეცნიერულ-კულტურული თუ სხვა დამსახურებისათვის (72, 553).

ოქროს სანმისის საორდენო ნიშანი

ორდენებისა და მედლების დიდი ნაწილის აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს მედალიონი. იგი არის მრგვალი ან ოვალური ჩარჩოში ჩასმული გამოსახულებიანი თუ ორნამენტებიანი კომპოზიცია, რომელსაც ზოგიერთი ორდენის ან მედლის ცენტრში ათავსებენ.

XVII ს. პირველი ნახევრის შვედური მედალი ოფიცერთათვის (რევერსი)

ეროვნული წარჩინების ნიშნები სხვადასხვა დროს შემოიღეს მსოფლიოს ცალკეულ სახელმწიფოებში. საქართველოს მეზობელი ქვეყნებიდან პირველი სახელმწიფო ჯილდოები (ორდენები) დაწესდა: რუსეთში — 1698 წელს, ოსმალეთში — 1799 წელს, ხოლო ირანში — 1808 წელს. კავკასიელთა შორის პირველი ეროვნული ჯილდოები 1841 წელს შემოიღეს ჩეჩნეთ-დაღესტანში. ეს ფაქტი დაკავშირებულია იმამ შამილის სახელთან (69, 27; 76, 126-130).

მსოფლიოს ცალკეული ქვეყნების წარჩინების ნიშნების შესახებ არაერთი გამოკვლევა არსებობს. შექმნილია ფრიად მნიშვნელოვანი ნაშრომებიც (78; 80-90; 92-95; 98-100).

უკანასკნელ დრომდე, ქართული ფალერისტიკის საკითხები არ იყო მონოგრაფიულად შესწავლილი და ჩვენი ისტორიოგრაფიის თეთრ ლაქად რჩებოდა (64). არადა, არ-



შამილი კავკასიელთა შორის პირველი ეროვნული ჯილდოების დამწესებელი

სებობს ქართული ორდენების ტრადიცია, რომელიც 1915 წლიდან იღებს სათავეს, თუმცა ეროვნულ ჯილდოთა დაწესების იდეა ჯერ კიდევ XVIII საუკუნის ბოლოს წამოაყენა იოანე ბაგრატიონმა (1768-1830).

პირველი ქართული წარჩინების ნიშანი — თამარ მეფის ორდენი 1915 წელს დაწესდა. ამ ორდენით დაჯილდოება 1918 წლის ბოლომდე გრძელდებოდა.

ამიერკავკასიის კომისარიატის, სეიმისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის ხანაში (1917-1921) სახელმწიფო ჯილდოთა როლს რუსეთის იმპერიის სამხედრო წარჩინების ნიშნები — ვიორგის ჯვრები ასრულებდა.

საქართველოს იძულებითი გასაბჭოების შემდეგ დაწესდა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოები: წითელი დროშის ორდენი, როგორც სამხედრო წარჩინების ნიშანი და შრომის წითელი დროშის ორდენი, როგორც შრომითი ჯილდო. მსგავსი დასახელების საერთო-საკავშირო ორდენების შემოღების შემდეგ, საბჭოთა რესპუბლიკებში თანდათან შეწყდა მოქალაქეთა ეროვნული წარჩინების ნიშნებით დაჯილდოება. აქედან მოკიდებული, თითქმის სსრ კავშირის დაშლამდე, საქართველოს სახელმწიფო ჯილდოთა როლს ასრულებდა საერთო-საკავშირო ორდენები და მედლები.

ქართული ფალერისტიკული ძეგლებისა თუ მათი პროექტების (რომელთაც მთელ რიგ მიზეზთა გამო არ ეღირსა განხორციელება) ისტორიის დეტალურ შესწავლას გარკვეული პრაქტიკული და თეორიული მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვე ეტაპზე, როდესაც დღის წესრიგში დადგა საქართველოს ისტორიის მიჩქმალულ საკითხთა ობიექტური კვლევის აუცილებლობა. ხაზგასასმელია ქართული ფალერისტიკის საკითხების განხილვის მნიშვნელობა ჩვენი სამხედრო ისტორიის ახლებური შესწავლის თვალსაზრისითაც. დასმულ პრობლემას აქტუალობას მატებს ის ფაქტიც, რომ საბედნიეროდ, სსრ კავშირის წარჩინების ნიშნების ადგილი უკვე დაიკავეს ახალმა ქართულმა სახელმწიფო ჯილდოებმა.

პირველი თავი

ქართულ ჯილდოთა პირველი პროექტი და საქართველოსთან დაკავშირებით მოგზრილი უცხოური მედლები

1. ქართულ ჯილდოთა დაწესების იოანე ბაგრატიონისეული კონცეფცია

იოანე ბაგრატიონის (1768-1830) „სჯულდება", რომელიც XVIII საუკუნის მიწურულს შეიქმნა, წარმოადგენს ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტს. იგი გვიანფეოდალური ხანის საქართველოს პოლიტიკური და იურიდიული აზროვნების ისტორიის ძვირფასი წყაროთაგანია და საყურადღებო ცნობებს შეიცავს იმდროინდელი ქართლ-კახეთის სამეფოს სამხედრო, საგანმანათლებლო-კულტურული თუ ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ.

„სჯულდების", როგორც უაღრესად საინტერესო ძეგლის შესწავლის აუცილებლობაზე მიუთითებდა ივანე ჯავახიშვილი (63, 125-127).

იოანე ბაგრატიონის აღნიშნული პროექტი ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი წყობის მოდერნიზაციასა და ევროპეიზაციას ისახავდა მიზნად. პროექტის ავტორს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული XVIII საუკუნის ბოლოსათვის ქართლ-კახეთში შექმნილი ვითარების სირთულე და ამ მდგომარეობიდან გამოსავალს რეფორმათა მთელი სისტემის განხორციელებაში ხედავდა. სწორედ ამ მიზნით, მან თავის მიერ შედგენილი რეფორმათა პროექტი („წინადადებაი") ჯერ კიდევ 1799 წლის 10 მაისს წარუდგინა ქართლ-კახეთის უკანასკნელ გვირგვინოსანს გიორგი მეთორმეტეს (26, 188).

„ის გარემოება, რომ იოანე ბაგრატიონის „სჯულდება" პროექტია, — სამართლიანად შენიშნავდა ივანე სურგულაძე, — სრულებით არ ამცირებს მის, როგორც ქართული სამართლის ისტორიის წყაროს მნიშვნელობას" (2, 04).

ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს „სჯულდების" ის ადგილი, სადაც იოანე ბაგრატიონი აყენებს ქართულ სახელმწიფო ჯილდოთა დაწესების საკითხს. ავტორი არა მხოლოდ ჩამოთვლის დასაწესებელი წარჩინების ნიშნების სახელწოდებებს, არამედ დეტალურადაც აღწერს თითოეული მათგანის გარეგნულ სახეს (2, 22-23).

იოანე ბაგრატიონი წერს: „გასახალისებლად ხალხისა, მსახურებისათვის მამულისა და განსხვაებისათვის გვამთა იყოს ნიშნები (კავალერიად წოდებულნი) (2, 21). იგი საჭიროდ მიიჩნევდა დაწესებულიყო შემდეგი ეროვნული ჯილდოები:

1. წმინდა ნინო კაპადოკიელის ორდენი — I და II ხარისხის

I ხარისხის ორდენი გარეგნულად ვარსკვლავის ფორმის (საკვარაუდოა, რომ

რეაქიმიანის), ხოლო მოცულობით „ერთი ხელის გულის ორდენი“ უნდა ყოფილიყო. ვარსკვლავის ცენტრში მოთავსებულ მედალიონზე უნდა აღბეჭდილიყო ქართველთა განმანათლებლის წმინდა ნინო კაპადოკიელის ხატება, — უფლის ჩვენის — იესო ქრისტეს კვართითა და „სვეტისცხოველით“. ორდენს უნდა ჰქონოდა თეთრი ფერის, წითელარშიანი, საორდენო „მხარზე გარდასაკიდებელი“ ლენტი. არსებითად ასეთივე უნდა ყოფილიყო II ხარისხის ორდენიც, ოღონდ, შედარებით წერილი, „ყელზედ საკიდი“ საორდენო ლენტით.

2. წმინდა დავით აღმაშენებლის ორდენი — I, II და III ხარისხის

სამივე ხარისხის ორდენზე უნდა გამოსახულიყო დავით აღმაშენებლის ხატება. I ხარისხის ორდენს უნდა ჰქონოდა „მხარზედ გარდასაკიდებელი“ — თეთრარშიაშემოვლებული წითელი საორდენო ლენტი. II ხარისხის ორდენი განკუთვნილი იყო ყელზედ ჩამოსაკიდებლად, ხოლო III ხარისხისა — „მკერდზედ“. იგი უნდა ჩასმულიყო ვარსკვლავში. სამივე ხარისხის ორდენზე უნდა ყოფილიყო ზედწერილი: „მამულისა, სიმხნისა და თავდადებისათვის“. მათი გადაცემა უნდა მომხდარიყო „ვაჟკაცობისათვის“ — წყალობის საგანგებო სიგელთან ერთად, სადაც აღინიშნებოდა დაჯილდოებულის ღვაწლი. ამ ორდენით შეიძლებოდა. როგორც საერო, ასევე სასულიერო პირთა დაჯილდოება. როგორც პროექტიდან ჩანს, სასულიერო პირთათვის განკუთვნილი იყო II ხარისხის ორდენი — „ყელზედ დასაკიდებლად“.

3. წმინდა ქეთევან დედოფლის ორდენი — I და II ხარისხის

ორდენებზე უნდა აღბეჭდილიყო ერისა და სარწმუნოებისათვის თავდადებული დედოფლის — ქეთევანის სახე. I ხარისხის ორდენს უნდა ჰქონოდა წითელი საორდენო ლენტი ყვითელი არშიით, ანდა არშიის გარეშე. ქეთევან წამებულის გამოსახულებიანი მედალიონი უნდა ჩასმულიყო ვარსკვლავის ცენტრში. II ხარისხის „მკერდზედ დასაკიდებ“ ორდენს ისეთივე ლენტი უნდა ჰქონოდა, როგორც I ხარისხისას. წმინდა ქეთევან დედოფლის ორდენი უმაღლესი ჯილდო უნდა ყოფილიყო წარჩინებულ ქართველ მანდილოსანთათვის.

4. წმინდა გიორგის მედალი

მედლის აევრსზე (შუბლზე) უნდა აღბეჭდილიყო წმინდა გიორგის ხატება, ხოლო რეევრსზე (ზურგზე) გაკეთებულიყო წარწერა: „მამაცობისა და სიმხნისათვის“. მას „მკერდზედ“ დასაკიდებლად უნდა მოჰყოლოდა ყვითელი ან წითელი ფერის „ბაფთა“. ვერცხლისაგან მოჭრილი ეს მედალი, რომელსაც იოანე ბაგრატიონი რატომღაც „ვერცხლის ნახევარ მანათს“ უწოდებს, უნდა განკუთვნილიყო „მდაბალთა“ ანუ დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენელთა დასაჯილდოებლად. ამ ჯილდოს მფლობელს გარკვეული პრივილეგიაც უნდა მინიჭებოდა. პროექტის ავტორის თქმით, მედლის კავალერი „გლეხი არღა იგვემებოდეს დანაშაულზედ“.

5. საპატიო ხმალი

„იყოს ხმალი მოჭედილი, ვის ვითარ შვენოდეს და ზედ ჩართული სახელი დავით აღმაშენებლისა ვადაზედ ეწეროს“ — წერს იოანე ბაგრატიონი. ხმალზე უნდა ამოტვიფრულიყო წმინდა დავით აღმაშენებლის ორდენის ზედწერილის მსგავსი

ლეგენდა: „მამულისა, სიმხნისა და თავდადებისათვის“.

წმინდა დავით აღმაშენებლის ორდენის გარდა, „ვაჟკაცობისათვის“ უნდა დაწესებულიყო სხვა ჯილდოებიც (როგორც ჩანს მედლები) და მათზე უნდა გამოსახულიყო „წმინდათა მეფეთა არჩილ და ლუარსაბისა სახე“, რომელიც დამშვენდებოდა „ჭრელის ლენტით“.

აღსანიშნავია, რომ დაჯილდოების მიზნით, პროექტი ითვალისწინებდა, აგრეთვე, ტიტულების, სახელწოდებების შემოღებას. პროექტში გათვალისწინებული იყო ფულადი ჯილდოს დაწესებაც, ნაცელად მამულითა და ყმებით დაჯილდოებისა, „ვინაიდგან დია შემცირებულია სამეფო სოფლები“. იოანე ბაგრატიონი ასეთ რჩევას აძლევდა მათ, ვისაც ჯილდოს სახით მამულისა თუ ყმების გაცემა ჰქონდა გადაწყვეტილი: „ვისაც ღირსად ნახოდ ბოძება მამულისა, თუ რაოდენი კომლიც კაცი გემეტებად, სახელმწიფო თეთრი ყმისათვის სასყიდლად დანიშნული იყოს კომლზედა შვიდი თუმანი და რაოდენიც კომლი ვენებოსთ საბოძვრად შვიდ-შვიდი თუმანი ებოძოს კომლზედან, ხოლო მიწისათვის, ვისთვინაც გენებოთ ცარიელი მიწის ბოძება, სასყიდლად დღიურზედ ებოძოს სამეფოდ დებით ხუთი აბაზი. რამდენის დღისაც ებოძოს, ხაზინადარმან მისცეს მეფის წყალობის წიგნით დღიურზედ ხუთ-ხუთი აბაზი. ხოლო ყმაზედ — შვიდ-შვიდი თუმანი. ვითარცა ზემორე მოვიხსენეთ და ესე ამას იქით ასე მოხდეს“ (2, 41).

იოანე ბაგრატიონი

იოანე ბაგრატიონის ხსენებული პროექტიდან ნათლად ჩანს, რომ ბატონიშვილი კარგად იცნობდა ევროპულ და რუსულ წარჩინების ნიშნებს. ამაზე მეტყველებს სათითაოდ აღწერილი თითოეული დასაწესებელი ჯილდოს გარეგნული სახე, თუნდაც საორდენო ლენტის რამდენჯერმე ხსენება პროექტში. საგულისხმოა, რომ პროექტში მკაფიოდ არის გამოკვეთილი ქართულ ჯილდოთა იერარქია. განსაზღვრულია, თუ ვის რა დამსახურებისათვის უნდა გადასცემოდა თითოეული წარჩინების ნიშანი, ანდა სხეულისა თუ ტანსაცმლის რომელ ადგილას უნდა ეტარებინათ ეს ჯილდოები. საინტერესოა საგანგებო ორდენის დაწესების იდეა წარჩინებული წრის ქართველ მანდილოსანთათვის. თუკი რუსეთში ასეთ ჯილდოდ წმინდა ეკატერინეს ორდენი ითვლებოდა, იოანე ბაგრატიონი მის ექვივალენტურ ქართულ ჯილდოდ წმინდა ქეთევან დედოფლის ორდენს სახავს. უდავოდ საყურადღებოა ის გარემოება, რომ პროექტის ავტორი საჭიროდ მიიჩნევს საპატიო ხმლის, როგორც ჯილდოს ერთ-ერთი სახეობის შემოღებას. მსგავსი ორიგინალური ჯილდო საბრძოლო დამსახურების ან მხედრული მამაცობისათვის, არსებობდა მსოფლიოს მრავალ სახელმწი-

ფოში და ზოგან ეს დღესაც გვხვდება. იარაღით დაჯილდოების უმდიდრესი ტრადიცია ძველთაგანვე არსებობდა საქართველოშიც. მოგვეპოვება არაერთი კონკრეტული მაგალითი იმისა, რომ ამა თუ იმ ქართველ მეფეს, ბრძოლაში გამოჩენილი სიჩაუქისათვის, თავისი ხელით, იარაღით დაუჯილდოებია მებრძოლი. ერეკლე მეორეს ხომ წესად ჰქონდა ღირსეულ მეომართათვის იარაღის ჩუქება, რაც განსაკუთრებულ აღიარებად და უდიდეს დაფასებად იყო მიჩნეული. აღნიშნულ ფაქტს, სხვა ცნობებთან ერთად, ადასტურებს ჩვენს მიერ მთიულეთში ჩაწერილი ერთი ფოლკლორული ტექსტიც, სადაც გადმოცემულია ერეკლე მეორის მიერ ასპინძის ბრძოლაში თავგამოჩენილი მთიული ვაჟკაცისათვის (გვარად ობგაიძისათვის) ჯილდოდ ხმლის გადაცემის ამბავი. ლექსში ეკითხულობთ:

„ასპინძას ვახლდი ბატონსა
ობგაიძეთა გვარისა,
ჯილდოდ მიბოძა ფრანგული —
შენზედ ალალი არისა.
ორპირს წარწერა ამშვენებს —
„პატარა კახის არისა“,
გაჭირდეს, დავიხარჯები,
ზნე არის ჩემი გვარისა“.

განსაკუთრებით გამოსაყოფია იოანე ბატონიშვილის იდეა წმინდა გიორგის მედლის დაწესების შესახებ. აქ პროექტის ავტორი სრულიად გარკვევით მიუთითებდა დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენელთათვის განკუთვნილი საგანგებო ჯილდოს შემოღებაზე, რაც უნიკალურ ფაქტად უნდა იქნეს მიჩნეული. როგორც ლ. ფირცხალავა წერს: „წმინდა გიორგის სახელობის ჯილდოს ნიშანს ანალოგი არ ექნებოდა თავისი დროისათვის, ვინაიდან ის გათვალისწინებული იყო „მდაბალთა ხალხთათვის“, ევროპაში არსებული ორდენები კი მხოლოდ არისტოკრატიისათვის იყო განკუთვნილი“ (50, 88).

საყურადღებოა იოანე ბაგრატიონის წინადადებები ტიტულების შემოღებისა და ყმა-მამულით დასაჩუქრების ნაცვლად ფულადი ჯილდოს დაწესების შესახებ, რაც უდაოდ პროგრესულ წამოწყებად უნდა ჩაითვალოს.

„ორდენი პიროვნების არა მარტო ინდივიდუალობის მაჩვენებელია, არამედ მასზე ქვეყნის ყურადღების გამოხატულებაცო“ — ბრძანა ნაპოლეონ ბონაპარტემ. მართლაც, ეროვნული წარჩინების ნიშნების არსებობას დიდი სიმბოლური დატვირთვა გააჩნია. როგორც იოანე ბაგრატიონმაც აღნიშნა „სჯულდებაში“, ჯილდო „მამულის მსახურებისათვის ხალხის გასახალისებელ“ ფაქტორს, სტიმულს წარმოადგენს. ასეთი საჭირო სახელმწიფოებრივი ატრიბუტი კი საქართველოს XVIII საუკუნის ბოლოსაც კი არ გააჩნდა. პროგრესულად მოაზროვნე იოანე ბაგრატიონი ცდილობდა გამოესწორებინა ეს ხარვეზი. სწორედ ამიტომ, „სჯულდებაში“ ჩამოთვლილ მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოებრივ რეფორმათა პროექტებს შორის, ეროვნულ ჯილდოთა დაწესების იდეა მან სათანადო ადგილზე, საკმაოდ ერცლად განიხილა.

ამრიგად, ქართულ ჯილდოთა დაწესების იოანე ბაგრატიონისეული კონცეფცია ჭეშმარიტად დიდმნიშვნელოვან და ფრიად პროგრესულ წამოწყებას წარმოადგენდა. სამწუხაროა, რომ ამ ყოველმხრივ მისასალმებელი ეროვნული და სახელმწიფოებრივი ღონისძიების განხორციელება ვერ მოხერხდა. 1801 წელს ქართლ-კახეთის სამეფომ დაკარგა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და რუსეთის იმპერიის შემადგენელ ნაწილად იქცა.

2. ერეკლე მეორის ხოტბა გერმანულ მედალზე: მითი თუ რეალობა?

ქართლ-კახეთის სამეფოს უკანასკნელ ღირსეულ გვირგვინოსანს ერეკლე მეორეს, როგორც თვალსაჩინო სტრატეგსა და სახელოვან რაინდს, კარგად იცნობდნენ ევროპაშიც. იქაური პრესა არცთუ იშვიათად ასახავდა ქართველი მონარქის გმირულ მოღვაწეობას.

ერეკლე მეორის პოპულარობა აისახა ევროპულ დრამატურგიაშიც. გერმანული კლასიკური ლიტერატურის კორიფეს გოტჰოლდ ეფრაიმ ლესინგის ცნობილ კომედიაში „მინა ფონ ბარნჰელმი“ მეფე ერეკლე მეორე წარმოჩენილია „აღმოსავლეთის დიდ გმირად“, „მამაც ვაჟკაცად“, რომელმაც „სპარსეთი დაიპყრო და დღეს თუ ხვალ ოტომანთა პორტაში შეიჭრება“ (1, 14).

1755 წელს მაინის ფრანკფურტში გერმანულად გამოიცა წიგნი „სპარსეთისა და საქართველოს მღელვარებათა ამბავი, რომელიც ამავე დროს შეიცავს პრინც ჰერაკლიუსის მართალ გენეალოგიას და მისსავე უმნიშვნელოვანეს საქმეებს“. აქ, მსგავსად ლესინგის ხსენებული კომედიისა, ერეკლე მეორე მოიხსენიება „პრინც ჰერაკლიუსად“ (1, 14).

გამოჩენილ მხედართმთავარსა და ევროპაში უმძლავრესი არმიის შემქმნელს — პრუსიის სახელოვან მონარქს ფრიდრიხ მეორეს (1712-1786) უთქვამს: „ევროპაში მე ვარ და აზიაში ერეკლე მეორეო“. ეს გამონათქვამი მოგვიანებით დაიმოწმა გერმანელმა მწერალმა და პუბლიცისტმა არტურ ლაისტმა თავის წიგნში „საქართველოს გული“ (18, 127).

ქართული სახოტბო მჭევრმეტყველების ისეთ ბრწყინვალე ნიმუშში, როგორიცაა სოლომონ ლიონიძის სიტყვა „მოთქმით ტირილი საქართველოს მეფის ღერკულეს ნეტარების ღირსისა“, ქართლ-კახეთის მეფის მსაჯული ამბობს, რომ ერეკლე მეორის „დიდება მეორემ ალექსანდრემ — პრუსიის მეფემ ფიდერიკოს — თეთრზე დაწერა: „ევროპაში მე ვარო და აზიაში — ღერკულეს უძლეველი, საქართველოს გიორგიანთ მეფეო!“ (20, 38).

სოლომონ ლიონიძის მიერ ნახსენები „თეთრი“ შეიძლება გაგებულ იქნას, როგორც ვერცხლის მედალი. საგულისხმოა რომ, „თეთრზე“ დაწერა მედალზე დაწერად მიაჩნდა ნუმიზმატ დავით კაპანაძეს, რომელიც შენიშნავდა: „სამეფოს კანცლერმა სოლომონ ლიონიძემ ერეკლეს გარდაცვალების გამო სიტყვა რომ წარმოთქვა, ახსენა მედალი, რომელიც თითქოს პრუსიის მეფე ფრიდრიხ მეორეს მოუჭრია

ერეკლე II

ფრიდრიხ II

შემდეგი წარწერით: „მე ვარ დასავლეთში ჰერეკლე უძლეველი და აღმოსავლეთში საქართველოს გიორგიანთ მეფე ერეკლეო". მაგრამ ამ მედალის დედანი ან თუნდაც ანაბეჭდი, ან სურათი დღემდე მოძებნილი არაა" (16, 158).

უკანასკნელ დრომდე, ზემოთ აღნიშნული ფაქტი უფრო მითად იყო მიჩნეული, ვიდრე რეალობად.

ამჟამად ირკვევა, რომ ფრიდრიხ მეორის ბრძანებით მოჭრილი ხსენებული მედალი ჩვენი საუკუნის დასაწყისში დაცული ყოფილა ბერლინის ერთ-ერთ არქეოლოგიურ მუზეუმში. ჯერ კიდევ 1902 წლის 17 სექტემბერს გაზეთი „ივერია" იუწყებოდა: „ახალი ამბავი: როგორც ბ-ნმა მომცემლიძემ გადმოგვცა, მას და სტუდენტ პაპავას ბერლინში ყოფნის დროს, ერთს იქაურს საარქეოლოგიო მუზეუმში უნახავთ მედალი, რომელზედაც ერთის მხრივ ფრიდრიხ II-ა გამოქანდაკებული და მეორე მხარეს ირაკლი II — ზედ წარწერით გერმანულად: „საქართველოს მეფე ირაკლი" (გაზ. „ივერიაში" გამოქვეყნებული ეს ცნობა მოგვაწოდა სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის უფროსმა მეცნიერ მუშაკმა სოლომონ ლეკიშვილმა, რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებთ).

ალბათ უნდა ვირწმუნოთ ზემოთ-მოყვანილი ცნობის სისწორე, რადგან არც მომცემლიძე (რომლის გადმოცემაზე დაყრდნობითაც გამოქვეყნდა გაზეთ „ივერიაში" აღნიშნული ინფორმაცია) და არც „სტუდენტი პაპავა" (მედლის მეორე თვითმხილველი) არ წარმოადგენდნენ შემთხვევით პირებს. ტარასი მომცემლიძე საკმაოდ ნიჭიერი და პერსპექტიული მხატვარი იყო, რომელიც 1902-

03 წლებში ქ. მიუნხენში სწავლობდა და 1904 წელს სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა, ხოლო აკაკი პაპავა (1890-1964) წარმოადგენდა ჩვენი ემიგრაციის თვალსაჩინო ფიგურას და ქართული კულტურის დაუღალავ პოპულარიზატორს უცხოეთში.

ამრიგად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ფრიდრიხ მეორის მმართველობის ეპოქაში გერმანიაში მართლაც მოიჭრა მედალი, რომლის ერთ მხარეს ამოტვიფრული იყო თვით ფრიდრიხ დიდის, ხოლო მეორე მხარეს — ერეკლე მეორის პორტრეტული ხატებანი. რაც შეეხება „პატარა კახის" ხოტბას, რომელიც სოლომონ ლიონიძის თქმით მედალზე იყო წარწერილი, ამის დაზუსტება შესაძლებელი გახდება მხოლოდ ამ მედლის ბერლინის მუზეუმებში მოძიებისა და გამომზეურების შემდეგ, რითაც გერმანულ-ქართული ურთიერთობების დიდი ტრადიციის დამადასტურებელ კიდევ ერთ საინტერესო ფაქტს ეახდებოდა ფარდა.

3. საქართველოსთან დაკავშირებით მოჭრილი რუსული მედლები

1783 წლის 24 ივლისს, გეორგიევსკის ციხე-სიმაგრეში გაფორმდა ხელშეკრულება ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის იმპერიას შორის. ხელშეკრულების ძალით ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიის მფარველობაში შეეიდა, ოღონდ, გარკვეულ სუვერენულ უფლებათა შენარჩუნებით.

ხელშეკრულების დადების აღსანიშნავად რუსეთში მოჭრეს ბრინჯაოს საგანგებო მედალი. მის ავერსზე გამოსახულია რუსეთის იმპერატორის ეკატერინე მეორის პორტრეტი, რომელსაც შემოვლებული აქვს ზედწერილი: „Б. М. ЕКАТЕРИНА II ИМПЕРАТ. И САМОДЕРЖ. ВСЕРОСІИС."

მედლის რევერსზე გამოსახულია მანტიაგადაფარებული კვარცხლბეკი. მასზე დასვენებულია ფარგადაფარებული მახვილი, ხოლო ზემოდან დევს სამეფო გვირგვინი. ფარის ცენტრში ამოტვიფრულია ეკატერინე მეორის ვენზელი ანუ ერთმანეთში მხატვრულად გადახლართული ინიციალები (სახელისა და გვარის პირველი ასოები). იქვეა ზედწერილი: „царю Ираклию. 1783 г." კვარცხლბეკის გარშემო გვხვდება ლეგენდა: „Вере и верности 1783 года".

ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და მისი რუსეთის იმპერიასთან შეერთების შემდეგ გაუქმდა თბილისის ზარაფხანაც (მონეტების დამამზადებელი დაწესებულება), მაგრამ მალე, მისი ამოქმედება საჭირო აღმოჩნდა ფულადი ნიშნების დეფიციტის გამო.

1804 წლის 15 სექტემბერს მუშაობას შეუდგა თბილისის ზარაფხანა. ამის აღსანიშნავად, ვერცხლისაგან მოიჭრა მედალი (წონით 8,23 გრამი), რომელიც დღეს იშვიათობად არის ქცეული. მის ავერსზე, ცენტრში გამოსახულია რუსეთის საიმპერიო გერბი — ორთავიანი არწივი, ოღონდ, არატრადიციული სახით. არწივს კლანჭებით ოქროს საწმისი უპყრია. მედლის ზედა არეზე გამოსახულია დიდი დათვის თანავარსკვლავედი, ქვემოთ კი გვხვდება დედამიწის სფეროს მონაკვეთი

წარწერით: „Иберия“, „Колхида“. მედლის კიდეებზე ამოტვიფრულია ლეგენდა: „Похищенное возвращает“.

მედლის რევერსზე წარწერილია „Тифлисский монетный двор открыт 15 сентября 1804 г.“. ამ მედლის ზოგიერთ ვარიანტს სიტყვა „Тифлисский-ის ნაცვლად აწერია „Тифлисской“.

არსებობს ოქროსაგან მოჭრილი ასეთივე მედალი, რომელიც სანკტ-პეტერბურგის ერმიტაჟშია დაცული (16, 163).

1901 წელს, ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან შეერთების 100 წლისთავთან დაკავშირებით თბილისში გაიხსნა სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო გამოფენა. ამ თარიღის აღსანიშნავად ვერცხლისა და სპილენძისაგან მოიჭრა საგანგებო მედლები. ისინი უფრო პოლიტიკური შინაარსის შემცველია, ვიდრე სამეურნეო, რასაც ადასტურებს თვით მედლებზე ამოტვიფრული გამოსახულებანი.

ორივე ლითონისაგან დამზადებული მედლები გარეგნულად აბსოლუტურად იდენტურია. მათ აევერსზე გამოსახულია რუსულ ეროვნულ ტანისამოსში გამოწყობილი და ტახტზე მჯდომი ქალი. რომელიც სიმბოლურად ასოცირდება რუსეთთან. მის ფერხთით ზის ქართული ეროვნული ტანსაცმლით მოსილი მანდილოსანი (საქართველოს სიმბოლო). იგი რუს ქალს (ე. ი. რუსეთს) ქვემოდან შესცქერის და მაღლიერების ნიშნად ხელებს იწედის ამომავალი მზისაკენ. რომლის სხივებშიც ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლის თარიღი — „1801“ წელია ამოტვიფრული. იქვე მიმობნეულია სხვადასხვა ტიპის შრომის იარაღები ან მათი ცალკეული დეტალები. მედლის ქვედა არეზე აღნიშნულია მისი

გეორგიევსკის ტრაქტატის დადების აღსანიშნავად მოჭრილი მედალი (1783 წ)

ავერსი



რევერსი

რუსეთის შემადგენლობაში ქართლ-კახეთის შესვლის მე-100 წლისთავზე თბილისში გახსნილ სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო გამოფენასთან დაკავშირებით მოჭრილი მედალი

ავერსი

რევერსი

მოჭრის თარიღი — „1901 Г "

მედლის რევერსზე. ცენტრში გამოსახულია დაფნის რტო და გამოფენისადმი მიძღვნილი რუსული წარწერა: „За труды и знания". მედლის ზედა არეზე გეხვდება რომაული ციფრი „C", რომელიც აღნიშნავს ქართლ-კახეთის რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლის 100 წლისთავს, ქვედა არეზე ამოტვიფრული ციფრი „L" კი სასოფლო-სამეურნეო მოღვაწეობის 50 წლისთავს ასახავს. მედლის ამ მხარეს გარშემოვლებულია ზედწერილი: „Кавказская выставка сельск. хозяйства и промышленности".

ზემოთ აღწერილი სამივე რუსული მედალი, რომელთა მოჭრაც საქართველოსთან არის დაკავშირებული, დეტალურად აქვს განხილული დ. კაპანაძეს თავის ფუნდამენტურ წიგნში „ქართული ნუმიზმატიკა" (16, 155-164).

ამრიგად, რამდენიმე რუსული მედლის მოჭრის ფაქტი საქართველოსთან არის დაკავშირებული.

მეორე თავი

ქართული ფალერისტიკული ძეგლები და საქართველოს სახელმწიფო ჯილდოები (XX ს.)

1. თამარ მეფის ორდენი
(გერმანულ-ქართული სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის ისტორიიდან)

XX საუკუნის ათიანი წლებიდან აშკარად შეინიშნება დასავლეთ ევროპაში მოღვაწე ქართველ მამულიშვილთა ერთი ნაწილის პოლიტიკური გააქტიურება.

1914 წელს შვეიცარიის ქალაქ ჟენევაში, თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის ყოფილი მასწავლებლის, შემდგომში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრის პეტრე სურგულაძის მესვეურობით ჩამოყალიბდა საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი, რომელსაც „განმათავისუფლებელ კომიტეტსაც", უწოდებდნენ. მისი დამფუძნებელი წევრები გახდნენ ლეო და გიორგი კერესელიძეები და ნესტორ მაღალაშვილი. ხოლო შემდეგ მათ შეუერთდნენ: გიორგი მაჩაბელი, მიხეილ (მიხაკო) წერეთელი, შალვა ვარდიძე, ზია ბეგ აბაშიძე, მელიტონ ქარცივაძე და სხვები (32, 17).

1914 წლის ზაფხულში დაიწყო პირველი მსოფლიო ომი. მსოფლიო ორ მოწინააღმდეგე ბანაკად გაიყო. ერთ მხარეს აღმოჩნდნენ ანტანტის ბლოკის ქვეყნები (ინგლისი, საფრანგეთი, რუსეთი, რომელთაც მოგვიანებით შეემატნენ აშშ, იტალია და რუმინეთი), ხოლო მეორე მხარეს — ჯერ გერმანია და ავსტრია-უნგრეთი, შემდეგ კი ოსმალეთი და ბულგარეთიც.

იმხანად, ქართული საზოგადოებრივი აზრი ორ ძირითად ნაწილად გაიყო: ერთნი ანტანტის გამარჯვებას იმედოვნებდნენ და კვლავაც რუსეთთან კავშირს ესწრაფოდნენ. მეორენი კი, რომელთა სათავეშიც საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი იდგა, გერმანიასა და მის მომხრე ქვეყნებს თანაუგრძნობდნენ და მათი დახმარებით საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენაზე ფიქრობდნენ.

ომის დაწყებისთანავე მოელენათა მსვლელობაში აქტიურად ჩაება საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი, რომელიც ჟენევიდან ბერლინში გადავიდა და მჭიდრო კონტაქტები დაამყარა გერმანიის მმართველ პოლიტიკურ წრეებთან.

მალე, გერმანიის გენერალური შტაბის მეთაურის ერიხ ლუდენდორფის ხელშეწყობით, გერმანიის კაიზერმა ვილჰელმ მეორემ მიიღო საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის დელეგაცია. კომიტეტის შეხედულებებით გერმანია-საქართველოს ურთიერთობათა სამომავლო პერსპექტივების თაობაზე დიდად დაინტერესდა კაიზერი. მან დაავალა თავის შესაბამის დიპლომატიურ უწყებას, რომ მოემზადებინა „ქართული საკითხი" (33, 244).

აღსანიშნავია, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტისადმი დახ-

ვილჰელმ II

მარების აღმოჩენა შედიოდა თვით გერმანიის რაიხის ინტერესებში. პრაგმატულად მოაზროვნე გერმანელები კარგად აცნობიერებდნენ საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობის უნიკალურობას და ცდილობდნენ, რომ რუსეთის იმპერიისათვის ახალი პრობლემა გაეჩინათ გერმანიაზე ორიენტირებული მძლავრი ქართული სახელმწიფოს წარმოქმნით. გერმანიის მმართველი წრეები რუსეთისაგან ჩამოცილებულ საქართველოში ვარაუდობდნენ მონარქიის აღდგენას, ხოლო ტახტზე კაიზერ ვილჰელმ მეორის ვაჟის იოაჰიმ ჰოჰენცოლერნის აყვანას (14, 24). საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრებს მომავალი მონარქისათვის შერჩეული ჰყავდათ ქართველი საცოლეც — თავად მიხეილ (მიშო) მაჩაბლის ულამაზესი ასული მარიამი (მარინა). ეს გეგმა ჩაიშალა პირველ მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხების გამო, ხოლო სადედოფლოდ გამზადებული მარიამ მაჩაბელი ცოლად გაჰყვა იტალიის კონსულს თბილისში ფრანჩესკო ფრონზონის და მოგვიანებით, მასთან ერთად წავიდა იტალიაში საცხოვრებლად (51, 54; 11, 134).

აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ისტორიიდან ცნობილია შემთხვევები, როდესაც ამა თუ იმ სახელმწიფოს ტახტზე, მთელ რიგ მიზეზთა გამო, სხვა ქვეყნის სამეფო დინასტიის წარმომადგენელი ასულა. მაგალითად, 1831 წელს საბერძნეთის მეფე გახდა ბავარიელი პრინცი ოტონ ვიტელსბახი. ასევე ცნობილი ფაქტია: რუმინეთის სამეფო ტახტზე მთელი რვა ათეული წლის (1866-1947) განმავლობაში ჰოჰენცოლერნ-ზიგმარინგენები ისხდნენ.

კაიზერთან შეხვედრის შემდეგ დამოუკიდებლობის კომიტეტმა კიდევ უფრო ინტენსიური მუშაობა გააჩაღა. მან მოამზადა საგანგებო მემორანდუმი, რომელიც გერმანელ დიპლომატებს უნდა გაეტანათ განსახილველად ომის შედეგების შემაჯამებელ საზავო კონფერენციაზე. ამ მემორანდუმის მომავალ საზავო კონფერენციაზე გატანით დიდად იყო დაინტერესებული დამოუკიდებლობის კომიტეტი. მისი წევრები მიხეილ წერეთელი და გიორგი მაჩაბელი დაბეჯითებით უმტკიცებდნენ გერმანიის რწმუნებულ გრაფ პურტალესს, რომ მემორანდუმის გატანის სანაცვლოდ საქართველოს 50 ათას მებრძოლს გამოიყვანდა რუსეთის იმპერიასთან საბრძოლველად. ასეთ შემთხვევაში, გერმანიის წარმომადგენლები იძლეოდნენ ქართული ლაშქრის შეიარაღების გარანტიას. მათ განაცხადეს, რომ საომარი საჭურ-

ელის ნაწილი, საჰიროების შემთხვევაში, ოსმალეთის ქალაქ ტრაპიზონიდან გაეგზავნებოდათ ქართველ მებრძოლებს (4, 203-204).

აღსანიშნავია, რომ გერმანელები დიდად იყვნენ დაინტერესებულნი საქართველოში ანტირუსული აჯანყების მოწყობით, რადგან ეს მოვლენა თავისთავად დაარჩქარებდა ოსმალეთის ომში ჩაბმას (75, 63).

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრებმა მოლაპარაკებები აწარმოეს გერმანიისა და მისი მოკავშირე ქვეყნების მმართველ წრეებთან. ამის თაობაზე მოგვითხრობს დამოუკიდებლობის კომიტეტის თბილისის ფილიალის წევრი რევაზ გაბაშვილი თავის მოგონებათა წიგნში „რაც მახსოვს" (53, 148).

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრთა მოლაპარაკების ოსმალეთის მესვეურებთან, რომელიც დასრულდა 1915 წლის 16 სექტემბერს, ოსმალეთის მხრიდან მოსული შემდეგი წერილობითი შეტყობინებით:

„1. ოსმალეთის მთავრობა სცნობს საქართველოს დამოუკიდებლობას და მის უეჭველ უფლებას თავის ნამდვილ ისტორიულ ტერიტორიაზე შემდეგ საზღვრებში: შავ ზღვაზე — აბიშარა — იალბუზი — ბალთა — აზახო — დაღესტნის საზღვრამდე — სალაკათი — გოგჩის (სევანის) ჩრდილოეთ ნაპირამდე — ჩილდირის ტბა — ბალვანა — არტანუჯის ჩათვლით — ძველი საზღვარი. გამყოფი მდინარე ჭოროხი. ქალაქები: ელისავეტპოლი, ალექსანდროპოლი, ერევანი, ყარსი და არტაანი რჩება საქართველოს ტერიტორიის გარეთ.

2. საქართველოს დროებითმა მთავრობამ განთავისუფლებულ ტერიტორიაზე უნდა ჩამოაყალიბოს ოლქი.

3. უშუალოდ ამის გამო, ოსმალეთის მთავრობა ცნობს საქართველოს, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს და მიიღებს მის წარმომადგენლებს.

4. ოსმალეთის მთავრობას არა აქვს არაევითარი პრეტენზია რუსეთის სახელმწიფოს საკუთრებაზე საქართველოში. ქართველი ხალხი მას მიიღებს, ვითარცა კომპენსაციას რუსეთის.

ერიხ ლუდენდორფი

მბრძანებლობის შედეგად მიყენებული ზარალისათვის.

5. ოსმალეთის მთავრობა არ აიღებს საქართველოში არავითარ სამხედრო გადასახადს.

6. ქართველებს უფლება აქვთ თავისუფლად შეიტანონ იარაღი.

7. ოსმალეთის მთავრობა არ შეუქმნის არავითარ სიძნელეებს ქართული ლეგიონის შექმნას ქართული ნაციონალური კომიტეტის მიერ, პირუკუ, გაუადვილებს ამ საქმეს. ლეგიონი შედგება: ა. სამხედრო ტყვეებისაგან; ბ. ოსმალეთში ქართველი ლტოლვილებისაგან; გ. საკუთრივ მოხალისეებისაგან.

8. ლეგიონის ოფიცრებს ასახელებს კომიტეტი.

საქართველო-ოსმალეთის საზღვრები უნდა დააზუსტოს სპეციალურმა კომისიამ (56).

ამ წერილობითი შეტყობინების გამოგზავნამდე, ჯერ კიდევ 1914 წლის შემოდგომაზე, დამოუკიდებლობის კომიტეტი შეუდგა მუშაობას ჭანეთის ტერიტორიაზე (ვიწეში) ქართული საჯარისო ფორმირების — ლეგიონის ჩამოსაყალიბებლად, თუმცა ამ ფაქტს თურქი ხელისუფალნი სიხარულით არ შეხვედრიან.

ქართული ლეგიონის შექმნის საპასუხისმგებლო საქმე იტვირთეს ლეო კერესელიძემ და გერმანელმა ოფიცერმა კიშკემ. ეს უკანასკნელი ითვლებოდა დამოუკიდებლობის კომიტეტის სამხედრო ატაშედ, ხოლო პოლიტიკური ატაშეს როლს ასრულებდა ასევე გერმანელი მოზელი. „ორივენი ბოლომდე დარჩნენ ქართულ კომიტეტთან და მუშაობდნენ მასთან" — ეკითხულობთ კალისტრატე სალიას წერილში „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი პირველი მსოფლიო ომის დროს" (32, 18).

კ. სალიას ცნობით, რომელიც თავისი მხრივ ეყრდნობა დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრის მიხეილ წერეთლის მოგონებებს, „ქართული საქმის" მთავარი მწარმოებელნი გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროში იყვნენ: „მომხსენებელი-მრჩეველი რუდოლფ ნადოლნი, ამავე დროს, გენერალური შტაბის პოლიტიკური სექციის უფროსი და „ლეგაციის სეკრეტარი" ოტო გიუნთერ ფონ ვეზენდოკ. რომლებსაც უდიდესი ღვაწლი მიუძღვით ქართული პრობლემის შესწავლის საქმეში და მთავრობასთან მის დაცვაში" (32, 17).

ლეო კერესელიძემ ქართველთა და მუსლიმ კავკასიელთაგან შექმნა მომავალი ქართული ლეგიონის ბირთვი, რომელიც 70 კაცისაგან შედგებოდა. ქართული ლაშქრის ეს ჩანასახი თავიდანვე აითვალწუნეს თურქებმა, რომლებიც ამიერკავკასიის მიმართ ტრადიციული ექსპანსიონისტური ზრახვებით იყვნენ გამსჭვალულნი და ქართული ლეგიონის სახით პოტენციურ მოწინააღმდეგეს ხედავდნენ. კ. სალიას თქმით: „თურქებს თავისი განსაკუთრებული მიზნები ჰქონდათ. გამარჯვების შემთხვევაში მათ სურდათ სამუსულმანო საქართველოს შეერთება და ამიტომ ეშინოდათ ქართული სამხედრო ძალის შექმნისა, რომელიც შეეიდოდა საქართველოში თუ არა, წინ გადაეღობებოდა თურქების ამ მიზანს" (32, 18).

თურქთა ანექსიონისტური მისწრაფებანი ამიერკავკასიის ქვეყნებისა და კერძოდ საქართველოს მიმართ, კარგად იყო ცნობილი ოსმალეთის მოკავშირეებისთ-

ეის. „1915 წლის 22 აპრილს მიღებულ ცნობაში გერმანიის გენერალური შტაბის უფროსისადმი ნათქვამი იყო, რომ თურქთა დაპირებებს „კომიტეტისადმი“ (იგულისხმება საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი ნ. ჯ.) მხოლოდ ფორმალური ხასიათი აქვს, რომ თურქებს გადაწყვეტილი აქვთ საქართველოში შეჭრის შემდეგ გაანადგურონ ყოველგვარი ეროვნული მოძრაობა და ქართული მიწა-წყალი ომის შემდეგ „უბრალოდ თურქეთის სახელმწიფოს შემოუერთონ“ (22, 51-52).

ახალგაზრდა თურქების კავკასიური პოლიტიკა, რომელიც მზარდ ექსპანსიონიზმს ეფუძნებოდა, დამაჯერებლად არის განხილული პროფ. ოთარ გიგინეიშვილის ფუნდამენტურ ნაშრომში „ნარკვევები ოსმალეთის ისტორიიდან“ (7, 109-154).

თურქებმა დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრთა და მათთან მივლინებულ გერმანელთა განადგურებაც სცადეს. მათ ხანძარი გაუჩინეს იმ სახლს, სადაც კომიტეტის წევრებსა და გერმანელებს ეძინათ, მაგრამ პოლიტიკური ატაშეს — მოზელის სიფხიზლის წყალობით, ეს ინციდენტი უმსხვერპლოდ დამთავრდა (32, 18).

თურქ ხელისუფალთა აშკარად ნეგატიური დამოკიდებულების მიუხედავად, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა, გერმანელთა დახმარებით, მაინც ენთუზიაზმით განაგრძო ქართული ლეგიონის ჩამოყალიბების საშური საქმე. მართალია, მიხეილ წერეთლის აგიტაციის შედეგად მოხერხდა გერმანიისა და ავსტრიის ტყვეთა ბანაკებიდან რამდენიმე ქართველი ოფიცრისა და უნტეროფიცრის ოსმალეთში ჩაყვანა, მაგრამ, როგორც ჩანს, ქართული ლეგიონის ფორმირების პროცესი მაინც არასაკმარისი ტემპით მიმდინარეობდა. ამის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი ის იყო, რომ ქართველ ტყვეთა უმრავლესობას ან არ სჯეროდა ომში გერმანიისა და მისი მოკავშირე ქვეყნების გამარჯვებისა, ანდა რუსეთის იმპერატორისადმი მიცემული სამხედრო ფიცის გატეხვა არ სურდა.

საქართველოს დამოკიდებულობის კომიტეტმა შეადგინა საგანგებო მოწოდება ქართველი სამხედრო ტყვეებისადმი, სახელწოდებით „ქართველებო“ (58). მასში ვკითხულობთ: „...გერმანია გვაძლევს იარაღს და ყველაფერს აუცილებელს ომისათვის და ჩვენ თურქთა ჯარებთან ერთად, რომლებიც ამჟამად ებრძვიან რუსეთს საქართველოს საზღვრებთან და აპირებენ საქართველოში შემოსვლას, როგორც მეგობრები და არა მტრები, უნდა მამაცურად ვიბრძოლოთ საქართველოს სახელმწიფოს აღდგენისათვის... ქართველებო, იმის მაგიერ, ხელთ გვეპყრას რუსული მახვილი და ვემსახუროთ სახელმწიფოს — ჩვენი და მთელი კაცობრიობის მტერს, ისარგებლეთ შემთხვევით და ჩაეწერეთ ქართულ რაზმებში... შესაძლოა თქვენ გაწუხებთ ფიცი, რომელიც მიეცით რუს იმპერატორს, მაგრამ თვით რუსი იმპერატორები არიან ფიცის გამტეხნი, საქართველოსთან 1783 წლის ტრაქტატის დამრღვევნი, საქართველოს პოლიტიკური სახელის წამშლელნი... ჩვენ, როგორც სახელმწიფო, ვებრძვით რუსეთს და მოგიწოდებთ თქვენც სამშობლოს ერთგული სამსახური გაუწიოთ. თქვენი სამშობლო საქართველოა და არა რუსეთი. გაუმარჯოს თავისუფალ, დამოუკიდებელ, დემოკრატიულ საქართველოს, გაუმარჯოს ქართულ სახელმწიფოს, ძირს ტირანები, რომლებმაც გააპარტახეს საქართველო ასწლიანი ბატონობის დროს. დაე, თითოეული ქართველი იქცეს გმირად ამ ბრძო-

ლაში. სჯობს ტყეეობაში სამარცხვინო სიცოცხლეს ამჯობინოთ მშობლიურ ველებზე სიკვდილი“ (39).

ქართული ლეგიონის ჩამოყალიბებისათვის ზრუნვის პარალელურად, დამოუკიდებლობის კომიტეტმა გერმანიაშიც გააააქტიურა მუშაობა, რამაც, როგორც ირკვევა, სასურველი შედეგი გამოიღო. „საქართველოს დამოუკიდებლობის აუარებელი თანამგრძნობი გამოუჩნდა, — წერს კ. სალია, — არა მარტო პოლიტიკურ წრეებში, არამედ ცნობილ მხედართა, მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადოების სხვა გავლენიან პირთა შორის, რასაც დიდი გავლენა ჰქონდა თვით საგარეო საქმეთა სამინისტროზედაც. დაარსდა გერმანულ-ქართული საზოგადოება, რომელშიც შედიოდნენ ცნობილი იურისტები საერთაშორისო სამართლისა, ფრანც ფონ ლისტის თავმჯდომარეობით, რომელიც იყო საქართველოს უფლებათა მუდმივი დამცველი“ (32, 19).

ქართულმა ლეგიონმა საბრძოლო ნათლობა 1914 წლის დეკემბერში, არტაანის აღებისათვის ბრძოლაში მიიღო და საგრძნობი ზარალიც მიაყენა მოწინააღმდეგეს (79, 15).

არსებობს ცნობა, რომ 1916 წელს ქართული ლეგიონი ორი ათას მეომარს ითვლიდა (54). ლეგიონის ადგილსამყოფელი 1915 წლის სექტემბრიდან იყო ქალაქი ტრაპიზონი, 1916 წლის მარტიდან — სამსუნი. აგვისტოდან — კერასუნდი (გირესუნი). აგვისტოს მიწურულიდან — ტირებოლუ, ხოლო 1917 წლის იანვარში კელავ კერასუნდი. ლეგიონს ჰქონდა თავისი სამხედრო ლაზარეთი და სარეკრუტო პუნქტი, აგრეთვე, რეზიდენცია, რომელიც ჯერ ტრაპიზონში მდებარეობდა, შემდეგ სამსუნში, ბოლოს კი კერასუნდში. ლეგიონს სათაეგში ედგნენ ხან გერმანელი, ხან კი ქართველი სამხედრო პირები: ლეო კერესელიძე, ფრიდრიხ ეერნერ ფონ დე შულენბურგი, ლეიტენანტი შედე, მურად ბეი მაღალოვი (მაღალაშვილი), ინგურიძე და უფროსი ლეიტენანტი გრაფი გალენი. საერთოდ, ლეგიონი ექვემდებარებოდა ისტანბულში, გერმანიის მთავარსარდლობის სამმართველოსთან მოქმედ „კაეკასიის ოფიცერთა კავშირს“, რომელსაც ხელმძღვანელობდა გრაფი შულენბურგი. ლეგიონს 1915 წლის მიწურულიდან წრთვნიდა ლეიტენანტი ჰორსტ გუსტავ შლიფაკი. მან შეძლო, რომ ლეგიონში სათანადო დონეზე მდგარიყო სამხედრო დისციპლინა და ბრძოლისუნარიანობა. ლეგიონმა თავი გამოიჩინა კონკრეტულ სამხედრო ოპერაციებშიც. 1916 წლის ნოემბრის ბოლოს, ექვსი ლეგიონერი, საუკეთესო პატრულირებისათვის დაჯილდოედა ოსმალური სამხედრო წარჩინების ნიშნით — რკინის ნახევარმთვარის მედლით, რომელიც პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში დააწესეს თურქებმა გერმანული რკინის ჯვრის წაბაძვით. მიუხედავად ზემოთქმულისა, ოსმალეთის ხელისუფალთა დაჟინებული მოთხოვნით, გერმანიის უმაღლესი სამხედრო მესვეურები იძულებულნი გახდნენ, რომ 1917 წელს დაეშალათ ქართული ლეგიონი (42).

ქართულ ლეგიონს განსხვავებულ სამხედრო ფორმასთან და დროშასთან ერთად, გააჩნდა საკუთარი სამხედრო ჯილდოც (66).

დეეიდ მარშალ ლენგის ცნობით, 1915 წელს, გენერალ ფრიდრიხ ზიგმუნდ კრეს

ფონ კრესენშტაინის ბრძანების თანახმად, ქართულ ლეგიონში დაწესდა სამხედრო წარჩინების ნიშანი — თამარ მეფის ორდენი (91, 239).

აღსანიშნავია, რომ უცხოელი ფალერისტებისათვის ცნობილია ხსენებული ორდენი, იგი ზოგიერთ სახელმწიფო თუ კერძო კოლექციას ამშვენებს საზღვარგარეთ, თუმცა ამ ჯილდოს წარმოშობისა და არსებობის ისტორიასთან დაკავშირებული არაერთი დეტალი კვლავაც ბურუსით არის მოცული.

საყურადღებოა, რომ თამარ მეფის ორდენი ზოგჯერ სხვა სახელწოდებებითაც მოიხსენიება უცხოელ მკვლევართა ნაშრომებში. მაგალითად, დ. ლენგი აღნიშნულ ჯილდოს „თამარ დედოფლის ორდენს" უწოდებს (91, 239), ჯ. რისკი — „წმინდა თამარის ორდენს" (96, 9), ი. სპასკი — „თამარ დედოფლის ვარსკვლავს" (76, 87), ი. ესეეოლოდოვი — „თამარ დედოფლის ნიშანს" (68, 157) და ა. შ.

ვფიქრობთ, რომ ყველაზე ადეკვატური ტერმინია „თამარ მეფის ორდენი". ასევე გამართლებულა ხმარება ტერმინისა „თამარის ორდენი", მით უმეტეს, რომ ამ ჯილდოს ასე იხსენიებს საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის აქტიური წევრი, თვალსაჩინო მეცნიერი მიხეილ წერეთელი (32, 20). აღნიშნული წარჩინების ნიშანი „თამარის ორდენად" არის მოხსენიებული ქართული ემიგრაციის ცნობილი წარმომადგენლის — შალვა მაღლაკელიძის მოგონებებშიც (51, 185).

საინტერესოა, ვის ეკუთვნოდა თამარის ორდენის დაწესების იდეა, ან ვინ იყო მისი ესკიზის ავტორი.

არსებობს ცნობა, რომ 1915 წლის მიწურულს, ქართული ლეგიონის მეთაურის, გენერალ-მაიორის, ბარონ კრეს ფონ კრესენშტაინის თხოვნით, ლეგიონერთა წასახალისებლად, ლეიტენანტმა ჰორსტ შლიფაკმა გამოიგონა „თამარ დედოფლის ნიშანი" (68, 157). თუ ეს ნამდვილად ასე მოხდა, შესაძლებელია, რომ ჰორსტ შლიფაკის კონსულტანტები და თამარის ორდენის დაწესების იდეის ავტორები ქართველები იყვნენ.

ცნობილია თამარის I, II და III ხარისხის ორდენები. სამივე ხარისხის ორდენზე, რეაქმიანი ვერცხლის ვარსკვლავის ცენტრში მოთავსებულია მედალიონი, რომლის ცისფერ მინანქრის ფონზეც გამოსახულია თამარ მეფის მოოქროვილი ვერცხლის რელიეფური პორტრეტი. მედალიონის ირგვლივ ოქროთი მოვარაყებული ზედწერილია: „ქართული ლეგიონი 1915".

I ხარისხის ორდენის დიამეტრია 95 მმ. ცენტრის მედალიონის ზომაა — 27 მმ. მედალიონის გარს აკრავს წერილი ბრილიანტების ორი წყება.

II ხარისხის ორდენის დიამეტრია 78 მმ. მის მედალიონს, რომელიც ჰგავს I ხარისხის ორდენისას, გარს აკრავს წერილი ბრილიანტების მხოლოდ ერთი წყება.

III ხარისხის ორდენის დიამეტრია 71-64 მმ. იგი I და II ხარისხის ორდენებზე მომცროა, მისი მედალიონიც არაფრით განსხვავდება I და II ხარისხის ორდენთა მედალიონებისაგან, თუმცა მას არ აკრავს ბრილიანტების წყება და ვარსკვლავის სხივებიც გლუვი ვერცხლით აქვს დათრთვილული (91, 240).

თამარის I და II ხარისხის ორდენები დამზადებულია გერმანიაში, რასაც ადასტურებს მათ ზურგზე ამოტვიფრული წარწერა „Berlin". III ხარისხის ორდენს ასე-

თამარ მეფის I, II და III ხარისხის ორდენები

თი წარწერა არა აქვს, რის გამოც, მისი დამზადების ადგილი დანამდვილებით არ არის ცნობილი. არსებობს ცნობა, რომ იგი საქართველოშია დამზადებული (61).

აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ნუმიზმატიკის განყოფილებაში (მედლების ფონდი, №770) დაცულია თამარ მეფის III ხარისხის ორდენი. იგი 1969 წლის 15 მარტს შეუწირავს მუზეუმისათვის თინათინ შალვას ასულ ქარუმიძეს. ხსენებული ორდენის აღწერილობა პრესაში მოგვცა პროფესორმა გ. შარაძემ (56).

აღსანიშნავია, რომ გ. შარაძის მიერ აღწერილი თამარ მეფის III ხარისხის ორდენის დიამეტრისა და ცენტრის მედალიონის ზომები განსხვავდება დ. ლენგის მიერ აღწერილი თამარის ანალოგიური ხარისხის ორდენისა და მისი მედალიონის ზომებისაგან, რაც გვაფიქრებინებს, რომ ხსენებული ჯილდოს ეს ორი ეგზემპლარი სხვადასხვა დროს და შესაძლოა, სხვადასხვა ადგილას არის დამზადებული.

თამარ მეფის სამივე ხარისხის ორდენი დაცულია ამერიკის შეერთებული შტატების ნუმიზმატიკური საზოგადოების კოლექციაში (91, 239). პეტერბურგელი ნუმიზმატის პ. პ. კვასკოვის ცნობით, თამარ მეფის ერთი ორდენი ინახება ერმიტაჟის ფონდსაცავშიც (56).

საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცულია დოკუმენტი თამარ მეფის ორდენის მინიჭების წესისა და მისი ორი ხარისხის არსებობის შესახებ, რომელშიც ეკითხულობთ:

„1. ქართული ლეგიონის სამახსოვრო ნიშანი ეძლევა იმ პირთ, რომლებმაც რაიმე თვალსაჩინო სამსახური გაუწიეს ქართულ საქმეს და იმ საპატიო პირთ, რომელთა გავლენასაც შეუძლია სამსახური გაუწიოს ამავე საქმეს.

2. ლეგიონის სამახსოვრო ნიშანი ორგვარია: ერთი — ვერცხლისფერი, მეორე — ოქროსფერი, სადა, თამარის სურათით და წარწერით „ქართული ლეგიონი, 1915 წელი“ მოთავსებული ეარსკელავის ცენტრში... პირველი ეძლევა უბრალო ჯარისკაცებს, მეორე კი უფრო მაღალი ხარისხის პირთ.

3. სამახსოვროს მიცემას ამა თუ იმ პირზე სწყვეტს კომიტეტი თავის კრებაზე, ხმების 2/3-დით.

4. ყველა იმ პირთ, რომელთაც მიეცემათ ქართული ლეგიონის სამახსოვრო ნიშანი, იმავე დროს უნდა მიეცეთ მოწმობა ამ ნიშნის ტარების უფლებისა.

5. მოწმობას ხელი უნდა მოაწერონ თავმჯდომარემ, მდივანმა და კომიტეტის დამსწრე წევრებმა.

6. ამა თუ იმ პირის წარდგენა ამ ნიშნის მისაცემად შეუძლიათ მხოლოდ კომიტეტის ორ წევრს.

7. კომიტეტს აქვს განსაკუთრებული წიგნი, სადაც შეტანილი იქნება სია ყველა იმ პირთა, რომელთაც მიეცათ ეს სამახსოვრო ნიშანი“ (40).

ზემოთ მოყვანილი საბუთი გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ თავდაპირველად, არსებობდა თამარის მხოლოდ I და II ხარისხის ორდენები, ხოლო მათ მოგვიანებით შეემატა III ხარისხისაც. მსგავსი ფაქტები ცნობილია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ფალერისტიკული ძეგლების ისტორიიდან. საგულისხმოა, რომ დოკუმენტში თამარ მეფის ორდენი მოიხსენიება, როგორც „ქართული ლეგიონის სამახსოვრო ნიშანი“. ეს ფაქტი შეიძლება იმით აიხსნას, რომ თამარ მეფის ორდენის თავდაპირველი სახელი „ქართული ლეგიონის სამახსოვრო ნიშანი“ იყო.

„თამარ დედოფლის ორდენი“, როგორც პირველი ქართული ჯილდო მოხსენიებული აქვს თავის ფუნდამენტურ ნაშრომში ცნობილ ჩეხ ფალერისტს ვაცლავ მერჩიკას (93, 232).

თამარ მეფის ორდენის შესახებ ცნობები გვხვდება სხვა უცხოელი ფალერისტების ნაშრომებშიც. ასეთთა შორისაა, მაგალითად, ჯ. რისკის სტატია „საქართველო: წმინდა თამარის ორდენი“ (96, 9), ი. სპასკის წიგნი „უცხოური და რუსული ორდენები 1917 წლამდე“ (76, 87), ი. ვსეეოლოდოვის წიგნი „საუბრები ფალერისტიკის შესახებ“ (68, 157-158) და სხვ.

საგულისხმოა, რომ ცნობილი რუსი მკვლევარი ივან სპასკი თამარის ორდენს

გარეგნულად პრუსიულ ჯილდოს — წითელი არწივის ორდენის ვარსკვლავს ადარებს (76, 87).

მემედ აბაშიძე

რუსი ფალერისტი იგორ ესეეოლოდოვი წერს, რომ თავდაპირველად, თამარის ორდენს „თამარ დედოფლის ნიშანი" ერქვა, ხოლო შემდეგ, მას ეწოდა „წმინდა თამარის ორდენი" (68, 157).

არსებობს ცნობა, რომ თამარის ორდენი 1916 წლის იანვარში დაწესდა გერმანიის გენერალური შტაბისა და საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის შეთანხმების შედეგად. ამავე ცნობის თანახმად, ლეიტენანტმა ჰორსტ შლიფაკმა, ლეგიონის მეთაურის კურტ ფონ გალენის საშუალებით, შესთავაზა საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრებს, რათა მათ „თამარ დედოფლის ნიშანი" ექციათ ქართულ ჯილდოდ — „თამარ დედოფლის ორდენად" (73).

თამარის ორდენის კავალერი შეიძლებოდა გამხდარიყო ისიც, ვინც არ შედიოდა ქართულ ლეგიონში, მაგრამ რაიმე სერიოზულ სამსახურს გაუწევდა გერმანულ-ქართულ სამხედრო-პოლიტიკურ ალიანსს. ასეთთა შორის იყვნენ, როგორც ქართველები, ასევე გერმანელები.

თამარ მეფის ორდენის ქართველ კავალერთა საპატიო რიგშია გულმხურვალე მამულიშვილი, „სამუსულმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის" მესვეური მემედ აბაშიძე (1873-1937). ამ წარჩინების ნიშნით იგი დაუჯილდოებიათ 1918 წლის 10 სექტემბერს, ბერლინში. ამ ფაქტთან დაკავშირებით გაიცა ოფიციალური დოკუმენტიც. მოწმობაში, რომელსაც ხელს აწერენ „საქართველოს დამოუკიდებლობის პარტიის უცხოეთში მოქმედი კომიტეტის" წევრები — გიორგი კერესელიძე, მიხეილ წერეთელი, ალექსანდრე გოზალიშვილი და ზია ბეგ აბაშიძე (მემედ აბაშიძის ღვიძლი ბიძაშვილი), ეკითხულობთ:

„მემედ-ბეგ აბაშიძეს

მოსაგონებლად იმ ძვირფასი სამსახურისა, რომელიც თქვენ მიგიძღვით ჩვენს საქმეში, გვაქვს პატივი მოგაწოდოთ სამახსოვრო ნიშანი ქართველთა ლეგიონისა.

ნიშანი უნდა იტარებოდეს მკერდის მარცხენა მხარეზე ქვემოდან" (56).

მოჩუქურთმებულ ჩარჩოში ჩასმულ ამ საბუთზე, ტექსტის ზემოთ, ცენტრში გეხედება თამარ მეფის III ხარისხის ორდენის მსგავსი გამოსახულება.

1918 წლის 10 სექტემბერს, მემედ აბაშიძესთან ერთად, თამარის III ხარისხის



მემედ აბაშიძის თამარ მეფის ორდენით დაჯილდოების დამადასტურებელი დოკუმენტი

ორდენით დაჯილდოეს, აგრეთვე, „სამუსულმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის“ წევრი, ცნობილი მამულიშვილი და საზოგადო მოღვაწე ყადირ შერვაშიძე (1887-1919). შემონახულია მისი დაჯილდოების დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტი, რომელიც დაჯილდოებულის გვარ-სახელს თუ არ ჩავთვლით, აბსოლუტურად იდენტურია მემედ აბაშიძის დაჯილდოების აღმნიშვნელი საბუთისა (45, 26). აქვე შევნიშნავთ, რომ ყადირ შერვაშიძის შესახებ მრავალი საინტერესო მასალა მოიძია ბათუმში მოღვაწე მწერალმა რამაზ სურმანიძემ და სწორედ მისი დამსახურებაა, რომ თამარის ორდენის ხსენებული კავალრის სახელი არ შთანთქა დავიწყების ბურუსმა (47, 96-106).

ყადირ შერვაშიძე

მემედ აბაშიძისა და ყადირ შერვაშიძის თამარ მეფის ორდენით დაჯილდოების დამადასტურებელ საბუთებზე, ტექსტის ქვემოთ, მარცხენა მხარეს არის დასმული მრგვალი ბეჭედი წარწერით: „საქართველოს დამოუკიდებლობის პარტია. უცხოეთში მოქმედი კომიტეტი“.

დავით ვაჩნაძე

თამარის ორდენის კავალერი იყო გამოჩენილი მამულიშვილი და შემდგომში ჩვენი ემიგრაციის ცნობილი წარმომადგენელი დავით (დათა) ვაჩნაძე (1884-1962). თავის მოგონებებში იგი წერს: 1918 წელს „გერმანულ და ქართულ შტაბებთან ერთად ვიღებ მონაწილეობას საქართველოს ჯარის ორგანიზაციის პროექტის შედგენაში. ოქტომბერში დაჯილდოებული ვარ „თამარ მეფის ორდენით“ დამოუკიდებლობის კომიტეტის მიერ“ (11, 130). ჯერჯერობით, არ არის ცნობილი, თუ თა-

მარის რომელი ხარისხის ორდენით დაჯილდოედა დავით ვაჩნაძე.

თამარის ორდენის ქართველ კავალერთა შორის ღირსეული ადგილი უკავია საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის თვალსაჩინო წევრს, ქართული ლეგიონის ჩამოყალიბების ერთ-ერთ ინიციატორსა და ხელმძღვანელს გენერალ ლეო კერესელიძეს. ბათუმელი ინტელიგენტი მურად ნიჟარაძე იგონებდა: „მე ამ ომის (იგულისხმება მეორე მსოფლიო ომი ნ. ჯ.) დროს პირადად მინახავს და არაერთხელაც, ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი, არწივივით მომზირალი თვალებით, მუდამ შემართული და დაუდგრომელი ბატონი ლეო რა სიამაყით ატარებდა ამ ორდენს. კარგად მახსოვს, ახალ ლეგიონერებს გვესაუბრა მასზე. ჩვენი დიდი დედის — წმინდა თამარის ორდენი, ყველა ქართველს უნდა აღაფრთოვანებდეს სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაშიო“ (45, 25).

აღსანიშნავია, რომ პირველი მსოფლიო ომის წლებში, გერმანულ წყალქვეშა ნავებს, შავი ზღვის საშუალებით საქართველოში ზოგჯერ გადმოყავდათ დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრები და გადმოჰქონდათ საომარი საჭურველი თუ ფული. ცნობილია, რომ 1916 წლის დასაწყისში ფოთის სიახლოვეს გადმოსულა 12-კაციანი ჯგუფი, რომელსაც მნიშვნელოვან თანხასთან ერთად გადმოუტანია „რაღაც დოკუმენტები“ და მოსახლეობაში გასავრცელებელი საგანგებო მოწოდებები (41).

1917 წლის 8 ოქტომბერს, დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრებმა, მ. წერეთლის მეთაურობით, გერმანული წყალქვეშა ნავით საქართველოში (ფოთსა და ანაკლიას შორის) საიდუმლოდ შემოიტანეს დიდძალი იარაღი და ფული (11,141). ამ ოპერაციის წარმატებით განხორციელებაში, კერძოდ, შემოზიდული იარაღის დაბინავებაში დიდი წელილი შეიტანა სამეგრელოს მთავრის ყოფილმა მოურავმა ნიკო ხორავამ. მისი დაჯილდოების ამბავი ამაღელვებლად აქვს გადმოცემული მ. წერეთელს. იგი იხსენებდა: „შევედით სახლში და მოგვეგება პატრონი მისი, შესანიშნავი მოხუცი ნიკო ხორავა... მივართვით თამარის ორდენი, რომელიც 1916 წელს ქართული კომიტეტისაგან იყო დაარსებული. ნიკომ აიღო თამარის ორდენი, დახედა თამარ დედოფლის სურათს, განაპყრო ხელები და თქვა სახარების სიტყვები: აწ განუტევე მონა შენი. უფალო, რამეთუ ვიხილე მაცხოვრებაი შენი.. თამარის ქვეყანაში, მისი ქვეყნის განთავისუფლებისათვის ხალხი მეწვია ჩემს ქოხში“ (32,20).

თამარის ორდენის გერმანელ კავალერთა სათავეში დგას გერმანიის შეიარაღებულ ძალთა სახელოვანი მთავარსარდალი, გენერალური შტაბის ხელმძღვანელი გენერალ-ფელდმარშალი პაულ ფონ ჰინდენბურგი (1847-1934). სწორედ მას ხედა პატიები წილად — ყოფილიყო თამარ მეფის ორდენის პირველი კავალერი (73; 45,24).

1917 წლის მაისში, ქართული ლეგიონის ოსმალეთიდან რუმინეთში გადაყვანისა და დაბინავების საქმეში გაწეული სამსახურისათვის, თამარის ორდენით დაჯილდოეს გერმანიის კაიზერ ვილჰელმ მეორის ვაჟი პრინცი ეოლდემარ ჰოჰენცოლერნი (45, 24).

თამარ მეფის ორდენით სხვადასხვა დროს დაჯილდოედნენ: გენერლები ერიხ

ლუდენდორფი და ფონ ლოსოეი, კაპიტანი ფონ დერ შულენბურგი (რომელიც ერთხანს გერმანიის კონსულად მუშაობდა თბილისში), უფროსი ლეიტენანტი გრაფი კურტ ფონ გალენი, ლეიტენანტი შედე, დოქტორი ფრიშკე და „რამდენიმე ავსტრიელი მოქალაქე“ (73; 45,24).

მას შემდეგ, რაც მიღებულ იქნა გადაწყეტილება ქართული ლეგიონის დაშლის შესახებ, ლეიტენანტმა შედემ სთხოვა კონსტანტინეპოლში მყოფ „კავკასიის ოფიცერთა კავშირის“ მეთაურს ფონ დერ შულენბურგს, რომ ლეგიონის ოფიცერთა შუამდგომლობის საფუძველზე, თამარის ორდენით დაეჯილდოებინათ ყველა ლეგიონერი. ამის შემდეგ დაამზადეს თამარის ორდენები — თანმხლები დოკუმენტებითურთ (73).

1918 წლის ივნისში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თხოვნით, თბილისში ჩამოვიდა ორი ბავარიული ათასეული (სულ 1.800 კაცი) და გერმანიის სამხედრო-დიპლომატიური მისია გენერალ კრეს ფონ კრესენშტაინის მეთაურობით (11.152). გერმანულმა ათასეულებმა დიდი დახმარება გაუწიეს საქართველოს თურქ დამპყრობელთა ალაგმვაში, რომლებიც ისტორიული ქართული მიწა-წყლის მიტაცებას ლამობდნენ.

პაულ ფონ პინდენბურგი

სახელოვანი მხედრის, 1939 წელს, გერმანელ ოკუპანტთა მიერ „პოლონეთის დამცველ უკანასკნელ რაინდად“ აღიარებული გენერლის ალექსანდრე ზაქარიაძის ცნობით, თურქებთან ბრძოლას შეეწირა 14 გერმანელი ჯარისკაცი და 2 ოფიცერი (13,51).

საგულისხმოა, რომ დამოუკიდებელი საქართველოს მესვეურები ერთობ და-

დებით შეფასებას აძლევდნენ გერმანელთა ყოფნას საქართველოში.

ნოე ჟორდანიას თქმით, საქართველოს სუვერენულ უფლებათა პატივისცემისა და შინაურ საქმეებში ჩაურეველობის „დაუვიწყარი მაგალითი მოგვცა გერმანიის ჯარების სარდლობამ. ჩვენ სოციალისტები და დემოკრატები, ისინი მონარქისტები, აზნაურები, განსხვავება პოლიტიკური და იდეოლოგიური იყო დიდი. მიუხედავად ამისა, ჩვენი ურთიერთშორის დამოკიდებულება იყო ლოიალური, მეგობრული, გულწრფელი" (31,91).

გერმანელ მოკავშირეებს არც ქართველები დარჩენენ ვალში.

პირველ მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხების შემდეგ, საქართველოში მყოფი გერმანული მისია, თავისი ჯარის ნაწილებითურთ, იძულებული გახდა სამშობლოში დაბრუნებულიყო. საქართველოს სამხედრო-პოლიტიკურმა წრეებმა და ქართველმა მამულიშვილებმა ღირსეულად გააცილეს გერმანელი მეგობრები. მათ მატარებელს, ინგლისელთაგან დასაცავად, ფოთამდე გაჰყვა 30 რჩეული ქართველი ჯარისკაცი კაპიტან გიორგი აფხაზის მეთაურობით (11, 162).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის მოადგილის, გენერალ სიმონ მდივნის 1918 წლის 13 დეკემბრის № 5352 ბრძანებულების თანახმად. ყველა გერმანელი ოფიცერი და ჯარისკაცი, რომელიც 1918 წლის 4 ნოემბრის შემდეგ იმყოფებოდა საქართველოში, მის წინაშე დამსახურებისათვის, ღებულობდა უფლებას ეტარებინა „წმინდა თამარის ორდენი" (68,157).

ამ ბრძანებულებიდან ნათელი ხდება, რომ თამარ მეფის ორდენმა 1918 წლის მიწურულს არსებითად სამახსოვრო მედლის ფუნქცია შეიძინა. ბრძანებულებაში უკვე გამოკვეთილად ჩნდება ქართული მხარის პრეროგატივა ორდენით დაჯილდოებაზე, რაც მეტად საყურადღებო ფაქტია.

ფონ დერ პოლცი (პოლც-ფაშა)

აღნიშნული ბრძანებულება წაკითხულ იქნა საქართველოში დისლოცირებულ ყველა გერმანულ საჯარისო ნაწილში. ამას მოჰყვა ბარონ ფონ დერ ჰოლცის ბრძანებულება, რომლის მიხედვითაც, თამარის ორდენით დაჯილდოებულებს შეეძლოთ მიეღოთ მათი დაჯილდოების დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტი, ხოლო ორდენი შეეძინათ საკუთარი სახსრებით (73). დაჯილდოებულთ უფლება ჰქონდათ, რომ გარკვეული საზღაურის ფასად, გერმანიაში დაემზადებინათ თამარის ორდენები (68,158).

არსებობს ცნობა, რომ თამარის ორდენით დაჯილდოვდა 2500 გერმანელი ჯარისკაცი და 300 ოფიცერი (68,158). ამავე დროს, არ არის დადგენილი, თუ ვის რომელი ხარისხის ორდენი გადაეცა.

თამარ მეფის ორდენის გერმანელი კავალრების ერთი ნაწილი, როგორც ჩანს, საქართველოდან წასვლის შემდეგაც სიამაყით ატარებდა ამ საპატიო ჯილდოს. საინტერესო მოგონებას გვაწვდის მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანელთა ტყვეობაში მყოფი, შემდეგში ცნობილი ჟურნალისტი ივანე ჯავახიშვილი, რომელიც წერს: „აბა რას ვიფიქრებდი თუ ჰიტლერელებთან გამძვინვარებული ბრძოლის ჟამს მოულოდნელად ვნახავდი გერმანულ უნიფორმაში ჩაცმულ ჯარისკაცს, რომლის მკერდს 1915 წელს საქართველოში დამზადებული თამარ მეფის ორდენი ეკეთა. ფრიად განვცვიფრდით, როცა ოკუპანტებს ერთი ხნიერი მებადრაგე გამოეყო, ქართველ ტყვეთა მცირე ჯგუფთან მოვიდა და საქართველოს ქება-დიდება დაიწყო მონდომებით და ალალად გვაგრძნობინა: ქართველებს სიმპატიითა და პატივისცემით ვეპყრობიო. ალბათ ამიტომაც მოინდომა ამ ჯილდოს ჩვენება. თავისი ასეთი განწყობილების მიზეზად ის დაასახელა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ნიადაგის მომზადებას პირველი მსოფლიო ომის პერიოდში მაშინდელმა გერმანიამაც გაუმართა ხელი. ცნობილია, რომ გენერალ გიორგი მაზნიაშვილის მეთაურობით ქართულმა ჯარმა ბათუმი დაიბრუნა და როგორც მებადრაგემ განაცხადა, მაშინდელ სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობისათვის იგი თამარ მეფის მესამე ხარისხის ორდენით დაუჯილდოებიათ, რომელიც 1915 წელს საქართველოში მოიჭრა“ (61).

თამარის ორდენი რომ დიდი პოპულარობით სარგებლობდა, როგორც ქართველთა, ასევე გერმანელთა შორის, ამაზე მეტყველებს მისი აღდგენის ფაქტი მეორე მსოფლიო ომის დროს. ამ საქმის ინიციატორები იყვნენ გერმანიის გენერალური შტაბის „მილიტერბერატერი“ (სამხედრო მრჩეველი), ობერსტი (პოლკოვნიკი) შალვა მაღლაკელიძე და გამოჩენილი მეცნიერი მიხეილ წერეთელი. შ. მაღლაკელიძე იგონებდა: „1942 წელს საქართველოს მისადგომებთან ის გერმანული ჯარი იდგა, რომელშიც ბევრი ერია ოფიცრები (ან ოფიცრები მერე გახდნენ) იმ ბავარიული დივიზიიდან, რომელიც საქართველოში იმყოფებოდა 1918 წელს. ბევრ მათგანს მაშინვე დაურიგდათ სამახსოვროდ ე. წ. „თამარის ორდენი“ ჩვენი მთავრობისაგან. მაგრამ ბევრს ახლაც სურდათ. ამიტომ მე და მიხაკო წერეთელმა... 1941 წელს ჩემი ხარჯებით ჩამოვასხმევინეთ ეს ორდენი და თითოეული ორდენის საბუთს მე და მიხაკო ვაწერდით ხელს. ბევრ მსურველს მივეცი აქ ეს ორდენი და მოვინადირე მათი გული. გენერალი მაკენზენისათვის, ცნობილი სარდლის შვილისათვის, რომელიც 1918 წელს ბავარიულ დივიზიაში ლეიტენანტი იყო საქართველოში ყოფნისას და ახლა შტაბს ხელმძღვანელობდა, — მიხაკოს მიუცია ეს ორდენი“ (51, 185-186).

საფიქრებელია, რომ 1941 წელს აღდგენილი თამარ მეფის ორდენი გარეგნულად 1915 წელს დამზადებული თამარ მეფის III ხარისხის ორდენის მსგავსი იყო. ტექნიკური თუ ფინანსური თვალსაზრისით მისი ამ სახით ჩამოსხმა ბევრად უფრო იოლი და ხელმისაწვდომი იქნებოდა, ვიდრე თამარ მეფის I და II ხარისხის ორდე-

შალვა მაღლაკელიძე
(1943 წ.)

ნების მსგავსად, რომელთა მედალიონებსაც ბრილიანტების რკალი ჰქონდა შემოვლებული. შესაძლოა, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს დამზადებულ თამარ მეფის ორდენს გააჩნდა თავისი საორდენო ბაფთაც — სამკუთხედის ფორმის მომცრო შინდისფერი ლენტი თეთრი ფერის ვერტიკალური ზოლებით. ამას გვაფიქრებინებს 1943 წელს გადაღებული და ამჟამად თამარ შალვას ასულ მაღლაკელიძის საოჯახო არქივში დაცული ერთი ფოტოსურათი, რომელზედაც ვამოსახულ ჩოხოსან მაღლაკელიძეს მკერდი ზემოთ აღწერილი გარეგნული სახის მქონე წარჩინების ნიშნით აქვს დამშვენებული. თუ ეს ჯილდო ნამდვილად თამარის ორდენია, რისი გარკვევაც ჯერჯერობით ვერ ხერხდება. მაშინ ამ ფოტოსურათით ნათელი ხდება 1941 წელს აღდგენილი თამარის ორდენის კიდევ ერთი კავალრის ვინაობა.

1915 წელს დაწესებული თამარ მეფის ორდენით დაჯილდოება, როგორც ჩანს, შეწყდა 1918 წლის ბოლოს (93, 232). ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით არ მოგვეპოვება ცნობა იმის თაობაზე, რომ 1918 წლის შემდეგ, აღნიშნული ორდენით ვინმე დაჯილდოებინოთ. ამდენად, ეჭვქვეშ დგება მოსაზრება, რომლის მიხედვითაც თამარ მეფის ორდენმა არსებობა მხოლოდ საქართველოს იძულებითი გასაბჭოების შემდეგ შეწყვიტა (68,158).

საფიქრებელია, რომ 1941 წელს აღდგენილი თამარ მეფის ორდენით დაჯილდოება შეწყდა მეორე მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხების შემდეგ.

ამ თავში წარმოდგენილი თამარ მეფის ორდენის კავალერთა სია, ბუნებრივია, შესავსებია. ამ ორდენით დაჯილდოებულთა შორის შესაძლოა იყვნენ: პეტრე სურგულაძე, გიორგი მაჩაბელი, გიორგი კერესელიძე, მიხეილ წერეთელი, ნესტორ მაღალაშვილი, ზია ბეგ აბაშიძე, შალვა ვარდიძე, მელიტონ ქარცივაძე, ალექსანდრე გოზალიშვილი, შალვა ქარუმიძე და სხვები, რომელთაც გარკვეული წვლილი შეიტანეს გერმანულ-ქართული სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის ჩამოყალიბებისა თუ განმტკიცების საქმეში.

ამრიგად, თამარ მეფის ორდენის დაწესებისა და არსებობის ისტორია გადაჯაჭვულია პირველ მსოფლიო ომში გერმანიის მხარეზე მებრძოლი საქართველოს და-

მოუკიდებლობის კომიტეტისა და ქართული ლეგიონის ისტორიასთან, ხოლო ა
ჯილდოს აღდგენის ფაქტი 1941 წელს — უკავშირდება მეორე მსოფლიო ომში ასე-
ვე გერმანელთა მხარდამხარ მებრძოლ ქართველ მხედართა ისტორიას. ხსენებული
წარჩინების ნიშნის კავალერთა შორის არიან, როგორც გერმანელები, ასევე ქარ-
თველები. აქედან გამომდინარე, თამარ მეფის ორდენი არსებითად გერმანულ-ქარ-
თული სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის ჯილდოა, თუმცა, ამავე დროს, იგი პირ-
ველ ქართულ ორდენადაც შეიძლება ჩაითვალოს.

2. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოები

რუსეთის ცარისტული იმპერიის დანგრევისა და დროებითი მთავრობის დამ-
ხობის შემდეგ, კავკასიის ფრონტის ხაზი თანდათან მოირღვა და ბოლოს სრული-
ად დაიშალა. რუსმა ოფიცრებმა და ჯარისკაცებმა მასობრივად მიაშურეს რუსეთს.

რუსთა ჯარების წასვლამ და ფაქტობრივად მოწინააღმდეგის გარეშე დარჩე-
ნამ ფრთები შეასხა ოსმალეთის მმართველ წრეებს, რომლებიც ძველთაგანვე ოცნ-
ებობდნენ ამიერკავკასიის დაპყრობაზე. თურქი ექსპანსიონისტებისათვის ამიერ-
კავკასია ის სანუკვარი კორიდორი იყო, რომელიც მათ რუსეთის ყოფილი იმპერი-
ის ტერიტორიაზე მცხოვრებ თურქული მოდგმის ხალხებთან აკავშირებდა. ამი-
ერკავკასიის დამორჩილების შემდეგ უკვე რეალურად შეიძლებოდა ფიქრი ყოველ-
თა თურქთა მსოფლიო სახელმწიფოს, დიდი და ძლევამოსილი „თურანის" შექმნა-
ზე ოსმალეთის იმპერიაში მცხოვრები თურქების ჰეგემონიით.

1918 წლის გაზაფხულისათვის საქართველო თურქული ოკუპაციის საფრთხის
წინაშე აღმოჩნდა. იმდროინდელი მდგომარეობის სირთულეზე მეტყველებს თუნ-
დაც ახლადდარსებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა
საბჭოს გმირული, ფაქტობრივად თავგანწირული გადაწყვეტილება, რომელშიც
ნათქვამი იყო: „უნივერსიტეტი არ დაიკეტოს და ლექციების კითხვა გაგრძელდეს.
იმ სტუდენტთა და მსმენელთათვის, რომლენიც ომში წავიდნენ, გამოტოვებული
ლექციები განმეორებულ იქნეს... ეთხოვოს ვისაც ჯერ არს — დაყენებულ იქნეს
საიმედო დარაჯები და ყოველგვარი ზომები იქნეს მიღებული, რომ საომარ ასპა-
რეზად არ გახდეს უნივერსიტეტისა და მუზეუმების ახლომახლო მიდამოები. სა-
შიშროების მოახლოების დროს პროფესორები უნივერსიტეტის შენობაში უნდა
დარჩნენ და ხელი შეუწყონ მის დაცვას" (46, 161).

სამშობლოს დასაცავად ქართველმა პატრიოტებმა დაუყოვნებლივ ჩამოაყა-
ლიბეს სახალხო რაზმები და თავდაუზოგავად ეკვეთნენ სამხრეთიდან მოწოლილ
თურქებს. მტერთან ბრძოლაში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ეალოდია გოგუ-
აძემ (1880-1954), რომლის ჯავშნოსანმა მატარებელმა მუსრი გაავლო თითქმის ქა-
ლაქ ოზურგეთამდე მოსულ თურქებს.

1918 წლის 13 აპრილს, ამიერკავკასიის საოლქო დელეგატთა სხდომაზე, ნოე

ჟორდანიას, ირაკლი წერეთლისა და ევგენი გეგეჭკორის წარდგინებით, სამშობლოს დაცვისათვის, ეალოდია გოგუაძე „რეეოლუციის პირველ გმირად“ გამოაცხადეს (53, 445-446).

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე (1918 წლის 26 მაისი), მთელი სიმწვავით დაისვა რეგულარული ქართული არმიის ჩამოყალიბების საკითხი.

ეროვნული ჯარის ფორმირების საშური პროცესი თავიდანვე არასათანადო ტემპით წარიმართა. ეს სამწუხარო მოვლენა, სხვა მიზეზებთან ერთად, განაპირობა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსურმა ხელმოკლეობამ. სწორედ ახალგაზრდა რესპუბლიკის ფინანსურ-ეკონომიკურმა სისუსტემ აიძულა საქართველოს სამხედრო მინისტრის მოადგილე და მთავარსარდალი გენერალი გიორგი კვინიტაძე (1874-1970), რომ ქვეყნის დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველივე დღეებში შეექმნა საგანგებო მოწოდება, რომელიც 1918 წლის 8 ივნისს გამოქვეყნდა გაზეთ „სახალხო საქმის“ ფურცლებზე. გენერალი კვინიტაძე თავის მოწოდებაში აცხადებდა: „ყველამ იცის, რომ ჩვენ სამშობლოს ფული ესაჭიროება. განსაკუთრებით დიდია ეს საჭიროება ეხლა, როდესაც დამოუკიდებელ ცხოვრებას ვიწყებთ. მივმართავ ყველა სამხედრო პირს, ოფიცრებს, მოხელეებსა და ჯარისკაცებს, რომელნიც საქართველოს რესპუბლიკის ჯარში მსახურობენ: ფინანსთა სამინისტროს ოქრო სჭირდება. ის ჩვენ გვაქვს. დეე, ყოველმა ჩვენგანმა გადასცეს თავისი ორდენები სახელმწიფოს ოქროს ფონდის შესაქმნელად. ჩვენ არ დაგეშურია სამშობლოსათვის არც ჯანსაღობა, არც სიცოცხლე; მრავალმა შესწირა თავისი სიცოცხლე სამშობლოს. მრავალი სამუდამოდ არის დასახიჩრებული და ნუთუ ეხლა, ამ მძიმე პირობებში კიდევ არ მივიტანთ მსხვერპლს ჩვენი ნორჩი სამშობლოს ასაყვავებლად? მწამს, რომ ჩემი მოწოდება იპოვის გამოძახილს აღდგენილ საქართველოს მოყვარულთა გულში; მწამს, რომ ჩვენ კიდევ მივიტანთ მსხვერპლს სამშობლოს საკურთხეველზე. რასაკვირველია, ყველასათვის ძვირფასია შრომით და სისხლით დამსახურებული ორდენი, რადგან ეს არის მისი გმირული საქმეების სახსოვარი. ორდენი არის სიმბოლო ჩვენი პატიოსანი სამსახურისა. მაგრამ სამშობლოს სიყვარულმა უნდა ჩაახრჩოს ყველა დანარჩენი გრძნობა და მე მწამს, რომ ჩემი მოწოდება არ დარჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“.

დღეს მე გადავეცი ყველა ორდენი, რაც კი იაპონიისა და თანამედროვე ომის დროს მივიღე: დავიტოვე მხოლოდ წმ. გიორგის მე-4 ხარისხის ორდენი“.

გ. კვინიტაძის მოწოდებას არაერთი ქართველი პატრიოტი გამოეხმაურა, რომლებმაც უყოყმანოდ და დიდსულოვნად დათმეს თავიანთი გარჯისა და სისხლის ფასად მოპოვებული ჯილდოები სამშობლოს ძლიერების განსამტკიცებლად. თვითონ გენერალმა კვინიტაძემ ამ მამულიშვილურ საქმეს შესწირა: წმინდა ანნას II და III ხარისხის, წმინდა სტანისლავის II და III ხარისხის ორ-ორი ორდენი და წმინდა ვლადიმირის IV ხარისხის სამი ორდენი (60).

დამოუკიდებელი საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური წრეები თავიდანვე შეუდგნენ ქართული არმიის შექმნისათვის მზადებას. სამხედრო პროფილის ჟურ-

ნალებში: „მხედარსა“ და „რესპუბლიკის ჯარში“ ხშირად იბეჭდებოდა წერილები ეროვნული ჯარის ჩამოყალიბების, ქართველი ჯარისკაცის ფორმისა და სხვა მნიშვნელოვანი პრობლემების შესახებ, თუმცა, როგორც ჩანს, რეალურად არასდროს არ დასმულა საკითხი ეროვნული წარჩინების ნიშნების დაწესების შესახებ. რაც შეეხება იმხანად არსებულ არასამთავრობო ჯილდოს — თამარ მეფის ორდენს, რომლის შესახებაც უკვე გვქონდა საუბარი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება მას არ იყენებდა. სამწუხაროდ, როგორც ირკვევა, დამოუკიდებელი საქართველოს მესვეურთაგან არავის არ უზრუნვია, რომ პირველი ქართული წარჩინების ნიშანი — თამარ მეფის ორდენი რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოდ ექცია. ის ფაქტი, რომ გერმანელ მოკავშირეთა თამარის ორდენებით დაჯილდოების ბრძანებულებას საქართველოს სამხედრო მინისტრის მოადგილემ სიმონ მდივანმა მოაწერა ხელი — გამონაკლის შემთხვევად უნდა ჩაითვალოს.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის, ისევე როგორც ამიერკავკასიის კომისარიატისა და სეიმის არსებობის ხანაში გრძელდებოდა რუსეთის საიმპერიო წარჩინების ნიშნებით — გიორგის ჯვრებით დაჯილდოების ტრადიცია, რომელიც შეწყდა საქართველოს ძალდატანებითი ვასაბჭოების შემდეგ.

საინტერესოა გიორგის ჯვრის, როგორც რუსული სახელმწიფო ჯილდოს დაწესების ისტორია

1769 წელს გენერალთა. ადმირალთა და ოფიცერთა დასაჯილდოებლად რუსეთ-



გიორგის ჯვრები (I, II, III და IV ხარისხის)

ქაქუცა ჩოლოყაშვილი

ში დაწესდა წმინდა გიორგი ორდენი, 1807 წელს კი ამ ორდენის წარჩინების ნიშანი, რომელსაც 1913 წლიდან „გიორგის ჯვარი“ ეწოდა. ეს ჯვარი იყო ოთხი ხარისხის და გაიცემოდა, როგორც სამხედრო ჯილდო უნტერ-ოფიცერთა და ჯარისკაცთათვის მისი კავალრები თავისუფლდებოდნენ რუსეთის საიმპერიო არმიაში ფართოდ გავრცელებული ფიზიკური დასჯისაგან (74,4-5).

პირველი მსოფლიო ომის დროს, გიორგი ჯვრით დაჯილდოვდა მრავალი ღირსეული ქართველი მებრძოლი. საკმარისია ითქვას, რომ ამ ჯილდოს კავალერი იყო საქართველოს ეროვნული გმირი ქაქუცა (ქაიხოსრო) ჩოლოყაშვილი (1888-1931). მისი ხმალ-ხანჯლის, აღნიშნული ჯილდოსა და სხვა პირადი ნივთების ისტორია საინტერესოდაა ვადმოცემული პაატა ნაცვლიშვილის წიგნში „საქართველოს მიწა“ (28,43-84).

პირველი მსოფლიო ომის პერიოდში, გიორგის ჯვრით დაჯილდოვდა, აგრეთვე, კავკასიის ფრონტზე მებრძოლი და შემდეგში ჩვენი ემიგრაციის ცნობილი წარმომადგენელი შალვა მაღლაკელიძე (1894-1976), რომელმაც ერთ-ერთი სამხედრო ოპერაციის დროს, თურქთა ოცეული დაატყვევა (51,33).

აღსანიშნავია, რომ რუსეთის დროებითი მთავრობის გადაწყეტილებით, 1917 წლის იენისიდან ოფიციალურად მოიხსნა შეზღუდვა გიორგის ჯვრებით დაჯილდოებაზე. ამ წარჩინების ნიშნის კავალერი უკვე შეიძლებოდა გამხდარიყო ოფიცერიც, ოღონდ თუკი იგი მამაცობას გამოავლენდა უშუალოდ ბრძოლის ველზე და ჯარისკაცებიც თანხმობას განაცხადებდნენ მის დაჯილდოებაზე (68,83).

1918 წლის 8 აპრილს, მდინარე ჩოლოქთან მომხდარ სისხლისმღერელ ბრძოლაში, სახელდახელოდ შეკრებილმა ქართულმა სახალხო ლაშქარმა სასტიკი მარცხი აგვმა ოსმალეთის რჩეულ გალიპოლის დივიზიას, რომელიც შვიდი ათასი მებრძოლისაგან შედგებოდა. სხვა ქართველ მეომრებთან ერთად, ბრძოლაში თავი ისახელეს ვალოდია გოგუაძის ჯავშნოსანი მატარებლის რაზმელებმა — ძმებმა ალექსანდრე და პორფილე გორგოშიძეებმა, რისთვისაც ისინი დაჯილდოვდნენ გიორგის ჯვრებით (30,13).

შავი ზღვის სანაპიროზე მიმდინარე ანტიბოლშევიკურ ბრძოლებში აქტიური

მონაწილეობისათვის წმინდა გიორგის ჯარისკაცის ჯვარი მიეკუთვნა დამოუკიდებელი საქართველოს პირველი სამხედრო ხომალდის — „პატარა კახის“ კაპიტანს ლეიტენანტ დოღობერიძეს (6,28).

გიორგის ჯვრის ქართველ კავალერთა საპატიო რიგშია სრულიად ახალგაზრდა რაინდი იოსებ ივანეს ძე ჯანდიერი (1901-1921). იგი მოხალისედ წავიდა 1918 წლის სომხეთ-საქართველოს ომში, სადაც მან თავი ისახელა დაბა შულავრის აღებისათვის ბრძოლაში და ჩვიდმეტი წლის ჭაბუკმა ღირსეულად დაიმსახურა „წმინდა გიორგის სალდათის ჯვარი“. ამის შემდეგ, იგი მონაწილეობდა ჯერ გაგრასთან ბრძოლაში, ხოლო 1920 წლის გაზაფხულზე, აზერბაიჯანის მხრიდან შემოჭრილი წითელი არმიის ნაწილების განდევნის ოპერაციაში. 1921 წლის თებერვალში, სხვა ქართველ იუნკრებთან ერთად, 19 წლის იოსებ ჯანდიერმა თავი შესწირა საბჭოთა რუსეთის საოკუპაციო ჯარებთან ბრძოლას (15).

დ. ჯოხაძის წერილში „ვენერალი მაზნიაშვილი“ დაცულია ერთი მეტად საყურადღებო ცნობა, საიდანაც ნათელი ხდება, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი რექტორი, სანიმუშო პიროვნება და მოქალაქე ნიკო კეცხოველი — 1918 წლის სომხეთ-საქართველოს ომის და 1921 წლის თებერვალში, კოჯორ-ტაბახმელასთან მომხდარი სისხლისმღვრელი ბრძოლების მონაწილე ყოფილა (67).

შალვა მალლაკელიძე
(1918 წ.)

ზემოთ აღნიშნული წერილის ავტორი წერს: „ერთხელ, ეს 60-იანი წლების დასაწყისში იყო, შემთხვევა მომეცა, ბატონ ნიკო კეცხოველთან ჩამომეგდო საუბარი 1921 წლის ამბებზე. იგი მონაწილე იყო ცნობილი 10 დღიანი ომისა 1918 წლის დეკემბერში და 1921 წლის თებერვლის ბრძოლებისა კოჯორ-ტაბახმელასთან. საუბარს მისი ძმა ზ. კეცხოველი შემოესწრო, რომელიც მანამდე ერთხანს საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ მუშაობდა და ახლა უკვე პენსიაზე იყო. ბატონ ნიკოს ეზოში ვისხედით. სხვა საინტერესო ამბებთან ერთად, სხვათა შორის, ბატონმა ნიკომ ბრძანა, რომ როცა მკლავში დაჭრილი ლაზარეთში მოათავსეს, მის გვერდით იწვა ასევე დაჭრილი აფხაზი (გვარი არ მახსოვს, შესაძლოა თვითონ ბატონ ნიკოს უწერია სადმე იმ ქაღალდებში, სქლად რომაა შეკრული რამდენიმე ცალად და ჯერაც არ გახსნილა). ბა-

ტონმა ნიკომ გაიხსენა, რომ პალატაში გენერალმა მაზნიაშვილმა გვინახულა და ჯილდოები გადმოგვცაო. მაშინ ბატონ ნიკოსთვის არ მიკითხავს ამაზე, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ აფხაზთაგან მარტო ის ერთი არ იქნებოდა საქართველოსათვის მებრძოლთა შორის" (67).

ამ მოგონებიდან ჩანს სახელოვანი ქართველი გენერლის გიორგი მაზნიაშვილის გულისხმიერება, ყურადღება ბრძოლაში დაჭრილ ჯარისკაცთა მიმართ. სამწუხაროა, რომ არ ჩანს, თუ კონკრეტულად რა ჯილდოები გადასცა გენერალმა მაზნიაშვილმა ნ. კეცხოველსა და ლაზარეთში მასთან ერთად მყოფ ეროვნებით აფხაზ მებრძოლს, რომელსაც სისხლი დაუღვრია საქართველოსათვის. ვფიქრობთ, რომ ხსენებული ჯილდოები უნდა იყოს გიორგის ჯვრები და თუ ეს ნამდვილად ასეა, მაშინ კიდევ ორი ღირსეული ვაჟკაცის სახელი შეემატება გიორგის ჯვრის ქართველ კავალერთა ჩვენთვის ცნობილ ნუსხას.

გიორგის ჯვრებით დაჯილდოებულ ქართველთა რიცხვი საკმაოდ დიდია. მათი სახელები გაბნეულია იმდროინდელ ქართულ პრესაში თუ ოფიციალურ საბუთებში. დაჯილდოებულთა ერთ ნაწილს ეს წარჩინების ნიშანი გადაეცა რუსეთის ცარისტული იმპერიის, ხოლო მეორე ნაწილს კი — ამიერკავკასიის კომისარიატის, სეიმისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში. უდავოდ სასურველი იქნება. თუკი შეგროვდება მონაცემები გიორგის ჯვრის ყველა ქართველი კავალრის შესახებ და იგი ცალკე წიგნად დაისტამბება, როგორც ეს პროფესორ ოთარ ჟორდანიას აქვს განზრახული. ვფიქრობთ, რომ ურიგო არ იქნება, თუ ხსენებულ წიგნში თავს მოიყრის იმ არაქართველ მეომართა სახელებიც, რომლებმაც გიორგის ჯვრები საქართველოსათვის ბრძოლაში დაიმსახურეს.

ამრიგად, მართალია, რომ გიორგის ჯვრები რუსეთის საიმპერიო წარჩინების ნიშნები იყო, მაგრამ ისინი სახელმწიფო ჯილდოთა როლს ასრულებდა ამიერკავკასიის კომისარიატის, სეიმისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის ხანაში და გაიცემოდა მხედრული მამაცობისა თუ საბრძოლო დამსახურებისათვის.

3. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოები

1917 წლის 10 ნოემბერს საბჭოთა რუსეთში მიიღეს დეკრეტი „წოდებებისა და სამოქალაქო ჩინთა მოსპობის შესახებ", რომლითაც გაუქმებულად გამოცხადდა ყველა რევოლუციამდელი წარჩინების ნიშანი.

1918 წლის 16 სექტემბერს რუსეთში დაწესდა პირველი საბჭოთა ჯილდო — „წითელი დროშის ორდენი". მისი დაწესების დეკრეტში ნათქვამი იყო, რომ „ეს წარჩინების ნიშანი მიეკუთვნება რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს, რომელიც გამოაჩენს განსაკუთრებულ მამაცობასა და მხნეობას უშუალოდ საბრძოლო საქმიანობაში" (74, 7).

საქართველოს სსრ-ის წითელი დროშის ორდენი

რუსეთის სფსრ-ის კვალდაკვალ საკუთარი ჯილდოები შემოიღეს დანარჩენმა საბჭოთა რესპუბლიკებმაც. 1920-1921 წლებში დაწესდა: აზერბაიჯანის „წითელი დროშის ორდენი", სომხეთის „ვერცხლის ვარსკვლავისა" და „წითელი ვარსკვლავის" ორდენები, ხორეზმის „წითელი დროშისა" და ბუხარის „წითელი ვარსკვლავის" ორდენები (74,9).

აზერბაიჯანის სსრ-ის წითელი დროშის ორდენთან არის დაკავშირებული საქართველოს ისტორიის ერთი ტრაგიკული ეპიზოდი.

დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობაში აქტიური მონაწილეობისათვის, აზერბაიჯანის სსრ-ის რევკომმა წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვა რენეგატი სერგო ორჯონიკიძე. ამის შესახებ ვრცლად გვაქვს საუბარი ჩვენი ნაშრომის მეოთხე თავში.

აზერბაიჯანის სსრ-ის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვდა, აგრეთვე, ბაქოდან საგანგებოდ მოწვეული რკინიგზელთა ბრიგადის მეთაური ი. გ. სოროკინი. მისი ხელმძღვანელობით, რკინიგზელებმა, მაქსიმალურად მოკლე დროში — სულ სამი დღე-ღამის განმავლობაში აღადგინეს ქართული საჯარისო ნაწილების მიერ აფეთქებული, აზერბაიჯანისა და საქართველოს დამაკავშირებელი ე. წ. წითელი ხიდი — გადებული მდინარე ხრამზე (68, 248). ამით მათ ხელი შეუწყვეს საბჭოთა რუსეთის ჯარების შემოჭრას დამოუკიდებელი საქართველოს სიღრმეში.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ ბრძოლაში თავის გამოჩენისათვის, აზერბაიჯანის სსრ-ის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვდა საბჭოთა რუსეთის სატანკო რაზმის მეთაური ნ. ნ. ანდრუშკევიჩი. მას ისეთი აქტიური მონაწილეობა მიუღია თბილისის მისადგომებთან გამართულ სისხლისმღვერელ ბრძოლაში, რომ იგი დაუჯილდოებიათ მეორე წარჩინების ნიშნითაც — რუსეთის სფსრ-ის წითელი დროშის ორდენით (69, 32-33).

საქართველოს იძულებითი გასაბჭოებისთანავე დაისვა ქართული საბჭოთა ჯილდოების დაწესების საკითხი.

1921 წლის 9 ნოემბერს საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა დაამტკიცა მხატვარ იოსებ შარლემანის მიერ შემუშავებული საქართველოს სსრ-ის წითელი დროშის ორდენის პროექტი (62).

საქართველოს სსრ-ის წითელი დროშის ორდენი უაღრესად საინტერესოა მხატვრული გაფორმების თვალსაზრისით. ორდენი დამზადებულია ვერცხლისაგან. იგი წარმოადგენს მრგვალი ფორმის საბრძოლო ფარს, რომლის შუაგულშიც,

სიმონ ხმალაძე

ასევე მრგვალ ჩარჩოში ეხვდებით ოქროთი მოვარაყებულ ზედწერილს: „СССР“ (იშიფრება, როგორც „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა“). ფარის მარცხენა მხარეზე დევს უქარქაშო მახვილი, ფარის ზედა ნაწილში კი გამოსახულია წითელი მინანქრით დაფარული ხუთქიმიანი ვარსკვლავი. მის ცენტრში მოთავსებულია გადაჯვარედინებული ნამგალი და ურო — სიმბოლური გამოსახვა მუშათა და გლეხთა კავშირისა. ფარის უკანა პლანზე გამოკვეთილია მარჯვნივ დახრილი, ოქროს ბუნიკიანი წითელი დროშა. ვარსკვლავის მსგავსად, დროშაც წითელი ფერის მინანქრით არის დაფარული. დროშაზე წარწერაა — „პროლეტარეტო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“

ალბათ, არ შეეცდებით, თუ ვიტყვით, რომ საქართველოს სსრ-ის წითელი დროშის ორდენი ერთ-ერთი საუკეთესოა სხვა საბჭოთა ორდენებს შორის. მიუხედავად ბოლშევიკური ატრიბუტებისა, ამ ჯილდოზე თითქოსდა, სიმბოლურადაა აღბეჭდილი ქართველი ერის სახელოვანი საბრძოლო წარსული.

საქართველოს სსრ-ის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოება გაგრძელდა სსრ კავშირის დაარსების (1922 წლის 30 დეკემბერი) შემდეგაც და შეწყდა 1924 წლის იელისის ბოლოს. ეს ჯილდო სხვადასხვა დროს მიიღეს: რევოლუციონერმა სიმონ ხმალაძემ, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს იძულებითი გასაბჭოებისათვის ბრძოლაში, ქართული მსროლელი ლეგიონის ასეულების მეთაურებმა ვ. კილაძემ და ა. მამულაიშვილმა, პოლიტხელმა ვ. კაჭარავამ, აგრეთვე, რევოლუციონერმა ტ. მგალობლიშვილმა, შ. ფალავანდიშვილმა და სხვებმა (62).

1924 წლის 1 აგვისტოს, სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით, დაწესდა საერთო-საკავშირო წითელი დროშის ორდენი. ამასთან დაკავშირებით, შეწყდა მოქალაქეთა დაჯილდოება მოკავშირე რესპუბლიკების წითელი დროშის თუ სხვა სახელწოდების საბრძოლო ორდენებით. ამასთანავე, ეს ჯილდოები არ გადაუცვლიათ საკავშირო წითელი დროშის ორდენზე. საბჭოთა რესპუბლიკების საბრძოლო ორდენებით დაჯილდოებულთ შეუნარჩუნდათ მათი ტარების უფლება. სსრკ-ის ცაკ-ის 1933 წლის 13 აგვისტოს დადგენილე-

ბაში ნათქვამი იყო, რომ მოკავშირე რესპუბლიკების საბრძოლო ორდენები, მათი ისტორიული მნიშვნელობიდან გამომდინარე, არ გადაიცელება სსრ კავშირის წითელი დროშის ორდენზე, ხოლო ხსენებულ ჯილდოთა კავალრებს ენიჭებათ ისეთივე უფლებები და პრივილეგიები, როგორიც აქვთ სსრ კავშირის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულებს (74, 10).

1920 წლის 28 დეკემბერს საბჭოთა რუსეთში დაწესდა „შრომის წითელი დროშის ორდენი" ეს ჯილდო უნდა გადასცემოდა მას, ვინც „გამოაელენდა განსაკუთრებულ თავდადებასა და ინიციატივას, შრომისმოყვარეობასა და ორგანიზებულობას სამეურნეო ამოცანათა გადაწყვეტისას" (74, 11).

შრომის წითელი დროშის ორდენი, როგორც სამეურნეო ხასიათის ჯილდო, სხვადასხვა დროს შემოიღეს მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკებშიც.

ცნობილია, რომ საქართველოს სსრ-ის შრომის წითელი დროშის ორდენი 1928 წელს დაწესდა (62). მის შესახებ ცნობების საჭირო რაოდენობით არქონის გამო, ამ ორდენის განხილვისაგან ჯერჯერობით თავს ვიკავებთ.

1928 წლის 7 სექტემბერს, სსრ კავშირის ცაკ-ისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით დაწესდა საერთო-საკავშირო შრომის წითელი დროშის ორდენი. ამის მიუხედავად, მოკავშირე რესპუბლიკებში არათუ არ შეწყვეტილა მოქალაქეთა ადგილობრივი შრომითი ორდენებით დაჯილდოება, არამედ, ზოგან ახალი ნიმუშის შრომითი ორდენიც იქნა შემოღებული (68, 263).

1931 წლის 31 დეკემბერს საქართველოს სსრ-ში დაწესდა ახალი ნიმუშის შრომის წითელი დროშის ორდენი (68, 263). ეს ჯილდო, რომლის ესკიზის ავტორიც მხატვარი იოსებ შარლემანი უნდა იყოს, ვერცხლისაგან არის დამზადებული. იგი ოვალური ფორმისაა. ორდენის ცენტრში გამოსახულია წითელი მინანქრით დაფარული ხუთქიმიანი ვარსკვლავი, რომელიც მოთავსებულია ერთ-ერთი შრომის იარაღის კბილანებიანი დეტალის შუაგულში. ამ დეტალის კბილანებზე წარწერაა: „ს. ს. ს. რ. " (იშიფრება, როგორც „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა"). ვარსკვლავის ქვემოთ მოჩანს ფაბრიკისა თუ ქარხნის კონტურები. ორდენის მარჯვნივ ოდნავ დახრილი ბუნიკიანი დროშაა ზედწერილით: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!" დროშა წითელი მინანქრის ფენითაა დაფარული. ორდენის მარცხენა

საქართველოს სსრ-ის შრომის წითელი დროშის ორდენი

სტალინი

მხარეს ხორბლის თავთავებია გამოსახული. თავთავებსა და დროშას შორის, ორდენის ქვედა ნაწილში, ნამგლისა და უროს გადაჯვარედინებული გამოსახულებაა გამოკვეთილი.

საქართველოს სსრ-ის შრომის წითელი დროშის ორდენის კავალერთა შორის არიან: სიმონ ხმალაძე, ესტატე ბუხრიკიძე, სტეფანე ზაქრაძე და სხვები. მხოლოდ 1931 წელს, საქართველოს სსრ-ის ცაკ-ის პრეზიდიუმის დადგენილებით, ხსენებული ორდენით 104 ადამიანი დაჯილდოვდა. მათ შორის ყოფილან: ბ. მაჩაიძე, გ. ყურულაშვილი, ბ. ჭიჭინაძე, ს. ბუაჩიძე, ვ. ჯაში და ა. შ. ეს ჯილდო გადაუცია ძველი ბოლშევიკის — ა. კაკიტაძისთვისაც. საერთო ჯამში, ამ წარჩინების ნიშნით დაჯილდოებულია 201 ადამიანი (62).

ქართული საბჭოთა შრომის წითელი დროშის ორდენით სხვადასხვა დროს დაუჯილდოებიათ ცალკეული დაწესებულებები თუ კოლექტივები, აგრეთვე, ე. წ. „საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირი“ (62).

1936 წლის 11 ივნისს დაწესდა ახალი ნიმუშის საერთო-საკავშირო შრომის წითელი დროშის ორდენი, რომელმაც თავისი გარეგნული სახე სსრ კავშირის დაშლამდე შეინარჩუნა (68, 264).

აღნიშნული წარჩინების ნიშნის დაწესების შემდეგ მოკავშირე რესპუბლიკებში და მათ შორის საქართველოს სსრ-შიც შეწყდა მოქალაქეთა საკუთარი შრომითი ორდენებით დაჯილდოება.

ქართული საბჭოთა წარჩინების ნიშნებით — წითელი დროშისა და შრომის წითელი დროშის ორდენებით დაჯილდოების შეწყვეტის შემდეგ, საქართველოს სსრ-ში სახელმწიფო ჯილდოთა როლის შესრულება დაეკისრა საერთო-საკავშირო ორდენებსა და მედლებს. ამ წარჩინების ნიშნებით მრავალი ქართველია დაჯილდოებული.

სსრკ-ის უზენაეს ხელისუფალს სამი ათეული წლის განმავლობაში — გენერალისიმუს ი. ბ. სტალინს (1879-1953) მიღებული ჰქონდა ლენინის სამი ორდენი, გამარჯვების ორი ორდენი, წითელი დროშის სამი ორდენი, სუვოროვის I ხარისხის ორდენი და მრავალი მედალი (44, 545-546).

სსრკ-ის ორდენებითა და მედლებით განსაკუთრებით უხვად დაჯილდოვდნენ მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ქართველი სამხედრო მოღვაწენი: კონსტანტინე ლესელიძე, პორფილე ჩანჩიბაძე, ვლადიმერ ნანეიშვილი, ვლადიმერ ჯანჯღავა, ერმალოზ კობერიძე, შალვა ქირია, არჩილ გელოვანი, ალექსი ინაური, გიორგი აბაშვილი, ნიკოლოზ თავართქილაძე, კირილე ჯახუა, გიორგი ყურაშვილი, ნიკოლოზ კალაძე, მიხეილ მიქელაძე, გიორგი ყუფარაძე, მიხეილ ღლონტი, ესტატე ტატანაშვილი, შალვა ჭანკოტაძე და სხვები. ზოგიერთ მათგანს მიენიჭა სსრ კავშირის ემირის წოდება (34, 171-209).

საკავშირო ჯილდოთა ქართველ კავალრებს შორის გამოირჩეოდა სსრ კავშირის გმირი, გენერალ-პოლკოვნიკი კონსტანტინე ნიკოლოზის ძე ლესელიძე (1903-1944). მან სხვადასხვა დროს დაიმსახურა: სუვოროვის, კუტუზოვისა და ბოგდან ხმელნიცკის I ხარისხის, აგრეთვე, ლენინისა და წითელი ვარსკვლავის ორდენები (29, 94-101).

სსრ კავშირის გმირის წოდება მიენიჭათ, აგრეთვე, მეორე მსოფლიო ომში თავგამოჩენილ ქართველ მებრძოლებს (ზოგს სიკვდილის შემდეგ): შ. გამცემლიძეს, ზ. რუხაძეს, ი. ჯინჭარაძეს, ვ. ჩიქოვანს, ნ. გოგიჩაიშვილს, ვ. ხარაზიას, ლ. ჩუბინიძეს, გ. ალფაიძეს, ვ. ლესელიძეს, ა. წურწუმიას, ვ. ლეჟავას, ა. ბიბილაშვილს, გ. მერკვილაძეს, ჭ. ბენდელიანს, დ. ბაქრაძეს, ლ. ავალიანს, ი. დემეტრაშვილს, გ. გაბრიაძეს, ი. ციციშვილს, ვ. ესებუას, ს. კეთილაძეს, მ. ქანთარიას და სხვებს (34, 171-209).საერთო ჯამში, სსრკ-ის გმირის

კონსტანტინე ლესელიძე

პორფილე ჩანჩიბაძე

წოდება მიენიჭა 165 მეომარს საქართველოდან, აქედან 91 ქართველს.

ქართველმა მეომრებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ევროპის ქვეყნებში გაშლილ ანტიფაშისტურ წინააღმდეგობის მოძრაობაში. ამისათვის არაერთი მათგანი დაჯილდოვდა, როგორც საბჭოთა, ასევე ევროპის ქვეყნების ჯილდოებით.

წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილე ქართველთა შორის გამორჩეული ადგილი უკავია სერჟანტ ფორე მოსულიშვილის (1916-1944) სახელს. 1972 წლის 3 ოქტომბერს იგი დააჯილდოეს სამამულო ომის I ხარისხის ორდენით, 1990 წლის 5 მაისს კი მას მიენიჭა სსრკ-ის გმირის წოდება (10). საგულისხმოა, რომ ფ. მოსულიშვილი ჯერ კიდევ 1970 წელს დაჯილდოვდა იტალიის უმაღლესი სახელმწიფო ჯილდოთი, რის შესახებაც ვრცლად გვაქვს საუბარი ჩვენი ნაშრომის მეოთხე თავში.

ნაყოფიერი კულტურულ-სამეცნიერო მოღვაწეობისათვის, სსრკ-ის სახელმწიფო ორდენებითა და მედლებით, სხვადასხვა დროს დაჯილდოვდნენ თვალსაჩინო მეცნიერები, მწერლები და საზოგადო მოღვაწენი. მაგალითად, აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი დაჯილდოვდა შრომის წითელი დროშის ორდენით. დაჯილდოებულნი იყვნენ. აგრეთვე, აკადემიკოსები: სიმონ ჯანაშია — ლენინის ორი ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით, ნიკო ბერძენიშვილი — შრომის წითელი დროშის ორი ორდენითა და მედლებით. აკაკი შანიძე — ლენინის სამი ორდენით. ოქტომბრის რევოლუციის. შრომის წითელი დროშის, საპატიო ნიშნისა და ხალხთა მეგობრობის ორდენებითა და მედლებით. არნოლდ ჩიქობავა — ლენინის სამი ორდენით, შრომის წითელი დროშის ორი ორდენით, საპატიო ნიშნის ორდენითა და მედლებით, ნიკო მუსხელიშვილი — ლენინის ექვსი ორდენით, ოქტომბრის რევოლუციისა და შრომის წითელი დროშის ორდენებითა და მედლებით, ილია ვეკუა — ლენინის ხუთი ორდენით, საპატიო ნიშნის ორდენითა და მედლებით, იოანე ბერიტაშვილი — ლენინის ორი ორდენით, შრომის წითელი დროშის ორი ორდენითა და მედლებით, ალექსანდრე ჯავახიშვილი — ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენითა და მედლებით, გალაკტიონ ტაბიძე — ლენინის ორდენითა და შრომის წითელი დროშის ორდენით, კონსტანტინე გამსახურდია — ლენინის ორი ორდენით, ასევე სხვა ორდენებითა და მედლებით, გიორგი ლეონიძე — ლენინის ორი ორდენით. წითელი დროშის ორდენითა და მედლებით, ირაკლი აბაშიძე — ლენინის სამი ორდენით, შრომის წითელი დროშის ორი ორდენით, საპატიო ნიშნის ორდენითა და მედლებით და სხვ.

სსრ კავშირის სახელმწიფო ორდენებითა და მედლებით ქართველთა დაჯილდოება გრძელდებოდა თითქმის საბჭოთა კავშირის დაშლამდე.

აღსანიშნაავია, რომ სსრკ-ის რამდენიმე სახელმწიფო ჯილდოზე, რომლებიც, ამავე დროს, შეიძლება ჩაითვალოს საქართველო სსრ-ის სახელმწიფო ჯილდოებად, გამოსახულია ი. ბ. სტალინის პორტრეტი. ასეთებია მედლები:

1. „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში გერმანიაზე გამარჯვებისათვის";
2. „იაპონიაზე გამარჯვებისათვის";
3. „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში მამაცური შრომისათვის".

ლენინთან ერთად, სტალინი გამოსახულია მედლებზე:

მედალი
„იაპონიაზე გამარჯვებისთვის“

მედალი
„გერმანიაზე გამარჯვებისათვის“

1. „სამამულო ომის პარტიზანს“ (არსებობდა I და II ხარისხის);

2. „საბჭოთა არმიისა და ფლოტის 30 წელი“.

სტალინის დაბადების 70-ე წლისთავთან დაკავშირებით, გადაწყვეტილი იყო მისი სახელობის ორდენისა და მედლის დაწესება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების პროექტში „სტალინის ორდენის“ დაწესების შესახებ“ ნათქვამი იყო: „იოსებ ბესარიონის ძე სტალინის დაბადების სამოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით და საბჭოთა ხალხის წინაშე მისი განსაკუთრებული დამსახურების გათვალისწინებით, საბჭოთა სახელმწიფოს შექმნისა და განმტკიცების საქმეში, საბჭოთა კავშირში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობასა და დიდ სამამულო ომში გამარჯვებაში, დაწესდეს სტალინის ორდენი“ (3).

მომზადებული იყო ხსენებული ორდენის სტატუტის პროექტი, მისი აღწერილობა და „ი. ბ. სტალინის სამოცდაათი წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო მედ-

ლის“ დაწესების მაუწყებელი ბრძანებულების პროექტი. ისიც კი გამოანგარიშებული იყო, რომ თითოეული მედლის ჩამოსხმა 7 მანეთი და 64 კაპიკი დაჯდებოდა, ხოლო ამ ჯილდოს მილიონ ეგზემპლარს დასჭირდებოდა 24 ტონა სპილენძი და 6 ტონა ნიკელი (3).

სტალინისათვის განსახილველად წარუდგენიათ დასაწესებელი ორდენის ცამეტი ესკიზი. ერთ-ერთი მათგანი თითქმის იდენტური ყოფილა ლენინის ორდენისა. სტალინის ორდენი უნდა დამზადებულიყო ოქროსაგან. ასე, რომ ყველაფერი მზად ყოფილა ქვეყნის ფრიად პრესტიჟული ჯილდოს დასაწესებლად, მაგრამ, ყველასაგან მოულოდნელად, ბოლო მომენტში სტალინს უარი უთქვამს მისი სახელობის ორდენის შემოღებაზე, იმ მოტივით, რომ „ამგვარ ორდენებს მხოლოდ სიკვდილის შემდეგ აწესებენო“. ამით ბელადს მიუნიშნებია თავისი გარემოცვისათვის, რომ მისი სახელობის ჯილდო შეეძლოთ მისი გარდაცვალების შემდეგ დაეწესებინათ. ეს სურვილი, სტალინის სიკვდილის შემდეგ, ცხადია, არავის გახსენებია (3).

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში სსრკ-ში ადგილი ჰქონდა ლეგენდარული მხედართმთავრის პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონის (1765-1812) ორდენის დაწესების ცდას. 1943 წელს, საბჭოთა კავშირის მთავრობის დავალებით, მხატვარმა ნ. ი. მოსკალენკომ შეიმუშავა პეტრე ბაგრატიონის ორდენის პროექტი (70,86). იგი ძალიან ჰგავს სსრკ-ის დიდების ორდენს. მისი პროექტი ასეთია: ხუთქიმიანი ვერცხლის ვარსკვლავის შუაგულში ჩასმულ მედალიონში აღბეჭდილია რუსეთის საიმპერიო ჯილდოებით მკერდდამშვენებული პ. ბაგრატიონის პორტრეტი (პროფილში). მის გარშემო, მედალიონის არეზე წარწერაა: „ПЕТР БАГРАТИОН“. ამ ჯილდოს საორდენო ბაფთა იდენტურია რუსეთის საიმპერიო წარჩინების ნიშნის — გიორგის ჯვრის საორდენო ბაფთისა.

მიუხედავად იმისა, რომ პ. ბაგრატიონის ორდენის პროექტი პროექტადვე დარჩა, აღნიშნული ჯილდოს დაწესების ცდა მეორე მსოფლიო ომის დროს — ერთობ საყურადღებო ფალერისტიკული ფაქტია. შესაძლოა, რომ ხსენებული ორდენის შემოღების ცდას ბიძგი მისცა 1897 წელს რუსეთში დამზადებულმა და უსტიუჟანის ეგერთა 104-ე პოლკის 100 წლისთავისადმი მიძღვნილმა საიუბილეო მედალმა. მასზე გამოსახული იყო რუსეთის საიმპერიო ჯილდოებით მკერდმოჭედილი სახელოვანი გენერალი პ. ბაგრატიონი, რომელიც წლების განმავლობაში მეთაურობდა უსტიუჟანის ეგერთა 104-ე პოლკს (8, 125).

ამრიგად, საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას, თავისი არსებობის პირველ ხანებში გააჩნდა საკუთარი სახელმწიფო ჯილდოები: წითელი დროშისა და შრომის წითელი დროშის ორდენები. ამ წარჩინების ნიშნებით დაჯილდოების შეწყვეტის შემდეგ, საქართველოს სახელმწიფო ჯილდოთა როლს, თითქმის სსრ კავშირის დაშლამდე ასრულებდა საერთო-საკავშირო ორდენები და მედლები, რომლებითაც მრავალი ქართველია დაჯილდოებული. რამდენიმე, საკავშირო ჯილდოზე გამოსახულია გენერალისიმუს სტალინის პორტრეტი. ამასთანავე, 1943 წელს ადგილი ჰქონდა გენერალ პეტრე ბაგრატიონის ორდენის, ხოლო 1947 წელს გენერალისიმუს სტალინის ორდენისა და მედლის დაწესების ცდას.

4. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოთა დაწესების ცდა 1991 წელს

1990 წლის შემოდგომაზე არჩეულმა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ სცადა შემოეღო სახელმწიფო ჯილდოები.

1991 წლის 8 თებერვალს ოფიციალურ პრესაში განსახილველად გამოქვეყნდა კანონპროექტი „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოების დაწესების შესახებ", რომელშიც აღნიშნული იყო:

„საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. დაწესდეს საქართველოს რესპუბლიკის შემდეგი სახელმწიფო ჯილდოები:

ორდენები და მედლები:

დავით აღმაშენებლის ორდენი — პირველი ხარისხის, მეორე ხარისხის;

ილია მართლის ორდენი;

მედალი „მამულის სამსახურისათვის";

მედალი „მხედრული მამაცობისათვის";

საპატიო წოდება:

„ქართველის დედა";

საპატიო სიგელი:

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საპატიო სიგელი.

2. დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ორდენებისა და მედლების, საქართველოს რესპუბლიკის საპატიო წოდებისა და საქართველო რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საპატიო სიგელის სტატუტი.

3. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ გადაწყვიტოს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოების დასამზადებლად ხარჯების გამოყოფის საკითხი" (36).

კანონპროექტთან ერთად გამოქვეყნდა „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ორდენებისა და მედლების, საქართველოს რესპუბლიკის საპატიო წოდებისა და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სიგელის სტატუტი". მასში ეკითხულობთ:

„1. საქართველოს რესპუბლიკის იმ მოქალაქეთა დასაჯილდოებლად, რომელთაც განსაკუთრებული პირადი წელილი მიუძღვით საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების აღორძინების, რესპუბლიკის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების, ქართული მეცნიერების, სახალხო განათლების, კულტურის, ლიტერატურის, ხელოვნების, ჯანმრთელობის დაცვისა და მომსახურების სფეროს შემდგომი განვითარების საქმეში, დაწესებულია:

სახელმწიფო ორდენები და მედლები:

დავით აღმაშენებლის ორდენი — პირველი ხარისხის, მეორე ხარისხის;

ილია მართლის ორდენი;

მედალი „მამულის სამსახურისათვის";

მედალი „მხედრული მამაცობისათვის“;
საპატიო წოდება:
„ქართველის დედა“;
საპატიო სიგელი:
საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საპატიო სიგელი.

2. დავით აღმაშენებლის პირველი ხარისხის ორდენით ჯილდოვდებიან გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწენი, სამოქალაქო, სამხედრო და სასულიერო პირნი ქართველი ერის წინაშე უდიდესი ღვაწლის, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღორძინების საქმეში შეტანილი უთვალსაჩინოესი პირადი წვლილისათვის.

3. დავით აღმაშენებლის მეორე ხარისხის ორდენით ჯილდოვდებიან სამოქალაქო, სამხედრო და სასულიერო პირნი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, რესპუბლიკის თავდაცვისუნარიანობის, უცხო ქვეყნებთან ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის განმტკიცებაში, საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერების, სახალხო განათლების, კულტურის, ლიტერატურის, ხელოვნების, მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, სოფლის მეურნეობის, ჯანმრთელობის დაცვისა და მომსახურეობის სფეროს განვითარებაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის.

4. ილია მართლის ორდენით ჯილდოვდებიან მეცნიერების, სახალხო განათლების, კულტურის, ლიტერატურის, ხელოვნების უთვალსაჩინოესი წარმომადგენლები და სასულიერო პირნი საქართველო სულიერ და კულტურულ საგანძურში შეტანილი უდიდესი წვლილის, ხალხის საყოველთაო აღიარებისა და პატივისცემის მოპოვებისათვის.

5. მედლით „მამულის სამსახურისათვის“ ჯილდოვდებიან საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქენი რესპუბლიკის მრეწველობის, მშენებლობის, კავშირგაბმულობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის, ჯანმრთელობის დაცვის, მეცნიერების, სახალხო განათლების, კულტურის, ლიტერატურის, ხელოვნების დარგებში განსაკუთრებული დამსახურებისა და უმწიკვლო სამსახურის, ქართველი ხალხის ეროვნული აღორძინების საქმეში შეტანილი დიდი წვლილისათვის.

6. მედლით „მხედრული მამაცობისათვის“ ჯილდოვდებიან საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების სამსახურების, ქართული მილიციის მუშაკები და ცალკეული მოქალაქენი საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის საქმეში, საზოგადოებრივი წესრიგის დამყარების დროს და საგანგებო ვითარებაში გამოჩენილი პირადი მამაცობისა და ქართველი ერის წინაშე სხვა საბრძოლო დამსახურებისათვის.

7. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ორდენებითა და მედლებით დაჯილდოება შეიძლება სიკვდილშემდგომაც.

8. „ქართველის დედის“ საპატიო წოდება მიენიჭებათ დედებს, რომლებსაც ჰყავთ ხუთი და მეტი არასრულწლოვანი შვილი, ამასთან, თუ ბოლო შვილს შეუსრულდა ერთი წელი მაინც, აქვთ მტკიცე ოჯახი და სამშობლოს უზრდიან მაღალი ზნე-

ობის, შრომისმოყვარე შვილებს.

9. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საპატიო სიგელით ჯილდოვდებიან საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქენი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ამოცანათა გადაწყვეტაში შეტანილი დიდი წვლილის, სახალხო მეურნეობის, მეცნიერების, კულტურისა და შრომითი საქმიანობის სხვა სფეროებში ხანგრძლივი და უმწიკვლო სამსახურისათვის, უცხო ქვეყნებთან ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის განმტკიცებისათვის, სამხედრო მოსამსახურენი — საუკეთესო საბრძოლო მაჩვენებლებისათვის.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საპატიო სიგელით შეიძლება დაჯილდოვდნენ, აგრეთვე, უცხოელი მოქალაქენი და საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობის არმქონე პირები ქართველი ხალხის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის" (36).

1991 წლის 1 თებერვალს საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფო ჯილდოების შესახებ რესპუბლიკის ახალი კანონმდებლობის შემუშავებამდე, შეწყდა: „ა. სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით სსრ კავშირის შემდეგი ჯილდოებით: „დედობის დიდების" ორდენითა და „დედობის მედლით", მედლებით — „საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად წარჩინებული დამსახურებისათვის", „ხანძარზე მამაცობისათვის", „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის" და „შრომის ვეტერანი" დაჯილდოება; ბ. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოება და საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭება" (36).

მართალია, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოთა დაწესება 1991 წელს ვერ მოხერხდა, მაგრამ ზემოთმოყვანილ დოკუმენტებს თავიანთი მნიშვნელობა აქვთ ქართული ფალერისტიკისათვის.

5. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოები

1992 წლის 24 დეკემბერს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტმა მიიღო კანონი „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოების დაწესების შესახებ", სადაც ნათქვამი იყო:

„საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. დაწესდეს საქართველოს რესპუბლიკის შემდეგი სახელმწიფო ჯილდოები — ორდენები და მედლები:

დავით აღმაშენებლის ორდენი;

ვახტანგ გორგასლის ორდენი — I, II, III ხარისხისა;

ღირსების ორდენი;

მედალი „მხედრული მამაცობისათვის";

მედალი „საბრძოლო დამსახურებისათვის";

ღირსების მედალი.



დავით აღმაშენებლის ორდენი



ვახტანგ გორგასლის
I ხარისხის ორდენი



ვახტანგ გორგასლის
II ხარისხის ორდენი



ვახტანგ გორგასლის
III ხარისხის ორდენი



ლირსების ორდენი



მედალი
„საბრძოლო დამსახურებისათვის"



მედალი
„მხედრული მამაცობისათვის"



ლირსების მედალი

2. დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოების — ორდენებისა და მედლების დებულება.

3. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა გადაწყვიტოს საქართველოს სახელმწიფო ჯილდოების დასამზადებლად ხარჯების გამოყოფის საკითხი" (37).

„საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოების — ორდენებისა და მედლების დებულებაში" ეკითხულობთ:

„I. საქართველოს რესპუბლიკის იმ მოქალაქეთა დასაჯილდოებლად, რომელთაც გმირობა, მამაცობა გამოიჩინეს სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში, განსაკუთრებული პირადი წელილი მიუძღვით დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს მშენებლობაში, დაწესებულია საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოები — ორდენები და მედლები:

დავით აღმაშენებელის ორდენი;

ვახტანგ გორგასლის ორდენი — I, II, III ხარისხისა;

ღირსების ორდენი;

მედალი „მხედრული მამაცობისათვის";

მედალი „საბრძოლო დამსახურებისათვის";

ღირსების მედალი.

2. დავით აღმაშენებლის ორდენით ჯილდოვდებიან სამოქალაქო, სამხედრო და სასულიერო პირნი, გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწენი ქართველი ერის წინაშე უდიდესი ღვაწლის, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისა და აღორძინების, საზოგადოების კონსოლიდაციის, დემოკრატიის დამკვიდრების საქმეში შეტანილი თვალსაჩინო პირადი წვლილისათვის.

3. ვახტანგ გორგასლის ორდენით ჯილდოვდებიან საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მოსამსახურენი, რომლებმაც სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლებში გამოიჩინეს გმირული თავდადება და მამაცობა, უნარიანი ხელმძღვანელობით უზრუნველყვეს სამხედრო ნაწილებისა და ქვეგანაყოფების წარმატება, შეიმუშავეს და განახორციელეს საბრძოლო ოპერაციები.

ვახტანგ გორგასლის ორდენი სამი ხარისხისაა. დაჯილდოება ხდება ასეთი თანამიმდევრობით:

III ხარისხის ორდენით ჯილდოვდებიან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს გამოჩენილი მაღალი საბრძოლო მომზადებისათვის.

II ხარისხის ორდენით ჯილდოვდებიან სამხედრო ხელმძღვანელობის მიერ მიცემული საბრძოლო დავალების წარმატებით შესრულებისათვის.

I ხარისხის ორდენით ჯილდოვდებიან ერისა და სამშობლოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურების, თავდადებისა და თავგანწირვისათვის.

4. „ღირსების" ორდენით ჯილდოვდებიან მოქალაქენი დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს მშენებლობაში — მმართველობის, თავდაცვის, კანონიერების და მართლწესრიგის განმტკიცების, სახალხო მეურნეობის, ჯანმრთელობის დაცვის, მეცნიერების, განათლების, კულტურის, ლიტერატურის, ხელოვნების

ფდარგებში შეტანილი განსაკუთრებული პიროვნული წელილისათვის, გმირობისა ფდა თავდადებისათვის.

5. „მხედრული მამაცობის“ მედლით ჯილდოვდებიან საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მოსამსახურეები, პოლიციის მუშაკები მამულის დაცვისას პიროვნული მამაცობისა და მხედრული ვალის შესრულებისათვის, ვაჟკაცობისა და გაბედული მოქმედებისათვის.

6. „საბრძოლო დამსახურების“ მედლით ჯილდოვდებიან საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მოსამსახურენი და სამოქალაქო პირნი სამშობლოს დაცვისა და ერთიანობის უზრუნველყოფაში განსაკუთრებული პიროვნული დამსახურებისათვის.

7. „ღირსების“ მედლით ჯილდოვდებიან საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქენი საქართველოს აღორძინების საქმეში შეტანილი განსაკუთრებული წელილისა და ღირსეული სამსახურისათვის“ (37).

ქართული სახელმწიფო ჯილდოების ესკიზებისა და მაკეტების დამზადება დაევალათ მხატვარს, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ემირ ბურჯანაძესა და საქართველოს დამსახურებულ არქიტექტორს გიორგი ავსაჯანიშვილს. შეიქმნა საგანგებო-კომისიაც, რომლის შემადგენლობაშიც შევიდნენ ქართველი მეცნიერები, მწერლები, სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწენი. კომისიას სათავეში ედგა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ალექსანდრე ჯაეანიშვილი.

ემირ ბურჯანაძისა და გიორგი ავსაჯანიშვილის თქმით: „ქართული ორდენებისა და მედლების ესკიზებს საფუძვლად ქართული ჰერალდიკური სიმბოლოები დაედო“. მათივე განმარტებით, აღნიშნული წარჩინების ნიშნების აგებულების ზოგად სახეს ქმნის „მრავალწახნაგა, ჯვარგუმბათოვანი ფორმა“, აგრეთვე, ქართული დამწერლობა (23).

თანამედროვე ქართულ ჯილდოთა ესკიზების ავტორების აზრით: „მრგვლოვან ასომთავრულში, აზრის ტევადობის თვალსაზრისით, ეროვნული სიმბოლიკა უსაზღვროდ მასშტაბურად არის წარმოჩენილი. ისიც ცნობილია, რომ ამა თუ იმ ერის ტრადიციებით, ეროვნული სიმბოლიკა ფარზეა ხოლმე გამოხატული. ქართული ფარიც წრიულია, რამაც განაპირობა კიდეც, საერთოდ, ეროვნული ორდენების კონფიგურაციის ამომავალ საწყისად ასომთავრული „დონის“ შერჩევა. ასე ჩამოყალიბდა ორდენებისა და მედლების არქიტექტონიკა; ეს ინტერპრეტაცია მეფობს მთავარ თუ რიგით ორდენებში და მედლებშიც, თუმცა ისინი პრინციპულად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან“ (23).

ახალი ქართული ორდენებისა და მედლების აღწერილობის ზოგად მიმოხილვაში, რომელიც აღნიშნულ ჯილდოთა ესკიზების ავტორების თანხმობით გამოქვეყნდა რესპუბლიკურ პრესაში ეკითხულობთ:

„დავით აღმაშენებლის ორდენზე, საერთო მრგვლოვან სილუეტში აქტიურია რომბის ფორმა, რომლის წრიულ ჩაღრმავებაში დევს დავით აღმაშენებლის ქარაგმა „დ-თ“ ასო „ანით“ (აღმაშენებელი) შემოწერილი. ქარაგმას თავზე ადგას სა-

მეფო გეორგეანი, ორდენში ჰორიზონტულ ღერძზე დევს რეაქიმიანი, ალმასისთ-ელიანი ეარსკვლავი.

რომბი ჩვენს სიმბოლიკასა და საეკლესიო მხატვრობაში მამა ღმერთის დიდი ნიშანია. მას ხშირად იისფერი ტონალობითაც გამოხატავენ, ამიტომაც ორდენის ბაფთის თეთრ ფონზე, გამოხატულია ძირითადი ოქროს ფერი, დავით აღმაშენებ-ლის მეფობის ოქროს ხანის აღსანიშნავად, ხოლო ორივე მხარეს თან ახლავს იის-ფერი ხაზები. ეს ორდენი განსაზღვრულია სამოქალაქო, სამხედრო და საეკლესიო მოღვაწეთა დასაჯილდოებლად.

ვახტანგ გორგასლის, დიდი სახელმწიფო და საეკლესიო რეფორმატორის სა-ხელობის ორდენის მრგვლოვანი ფორმა გამაგრებულია მახვილებით, რომელთა შორის იკითხება ჯვარი. წრიულ შუაგულში ზის ვახტანგ გორგასლის ინიციალები „ვ-გ", მთლიან მონოგრამას კი რეაქიმიანი ძვირფასთვლიანი ეარსკვლავი ამშვე-ნებს. ასეთი გახლავთ სამი ხარისხის ორდენი, სადაც მათი განსხვავება ფერითა და ზოგიერთი დეტალის ინტერპრეტაციით ხდება. პირველი ხარისხის ორდენში ალ-მასის თვალი ზის. იგი ძირითადად მოოქროვილი, ვერცხლისფერი ნახევარსფეროა, ბაფთის თეთრ ფონზე ქმედების სიმბოლო — ძოწისფერი დომინირებს, რომელ-საც ორივე მხარეს ოქროსფერი ზოლები მიჰყვება, მეორე ხარისხის ორდენის ვა-რეფორმა მუქი ფოლადისფერია. ხოლო ნახევარსფერო მოოქროვილი, რეაქიმი-ანი, ლალისთვლიანი ეარსკვლავით. ბაფთაზე ზის ნიშანი II. მესამე ხარისხის ორ-დენის შუა ნახევარსფერო მუქი ფოლადისფერია, დანარჩენი — მოოქროვილია, ამშვენებს ზურმუხტისთვლიანი ეარსკვლავი. ბაფთაზე აღნიშნულია ნიშანი III. ვახტანგ გორგასლის ორდენი წმინდა სამხედრო დანიშნულებისაა.

ღირსების ორდენი ზოგადად მრგვლოვანი ფორმაა, სადაც გამოკვეთილია შვიდქიმიანი წნული, რომელსაც სექტორებში მიუყვება ტალღისებური ფორმები. წრიულ შუაგულში გამოხატულია სიმბოლო, ვაზის ფოთლის ქარგის შექმნილი სიცოცხლის ხე, რომელზეც დევს შვიდქიმიანი რელიეფური ეარსკვლავი. ჩაღრმა-ვებული შუაგული მოოქროვილია, ბაფთაში გამოყენებულია ლურჯი ფერი — სიწ-მინდის სიმბოლო და ძოწისფერი. ღირსების ორდენით დაჯილდოვდებიან სამოქა-ლაქო, სამხედრო და საეკლესიო პირები.

მედლები წრიულია და ძირითადად სხივების ფორმით არის გადაწყვეტილი.

„ღირსების" მედალი ოქროსფერია. შუაგულში გამოკვეთილია ჯვრისებური წნული ჩუქურთმა, რომელიც ფირუზისფერი მინანქრითაა დაფარული. მას ქვე-მოდან ამოფენილი აქვს მუხის რტოები. ცენტრი გამაგრებულია რომბით. მედლის მეორე მხარეს იკითხება წარწერა — „ღირსების", რომელსაც შვეულად ამშვენებს მუხის რტოს გამოსახულება. ღირსების მედლით დაჯილდოვდებიან სამოქალაქო, სამხედრო და სასულიერო მოღვაწენი.

მედალი „მხედრული მამაცობისათვის" ოქროსფერია, მასზე გამოკვეთილია რომბი, რომბში ამოღებულ ფარის ფორმაზე დევს დაფნის გვირგვინში ჩაგებული მახვილი, როგორც ძლიერებისა და კეთილშობილების სიმბოლო. ბაფთაზე ძოწის-ფერი ზოლები შეჯერებულია ოქროსფერთან. მედლის მეორე მხარე იკითხება წარ-

წერა „მხედრული მამაცობისათვის“.

მედალი „საბრძოლო დამსახურებისათვის“ ოქროსფერია. რვა ტოტი და წრეში ჩასმული ვარსკვლავი გამიჯნულია ჯაჭვისებური ხლართით. ვარსკვლავის შუაგულში ამოზიდულია ორი განსხვავებული სიდიდის წრიული ფორმა, რომელსაც აგვირგვინებს ნახევარსფერო. ბაფთის თეთრ ფონზე მწვანე ზოლები შერწყმულია ოქროსფერთან. მედლის მეორე მხარეს იკითხება წარწერა „საბრძოლო დამსახურებისათვის“. შუაგულში ამოკვეთილია მცირე ზომის შვიდქიმიანი ვარსკვლავი. ორივე მედალი მხოლოდ სამხედრო პირების დასაჯილდოებლად არის განსაზღვრული“ (23).

თანამედროვე ქართული ჯილდოების დამზადებას უკვე კარგა ხანია, რაც შეუდგა თბილისის საიუველირო ქარხნის კოლექტივი მეელუდ კვირიკა შვილის ხელმძღვანელობით (23).

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოების პირველი კავალრები არიან სამშობლოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაცემული მებრძოლები, სამხედრო მფრინავები: ჯიმშერ მაისურაძე და მერაბ გელაშვილი. აქედან პირველი დაჯილდოდა ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით, ხოლო მეორე — II ხარისხის ორდენით (38).

ამრიგად, უკანასკნელი ქართული ორდენით — შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შეწყვეტიდან თითქმის ექვსი ათეული წლის შემდეგ. კვლავ აღდგა საქართველოში საკუთარი სახელმწიფო ჯილდოების ტრადიცია, რაც უდავოდ დიდმნიშვნელოვანი ფაქტია. აქვე შევნიშნავთ, რომ კარგი იქნებოდა, თანამედროვე ქართული ორდენებისა და მედლების პროექტთა შექმნის პროცესში, გათვალისწინებული ყოფილიყო ჩვენი ძველი ფალერისტიკული ძეგლები ან მათი პროექტები, რომელთაც თავის დროზე განხორციელება არ ეღირსა.

მესამე თავი

ევროპაში შეფუშავებული ქართულ ჯილდოთა პროექტები

1. პროექტი ორდენისა „საქართველოს თავისუფლებისათვის“

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას ემიგრაციაში გახიზნის შემდეგაც არ შეუწყვეტია ბრძოლა იძულებით გასაბჭოებული სამშობლოს განთავისუფლებისათვის.

1924 წლის აგვისტოში საქართველოში მომხდარი ცნობილი ანტიბოლშევიკური აჯანყების დამარცხებისა და მისი სისხლში ჩახშობის შემდეგ, ქვეყნის უკანონო ხელისუფლებამ დაუნდობელი რეპრესიები გააჩაღა ე. წ. „კონტრრევოლუციონერთა“ მიმართ.

ასეთ ვითარებაში საქართველოში ახალი ანტისაბჭოური ამბოხების მოწყობაზე ფიქრიც კი აღარ შეიძლებოდა. პარიზში თავშეფარებულმა საქართველოს ეროვნულმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ თბილისში მოკალათებული ბოლშევიკური მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლა დიპლომატიური მეთოდებით განეგრძო. აქცენტი გადატანილ იქნა საქართველოს პრობლემებით ევროპისა და ამერიკის დემოკრატიული ძალების დაინტერესებაზე.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის უცხოეთში გაშლილი მოძრაობა განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩეოდა 1921-1933 წლებში. ამ პერიოდში პარიზში ფუნქციონირებდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საელჩო, როგორც სუვერენული ქვეყნის ოფიციალური დიპლომატიური წარმომადგენლობა. საელჩოს მუშაობას საკმაოდ უნარიანად ხელმძღვანელობდა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საფრანგეთში, ცნობილი ქართველი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე აკაკი ჩხენკელი (1874-1959).

სწორედ ზემოთ აღნიშნულ 13-წლიან პერიოდში უნდა იყოს შემუშავებული პროექტი ორდენისა „საქართველოს თავისუფლებისათვის“. ამ პროექტის ნიმუში ინახება საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში დაცულ ჰარვარდის უნივერსიტეტის ფონდებში (ორდენი შენ. ერთ. 1088). მის შესახებ ცნობის მოწოდებისათვის დიდ მადლობას მოვახსენებთ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-ისტორიული ჟურნალის „მხედრის“ მთავარ რედაქტორს მამუკა წურწუმიას.

ხსენებული ორდენის პროექტი, რომელიც საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით პარიზში იქნა შემუშავებული, ფრიად საინტერესოა მხატვრული გაფორმების თვალსაზრისით, საორდენო ნიშანზე გამოსახულია ეროვნულ ტანისამოსში გამოწყობილი ახალგაზრდა ქართველი მანდილოსანი, რომელსაც მარცხენა ხელი გამარჯვების ნიშნად მაღლა აღუმართავს, ხოლო მარჯვენით ძირს დაშვებული მახვილი უპყრია. ეს ასული სიმბოლურად გამოხატავს ბოლშევიკური უღ-

ლისაგან თავდახსნილ საქართველოს. მანდილოსნის ფერხთით დამსხვრეული ხუნდები ყრია (ვითარცა დამხობილი ბოლშევიკური რეჟიმის სიმბოლო), ხოლო მის ზურგს უკან მოჩანს განთავისუფლებული საქართველოს აყვავებული სანახები, რომელსაც ამომავალი მზის სხივები თავს დანათის. საორდენო ნიშნის ზედა არეზე ლათინური წარწერაა: „PRO GEORGIAE LIBERTATE" („საქართველოს თავისუფლებისათვის").

პროექტი ორდენისა „საქართველოს თავისუფლებისათვის"

განხილული ჯილდოს პროექტი, კომპოზიციურად, უდაოდ ენათესაობა გამოჩენილი ფრანგი ფერმწერისა და გრაფიკოსის ფერდინანდ ვიქტორ ეჟენ დელაკრუას (1798-1863) მხატვრული მემკვიდრეობის უმშვენიერეს ნიმუშს, 1830 წლის იელისის საფრანგეთის რევოლუციის ზეგავლენით შექმნილ გენიალურ ტილოს „თავისუფლება ბარიკადებზე". თუკი ფრანგი ფერმწერის შედევრზე თავისუფლების ალეგორიული ფიგურა პირმშვენიერი ფრანგი ქალის სახით არის გამოსახული, ქართული ორდენის პროექტზე ანალოგიური შინაარსის ფიგურად ქართველი ქალია წარმოჩენილი.

ორდენს „საქართველოს თავისუფლებისათვის" უნდა ჰქონოდა თავისი მეორე საორდენო ნიშანიც, კერძოდ — ჯვარი. ამასთანავე, ფრანგულ ენაზე შედგენილი იყო ხსენებული ორდენით დაჯილდოების დამადასტურებელი შესაბამისი ოფიციალური დოკუმენტის ნიმუშიც, რომელშიც ეკითხულობთ:

„ბატონო...

განსაკუთრებული სიამოვნებით გაჯილდოებთ საორდენო ნიშნით „PRO GEORGIAE LIBERTATE", რომელიც თქვენ მოგანიჭათ საქართველოს ეროვნულმა მთავრობამ ამა წლის...

ამ გადაწყვეტილებით საქართველოს ეროვნულ მთავრობას სურს აღნიშნოს თქვენი დიდი დამსახურება საქართველოს განთავისუფლების საქმეში, ის განსაკუთრებული ინტერესი, რაც თქვენ გამოიჩინეთ იმ ერისადმი, რომელმაც უცხო უღლის ქვეშ მყოფმა გადაიტანა მრავალი უბედურება, აღნიშნოს, აგრეთვე სოციალური მნიშვნელობა თქვენს მიერ გამოვლენილი ინიციატივისა, რომლითაც შეიქმნა და განმტკიცდა ქართველი ერის მიმართ კეთილგანწყობილი დამოკიდებულება და რომელმაც გააძლიერა სიმპათია მისი ათასწლოვა-

ნი ისტორიისა და ეროვნული კულტურისადმი.

ჩემი მთავრობა თავის წმინდა მოვალეობად მიიჩნევს აღნიშნოს თქვენი დამსახურება ამ ჯილდოს მონიჭებით. იგი იტოვებს უფლებას, რომ საქართველოს თავისუფლების აღდგენის შემდგომ, უფრო ღირსეულად დააფასოს თქვენი მცდელობისა და თქვენი პიროვნების ჭეშმარიტი მნიშვნელობა.

მიიღეთ, ჩემო ბატონო, ნიშნად მადლიერებისა და უღრმესი პატივისცემისა.

საქართველოს ეროვნული მთავრობის თავმჯდომარე."

ზემოთმოყვანილი დოკუმენტიდან ჩანს, რომ ორდენი „საქართველოს თავისუფლებისათვის" განკუთვნილი იყო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის მებრძოლი უცხოელების დასაჯილდოებლად.

სამწუხაროდ, პროექტი ორდენისა „საქართველოს თავისუფლებისათვის" პროექტადვე დარჩა და ვერ განხორციელდა. საფიქრებელია, რომ ეს ფაქტი განაპირობა საქართველოს საელჩოს გაუქმებამ პარიზში, რაც ჩვენი ქვეყნისათვის ერთობ არასასურველ მოვლენას წარმოადგენდა.

საქართველოს საელჩოს მდივანი სოსიპატრე ასათიანი იგონებდა: „საქართველოს საელჩოს არსებობა გაგრძელდა 1933 წლამდე (1921-1933 წწ.). სანამ ფრანგებმა არ შეპკრეს ეგრეთ წოდებული „საბჭოებისა და საფრანგეთის პაქტი". ამ პაქტის თანახმად, ხელის მომწერლებს, ე. ი. ამ ორ სახელმწიფოს არ შეეძლო გაეჩერებინა თავის ტერიტორიაზე რაიმე ორგანიზაცია, წინააღმდეგი მეორისათვის. თუმცაღა საქართველოს საელჩოს შესახებ არავითარი ლაპარაკი პაქტში არ იყო, მაინც მისი დატოვება პაქტიდან გამომდინარე შინაარსს არ შეეფერებოდა.

მთელი ამ ცამეტი წლის განმავლობაში ჩვენი საელჩო სარგებლობდა ყველა იმ უფლებით, რაც ასეთ დაწესებულებას აქვს მინიჭებული, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყანა დაპყრობილი იყო.

ამ 13 წლის გასწვრივ უმთავრესი დანიშნულება საელჩოსი იყო ლტოლვილების დაცვა; ამ მხრივ, მართლაც დიდი სამსახური გაუწია ამ დაწესებულებამ ქართველ ლტოლვილებს... საელჩო გახდა ცენტრად საზღვარგარეთ ჩვენი მუშაობისა" (57, 80-81).

ამრიგად, 1921 წლიდან ემიგრაციაში გახიზნული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით, 1921-33 წლების პერიოდში, პარიზში შემუშავებულ იქნა პროექტი ორდენისა „საქართველოს თავისუფლებისათვის", რომელიც ვერ განხორციელდა. ამის მიუხედავად, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის მებრძოლ უცხოელთა დასაჯილდოებლად საგანგებო ორდენის დაწესების ცდა ჩვენი საუკუნის ოციან-ოცდაათიანი წლების პარიზში — ფრიად საგულისხმო ისტორიული ფაქტია ქართული ჯილდოთმცოდნეობისათვის.

2.„ქართველ მხედართა დარაზმულობის“ მიერ შემუშავებული ეროვნულ ჯილდოთა პროექტები

1954 წლის 26 იანვარს, დასავლეთ გერმანიის ქალაქ მიუნხენში, გენერალ შალვა მაღლაკელიძის თავმჯდომარეობით დაწესდა ორგანიზაცია „ქართველ მხედართა დარაზმულობა უცხოეთში“. მის მდივნად აირჩიეს გრიგოლ ავალიანი, ხოლო საქმეთა მმართველად — გაიოზ შალვას ძე მაღლაკელიძე (1920-1989). ამ ორგანიზაციის დაარსებას, როგორც გერმანულ ენაზე შედგენილი „პროტოკოლი“ გვაუწყებს, ზემოთ ნახსენები სამი პიროვნების გარდა, ესწრებოდნენ: ალექსანდრე ბაღათურია, რომან ფარდზინი, ანდრო მოსიძე, დავით პეკურიძე და სხვები. როგორც ჩანს, ეს ორგანიზაცია თავის არსებობასა და საქმიანობას განაგრძობდა სსრკ-ის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თანამშრომლების მიერ გენერალ შალვა მაღლაკელიძის მოტაცების (1954 წლის აგვისტო) შემდეგაც (51, 588).

ქართველ მხედართა დარაზმულობამ შეიმუშავა საგანგებო მოწოდება საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველი სამხედრო პირებისადმი, რომელშიც ვკითხულობთ: „მას შემდეგ, რაც უკანასკნელ წლებში გერმანიაში და სხვა თავისუფალ სახელმწიფოებში დაარსდნენ მხედართა ორგანიზაციები, ქართველ მხედართა გაერთიანებაც ფრიად სასურველი შეიქმნა.

ამ მიზნით საინიციატივო ჯგუფმა შეიმუშავა წესდება და თავის კრებაზე 26 იანვარს 1954 წლისა, ის განიხილა, მიიღო და დასამტკიცებლად წარადგინა... წესდების IV პარაგრაფი ასე განმარტავს, სხვათა შორის, ამ დარაზმულობის დანიშნულებას: „ქართველ მხედართა დარაზმულობა არის პარტიების გარეშე მყოფი ორგანიზაცია და მის წევრად შეუძლია იყოს თითოეული ქართველი მხედარი, რომელსაც მოქმედებით ომში თუ მშვიდობიანობის დროს დაუმტკიცებია ღირსეული მამულიშვილობა, და აგრეთვე ისიც, ვინც იზიარებს პრინციპებს და ტრადიციებს ქართული მხედრობისას“ (51, 589).

შალვა მაღლაკელიძე

აღნიშნული ორგანიზაციის წევრთათვის სპეციალური ემბლემა იყო დაწესებული. იგი წარმოადგენს საბრძოლო ფარის ფორმის ნიშანს საქართვე-

ლოს ეროვნული სამფეროვანი დროშის ფერებით. ემბლემის ცენტრში გამოსახულია ბაგრატიონთა საგვარეულო გერბიდან გადმოღებული, ერთმანეთში გადაჯვარედინებული მახვილი და შურდული. ეს ემბლემა, სხვათა შორის, ამშვენებდა მეორე მსოფლიო ომის დროს, გერმანელთა მხარეზე მებრძოლ ქართველ ლეგიონერთა სამხედრო ფორმას. ქართველ მხედართა დარაზმულობის მესვეურთა თქმით, ამ ემბლემაში, ძველისა და ახლის შეთანხმება სიმბოლურად იძლეოდა „სახელოვანი ჩვენი მხედრული ისტორიის სულის შენახვას და მის გაგრძელების აუცილებლობას" (51, 589).

ქართველ მხედართა დარაზმულობის ამოცანები ასე იყო გაცხადებული ზემოთ ხსენებულ „მოწოდებაში": „პირველი საქმიანობა დარაზმულობისა შემდეგში უნდა გამოისახოს:

1. აღნუსხოს ქართველი მხედრები უცხოეთში;

2. გამოითხოვოს სათანადო დაწესებულებებიდან დახმარება დაჭრილ-დასახიჩრებულ ქართველებისათვის;

3. იპოვნოს და მოუაროს ომში დაღუპულ ქართველ მხედართა საფლავებს;

4. აღადგინოს ვინაობა დაღუპულთა, მათი განსვენების ადგილები იმ მიზნით, რომ პირველ შესაძლებლობისთანავე ამცნოს მშობლებს და ახლო ოჯახის წევრთ საქართველოში ხვედრი მათთვის დაუვიწყარი ახლობლებისა" (51, 590).

1954 წლის აპრილში, ქ. მიუნხენში შემუშავებული აღნიშნული ორგანიზაციის მოწოდება ასეთი სიტყვებით მთავრდებოდა: „ეაცნობებთ რა ქართველ მხედრებს დარაზმულობის დაარსებას, სიყვარულითა და პატივით მივმართავთ მათ მოწოდებით, ჩაეწერონ უკვე არსებულ ორგანიზაციაში, თავზე აიღონ ჩვენთან ერთად კეთილშობილური საქმე და მოვალეობაში; მით ღირსნი გავხდეთ ვიგრძნოთ თავი დაახლოებულად ჩვენს საყვარელ სამშობლო საქართველოსთან" (51, 590).

ქართველ მხედართა დარაზმულობამ შეიმუშავა ქართულ სამხედრო ჯილდოთა პროექტები, რომლებიც მეტად საინტერესოა მხატვრული გაფორმების თვალსაზრისით. ესენია: დავით აღმაშენებლის ორდენის, აგრეთვე, წმინდა გიორგისა და ქართული ლეგიონის მედლების პროექტები. თანამიმდევრულად განვიხილავთ ამ პროექტებს:

1. დავით აღმაშენებლის ორდენის პროექტზე გამოსახულია ჯვარი — ზედ გადაჯვარედინებული უქარქაშო ხმლებით. მათ გადაკვეთაზე, ცენტრში მოთავსებულ მედალიონს ამშვენებს გელათის ტაძრის ფრესკიდან გადმოღებული დავით აღმაშენებლის პორტრეტული ხატება. მედალიონზე, პორტრეტის ირგვლივ არის მხედრული ზედწერილი „საქართველო".

2. წმინდა გიორგის მედლის პროექტი ასეთია: მრგვალი ფორმის მედლის ცენტრში გამოსახულია გველეშაპის მლახვრავი წმინდა გიორგი — აფრიალებული მანტიით, ამხედრებული ყალყზე შემდგარ რაშზე. მის თავზე ჩანს შვიდი მნათობი, ისევე, როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო გერბზე. ამ გერბზე გამოსახული მხედრისაგან განსხვავებით, რომელსაც, ზოგჯერ, არასწორად აიგივებენ თეთრ გიორგისთან, წმინდა გიორგის მედლის პროექტზე



ორგანიზაციის
„ქართველ მხედართა
დარაზმულობა უცხოეთში"
ნევრთა ემბლემა

დავით აღმაშენებლის
ორდენის პროექტი

წმინდა გიორგის
მედლის პროექტი

ქართული ლეგიონის
მედლის პროექტი

გაიოზ მაღლაკელიძე
(დიუსელდორფი, 1963 წ.)

აღბეჭდილ მხედარს თავზე შარავანდედი ადგას. მედლის არეზე გვხვდება მხედრული ზედწერილი „საქართველო". მედალსა და ამ ჯილდოს მკერდზე მისამაგრებელს (ლითონის თხელ ფენაზე გადაკრულ შინდისფერ ბაფთას ორი ვერტიკალური თეთრი ზოლით) ერთმანეთთან აკავშირებს მინიატურული ლითონის რგოლი. იგი გამობმულია მედლის ზემოთ, ჰორიზონტალურად დამაგრებულ მახვილსა და შურდულზე.

3. ქართული ლეგიონის მედლის პროექტი ძალიან ჰგავს წმინდა გიორგის მედლის პროექტს. ამ უკანასკნელისაგან იგი მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ მის ცენტრში ჩაგვირისტებულია მხედრული ასოები: „ქ" და „ლ".

ზემოთ აღწერილი ჯილდოთა პროექტები ქართულ პრესაში პირველად გამოაქვეყნა პროფ. გ. შარაძემ (55).

საყურადღებოა დავით აღმაშენებლის ორდენისა და წმინდა გიორგის მედლის პროექტების შემუშავების ფაქტი. ეს პროექტები, უდაოდ, რაღაცით ეხმიანება იოანე ბაგრატიონის მიერ XVIII საუკუნის მიწურულს წამოყენებულ იდეას წმინდა დავით აღმაშენებლის ორდენისა და წმინდა გიორგის მედლის დაწესების შესახებ. საგულისხმოა, აგრეთვე, ქართული ლეგიონის მედლის პროექტის შემუშავების ამბავიც. მართალია, იგი მეორე მსოფლიო ომში გერმანელთა მხარეზე მებრძოლი ქართული ლეგიონის სამახსოვროდ იყო გათვალისწინებული. მაგრამ ამ მედლის პროექტის შექმნას შესაძლოა, ბიძგი მისცა პოპულარული ფრანგული ეროვნული ჯილდოს — საპატიო ლეგიონის ორდენის არსებობამაც.

სავარაუდოა, რომ განხილულ წარჩინების ნიშანთა პროექტების ავტორია ქართველ მხედართა დარაზმულობის ორგანიზაციის საქმეთა მმართველი გაიოზ მაღლაკელიძე. მან ხომ ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დროს შეიმუშავა ქართველი ლეგიონერის სამხედრო ფორმის პროექტი, რომელსაც სამკლაურზე ეწერა „Georgien" და გერმანული სამხედრო ფორმისაგან განსხვავებული სამხრეები ჰქონდა. სხვათა შორის, გაიოზ მაღლაკელიძე რედაქტორობდა ქართული ლეგიონის ბერლინში გამომავალ გაზეთ „საქართველოსაც" (51, 173; 65, 6).

დასავლეთ გერმანიაში მცხოვრები ქართველი ემიგრანტი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი ილია კუბუხიძე (წერდა „მინდია ლაშაურის" ფსევდონიმით)

თავის მოგონებებში აღნიშნავდა: „გაიოზ მაღლაკელიძე მეტად ენერგიული ახალგაზრდა პიროვნება იყო. განათლებული, თანაბრად ფლობდა გერმანულ, ფრანგულ, პოლონურ, რუსულ, ქართულ ენებს, მგონი ინგლისურსაც. გაიოზი ევროპულად იყო აღზრდილი. იგი ძალიან ზრუნავდა რედაქციის თანამშრომლებზე. მან... ჩვენი რედაქციის თანამშრომლები მოგვაწყო ბერლინის უნივერსიტეტთან უცხოელთათვის არსებულ გერმანულ ინსტიტუტში... გაიოზ მაღლაკელიძემ, თავისი ინიციატივით, ზემო ბავარიის მთიან გარემოში მდებარე თვალწარმტაც სოფელ რუპოლდინგში დაარსა ომში დასახიჩრებული და სუსტი ჯანმრთელობის მქონე ქართველი ლეგიონერებისათვის „მშობლიური კერა“. იგი ზრუნავდა მათთვის ყოველგვარი საშუალებით“ (51,198).

არსებობს ცნობა, რომ დავით აღმაშენებლის ორდენი ენიჭებოდათ „მამაცობისა და დამსახურებათა გამო საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში მსოფლიო ომში 1941-1945“, ხოლო ქართული ლეგიონის მედალი გაიცემოდა „ღირსეული მონაწილეობისათვის საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში მსოფლიო ომში 1941-1945“ (51, 588). საფიქრებელია, რომ დავით აღმაშენებლის ორდენითა და ქართული ლეგიონის მედლით ამა თუ იმ პირის დაჯილდოებას სიმბოლური ხასიათი ჰქონდა და იგი მხოლოდ ქაღალდზე ხდებოდა. როგორც ჩანს, ხსენებული ჯილდოების პროექტები პროექტებადვე დარჩა (55).

ამრიგად, მართალია, ქართველ მხედართა დარაზმულობის მიერ შემუშავებული ორდენისა და მედლების პროექტები არ განხორციელდა, მაგრამ, ამის მიუხედავად, ეროვნულ სამხედრო ჯილდოთა დაწესების ცდა, ოთხი ათეული წლის წინ, დასავლეთ გერმანიის ქალაქ მიუნხენში — ფრიად საყურადღებო ფალერისტიკულ ფაქტად რჩება.

უცხოურ ჯილდოთა ქართველი კავალრები

ჩვენი წინაპრებისა თუ თანამედროვეთა გარკვეული ნაწილი, სხვადასხვა დროს დაჯილდოედა უცხოური წარჩინების ნიშნებით. მათ მიერ მუყაითი შრომის, სისხლისა და სიცოცხლის ფასად მოპოვებული უცხოური ჯილდოები, ამავე დროს, მთელი ქართველი ერის წმიდათაწმიდა საკუთრებაა. ხსენებულ ჯილდოებზე, იშვიათი გამონაკლისის გარდა, თითქოსდა სიმბოლურად არის ასახული ქართველთათვის დამახასიათებელი რაინდობა და მხნეობა, ჩვენი ხალხის ძირძველი და მდიდარი საბრძოლო თუ შრომითი ტრადიციები.

საქართველოში რუსული მმართველობის დამყარებიდან რუსეთის ცარისტული იმპერიის დანგრევამდე ჩვენში არსებობდა რუსული წარჩინების ნიშნებით დაჯილდოების წესი. აქვე უნდა ითქვას, რომ რუსული ორდენებითა და მედლებით ქართველთა დაჯილდოება ქართული სამეფო-სამთავროების რუსეთის შემადგენლობაში შესვლამდე დაიწყო. ასეთი პატივი ერგოთ, ძირითადად, ქართველ მეფე-მთავრებსა და დიდებულებს.

გრიგოლ ორბელიანი

რუსეთის უმაღლესი საიმპერიო ჯილდოს — წმინდა მოციქულის ანდრია პირველწოდებულის ორდენის კავალრები იყვნენ: 1769 წლიდან — ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე მეორე (35,124), 1799 წლიდან მისი ვაჟი გიორგი მეთორმეტე (8,195), ხოლო 1785 წლიდან — იმერეთის მეფე დავით მეორე (59,28).

ქართველი ბატონიშვილების დიდი ნაწილი უხვად იყო დაჯილდოებული რუსული წარჩინების ნიშნებით. მრავალ მათგანს მიღებული ჰქონდა წმინდა ანნას ორდენი (8,138).

წარჩინებული წრის რუს მანდილოსანთათვის განკუთვნილი საპატიო ჯილდოს — წმინდა ეკატერინეს ორდენის კავალრები იყვნენ: ერეკლე მეორის მეუღლე დარეჯან დადიანი (35,154), გიორგი მეთორმეტის მეუღლე მარიამი, იმერთმეფე დავით მეორის მეუღლე ანა მათეს ასული, სოლომონ მეორის მეუღლე მარიამ კაციას ასული და სამეგრელოს მმართველი ნინო (8,7).

ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლის შემდეგ, რუსული წარჩინების ნიშნებით დაჯილდოებულ ქართველთა რიცხვმა სწრაფად დაიწყო ზრდა. ამას ხელი შეუწყო იმანაც, რომ 1803 წელს იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა ნება დართო ქართლ-კახეთის მთავარმართებელ გენერალ პაველ ციციანოვს (ციციშვილს), რათა მას საკუთარი შეხედულებისამებრ, ადგილზე დაეჯილდოებინა თავისი ერთგული თანამშრომელნი რუსული ორდენებით და არ დალოდებოდა ნებართვას პეტერბურგიდან (9,837).

წმინდა მოციქულის ანდრია პირველწოდებულის ორდენით სხვადასხვა დროს დაჯილდოვდნენ რუსეთის იმპერიის სამსახურში მყოფი ქართველი გენერლები: პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონი (8,99), გიორგი იასეს ძე ერისთავი (25,50), გრიგოლ დიმიტრის ძე ორბელიანი (25,137) და სხვები.

„კავკასიაში არც ერთ გენერალს არ ღირსებია ესოდენ დიდი წარმატება და სახელმწიფო თუ სამოქალაქო მოღვაწეობა, იერარქიის მაღალ საფეხურზე ასვლა, როგორც გრიგოლ ორბელიანს ხვდა წილად“ — შენიშნავდა პროფესორი შამშე მეგრელიძე (25,133). მართლაც, ანდრია პირველწოდებულის ორდენის გარდა, გრიგოლ ორბელიანი დაჯილდოებული იყო: წმინდა ალექსანდრე ნეველის, წმინდა გიორგის, წმინდა ვლადიმირის, წმინდა ანნას, თეთრი არწივისა და წმინდა სტანისლავის სხვადასხვა ხარისხის ორდენებით, აგრეთვე, მრავალი მედლით, ალმასებით მოოჭვილი ოქროს ხმლითა და ხანჯლით, წარწერით „მამაცობისათვის“. მას მიკუთვნებული ჰქონდა სხვა უცხოური ჯილდოებიც, კერძოდ, პრუსიის წითელი ჯვრისა და იტალიის დიდი ჯვრის ორდენები, ირანის შაჰის ბრილიანტებით მოოჭვილი პორტრეტი და სხვა წარჩინების ნიშნები (25,144).

ზემოთ ჩამოთვლილი და წმინდა მოციქულის ანდრია პირველწოდებულის ორდენის ქართველი კავალრების გარდა, რუსეთის იმპერიისადმი თავდადებული სამსახურისათვის არაერთი რუსული წარჩინების ნიშნით იყვნენ დაჯილდოებულნი ცნობილი სამხედრო მოღვაწენი: პაველ ციციანოვი (ციციშვილი) (1754-1806), სიმონ განგებელიძე (1757-1827), ივანე ფანჩულიძე (1759-1815), ივანე ჯავახიშვილი (1763-?), სიმონ ფანჩულიძე (1764-1818), ვლადიმერ იაშვილი (1764-1815), სპირიდონ ჯავახიშვილი (1768-1815), ლევან იაშვილი (1768-1836), რომან ბაგრატიონი (1778-1834), ალექსანდრე ჭავჭავაძე (1786-1846), ივანე ანდრონიკაშვილი (1798-1868), იასონ ჭავჭავაძე (1804-1857), ივანე ბაგრატიონ-მუხრანელი (1812-1895), ილია ორბელიანი (1816-1853), პეტრე ბაგრატიონი (1818-1876), კონსტანტინე მამაცაშვილი (1818-1900), ნიკოლოზ ერისთავი (1820-1856), ალექსი ქავთარაძე (1820-1907), ილია ჩოლოყაშვილი (1823-1877), ალექსანდრე ბუჭყიაშვილი (1825-1902), ზაქარია ჭავჭავაძე (1825-1905), ივანე ამილახვარი (1829-1905), ნიკო ჭავჭავაძე (1830-1897), ალექსანდრე ბაგრატიონ-იმერეტინსკი (1837-1900), ნიკო დადიანი (1837-1903), მიხეილ ამირაჯიბი (1838-1903), არჩილ ჭავჭავაძე (1841-1902), გიორგი თარხნიშვილი (1841-1911), გიორგი მაზნიაშვილი (1870-1937), გიორგი კვინიტაძე (1874-1970) და სხვები.

ქართული რომანტიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ცნობილი სამხედრო და სა-

ივანე ანდრონიკაშვილი

იასონ ჭავჭავაძე

ივანე ბაგრატიონ-მუხრანელი

ილია ჩოლოყაშვილი

ზაქარია ჭავჭავაძე

ალექსანდრე
ბაგრატიონ-იმერეტინსკი

ნიკო დადიანი

არჩილ ჭავჭავაძე

ხელმწიფო მოღვაწე, გენერალ-ლეიტენანტი ალექსანდრე გარსევანის ძე ჭავჭავაძე უხვად იყო დაჯილდოებული, როგორც რუსული, ასევე ევროპის სახელმწიფოთა ორდენებითა და მედლებით. კერძოდ, მას მიეკუთვნა: წმინდა ანნას და წმინდა ელადიმირის სხვადასხვა ხარისხის ორდენები, აგრეთვე, საფრანგეთის საპატიო ლეგიონის ორდენი, პრუსიის პურლემერიტი, ოქროს ხმალი წარწერით „მამაცობისათვის" და სხვა ჯილდოები (25,56-59).

ქართველ გენერალთა სახელოვანი პლეადიდან ევროპული ჯილდოების სიმრავლით გამოირჩევა გამოჩენილი მეცნიერი პეტრე რომანის ძე ბაგრატიონი. რუსულ ჯილდოთა გარდა, მას მიღებული ჰქონდა: შვედეთის წმინდა ოლაფის ორდენი, ნეაპოლიტანიის წმინდა ფრანცისკის ორდენი, ჰესენის ფილიპე სულგრძელის ორდენი, ბავარიის წმინდა მიხეილის ორდენი, ბადენის ცერინგენის ლომის ორდენი და პორტუგალიის ქრისტეს ორდენი (8,271).

ლ. ფირცხალავა საინტერესოდ ხსნის რუსთხელმწიფის სამსახურში ჩამდგარი ქართველი მხედრების მიერ რუსული საიმპერიო ჯილდოების უხვად დამსახურების ისტორიულ ფაქტს. იგი წერს: „აღსანიშნავია, რომ XIX საუკუნეში დასავლეთევროპულ კარიკატურებზე რუსი ჯარისკაცი გამოსახული იყო ლომის თავით, ოფიცერი — ვირის თავით, გენერალი კი, საერთოდ, თავის გარეშე და ბუნებრივია, არ არის გასაკვირი, რომ ამ ფონზე ქართველობას, გამორჩეულს თავისი გენეტიკური ნიჭიერებით და მამაცობით, მრავალად დაემსახურებინა რუსეთის იმპერიის ჩინ-მედლები, რაც მათ სამშობლოს არანაირ სასიკეთო საქმეში არ წასდგომია" (50,85).

დღევანდელი გადასახედიდან მართლაც საკმაოდ რთულია დაიცვა იმ ქართველ სამხედრო მოღვაწეთა პოზიციები, რომელნიც თავიანთი უშრეტი ენერგიით მხარს უმაგრებდნენ რუსეთის ექსპანსიონისტურ პოლიტიკას კავკასიაში თუ მის ფარგლებს გარეთ, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ხსენებულ მხედართა უმრავლესობას თავიანთი მოქმედება ქართველი ერის ფიზიკური გადარჩენის ერთადერთ გზად ესახებოდა. ეს კი იყო ლოგიკური შედეგი საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობისა, რაც ოდითგანვე ტრაგედიად ექცა ქართველობას, რამაც განაპირობა მისი ეროვნული ორიენტაციის ასეთი საბედისწერო ცვალებადობა მთელი ჩვენი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე.

იმ ქართველ წარჩინებულთაგან განსხვავებით, რომლებიც ერთგულად ემსახურებოდნენ რუსეთის იმპერიას, იყვნენ ისეთებიც, ვინც ვერ შეგუებოდნენ საქართველოში რუსული მმართველობის დამყარებას, მკლავმოუღლელად იბრძოდნენ და ცდილობდნენ აღედგინათ ქართული სახელმწიფოებრიობა. მათ შორის საპატიო ადგილი უკავია მეფე ერეკლე მეორის ვაჟს — აღ.ექსანდრე ბატონიშვილს (1769-1844), რომელსაც ირანის შაჰმა „ვალის" ტიტული უბოძა და გადასცა პრესტიჟული ჯილდო — ლომისა და მზის ორდენი (8,146).

საქვეყნოდ სახელგანთქმული ფრანგული სახელმწიფო ჯილდოს — საპატიო ლეგიონის ორდენის ერთ-ერთი პირველი კავალერი იყო ნაპოლეონის ერთგული მცველი, მამელუქ რუსტამის სახელით ცნობილი როსტომ რაზმაძე, რომელიც გა-

ნუშორებლად თან ახლდა იმპერატორს ყველა ომში (50,84).

პირველი მსოფლიო ომის დროს იშვიათი მხნეობა და გაბედულება გამოიჩინა კავკასიის ფრონტზე მებრძოლმა რუსეთის არმიის კაპიტანმა ტარასი ვაშაკიძემ (1891-1937). მან 1914 წლის დეკემბერში, სარიყამიშთან ბრძოლის დროს, ურთუ-ლეს ვითარებაში შეძლო ტყვედ აეყვანა ოსმალეთის მეცხრე საარმიო კორპუსის გენერალიტეტი, რომელიც თვითონვე ჩამოიყვანა თბილისში. ამ ბრწყინვალედ ჩა-ტარებული სამხედრო ოპერაციისათვის კავკასიის მეფისნაცვალმა გრაფმა ვორონ-ცოვ-დაშკოვმა ტ. ვაშაკიძემ დააჯილდოვა ფრანგული წარჩინების ნიშნით, სახელ-წოდებით „Medaille militaire" („სამხედრო მედალი"). სხვათა შორის, საფრანგეთის პრეზიდენტ პუანკარეს მიერ საგანგებოდ გამოგზავნილი ხსენებული მედალი სულ ორი ცალი იყო მთელს რუსეთის იმპერიაში და აქედან ერთი მათგანი თვით იმპე-რატორ ნიკოლოზ მეორის მკერდს ამშვენებდა (48,53).

სარიყამიშთან ბრძოლაში მონაწილეობდა, აგრეთვე, ქაქუცა ჩოლოყაშვილიც, რომელმაც ორი მძიმე ჭრილობის მიუხედავად, თურქებს არ დაუთმო სტრატეგი-ულად მნიშვნელოვანი მწვერვალი „არწივის ბუდე" და ამ თავდადებისათვის ოქ-როში დაფერილი ხმალი დაიმსახურა (48,53).

შემორჩენილია ირაკლი გიორგის ძე ბაგრატიონ-მუხრანელის (1909-1977) ერ-თი ფოტოსურათი, რომელზედაც აღბეჭდილი და საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრედ აღიარებული ბატონიშვილის მკერდს ამშვენებს წმინდა მოციქულის ანდრია პირველწოდებულის საორდენო ნიშნები: ძეწკვი და ჯვარი. აქედან შეგვიძ-ლია ვივარაუდოთ, რომ ირაკლი ბაგრა-ტიონი რუსეთის უმაღლესი საიმპერიო ჯილდოს კავალერი ყოფილა. აქვე დავძენთ, რომ დაუზუსტებელი ცნობით, ირაკლი ბატონიშვილის მამას გიორგი ბაგრატიონს ესპანეთში დაუწესებია „უფლის კვართის ორდენი", როგორც საგვარეულო ჯილდო. ხოლო ამ ჯილდოს ერთ-ერთი კავალერი ყოფილა კაუდილიო ფრანსისკო ფრანკო (1892-1975).

ვლადიმერ ნანეიშვილი

მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ზოგიერთ ქართველ გენერალს, საბჭოთა ჯილდოების გარდა, მიღებული ჰქონდა უცხოური წარჩინების ნიშნებიც. კერ-ძოდ, ამერიკის შეერთებული შტატები-სა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოები გადაეცა კ. ჯახუ-ას, ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო ჯილ-

ვლადიმერ ჯანჯღავა

ერმალოზ კობერიძე

დოები — ვ.ნანეიშვილს, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოები კი მიეკუთვნათ: ვ.ნანეიშვილს, ე.კობერიძეს, ვ.ჯანჯღავას, ნ.კალაძეს, ე.ტატანაშვილსა და სხვებს (34,195-202).

ქართველმა მხედრებმა თავი ისახელეს ევროპის ქვეყნებში გაშლილ ანტიფაშისტურ წინააღმდეგობის მოძრაობაში, რისთვისაც ზოგიერთი მათგანი დაჯილდოდა ევროპის სხვადასხვა სახელმწიფოთა საპატიო ჯილდოებით.

იტალიის რესპუბლიკის უმაღლესი სახელმწიფო ჯილდო — ოქროს მედალი „მხედრული მამაცობისათვის" სიკვდილის შემდეგ მიეკუთვნა იტალიის წინააღმდეგობის მოძრაობის ერთ-ერთ აქტიურ მონაწილეს — ფორე მოსულიშვილს (1916-1944). აღნიშნული მედალი იტალიაში ყველაზე საპატიო ჯილდოდ ითელება. მისი კავალერი ეროვნულ გმირად არის მიჩნეული და თვით გენერალიც კი ვალდებულია პირველი მიესალმოს ამ მედლის მფლობელ ჯარისკაცს. აღნიშნული ჯილდოს კავალერთა რიცხვი მცირეა და იშვიათად, რომ ეს წარჩინების ნიშანი მის მფლობელს გადაეცეს. ხშირად მისი კავალრები უკვე გარდაცვლილნი ხდებიან (27,34)

საგულისხმოა, რომ ფორე მოსულიშვილის დაჯილდოების დეკრეტს, 1970 წლის 28 თებერვალს, თვით იტალიის პრეზიდენტმა ჯუზეპე სარაგატიმ მოაწერა ხელი: ოქროსაგან დამზადებული ამ მედლის ზურგზე ამოტვიფრულია წარწერა: „MOSULISHVILI PHORE NIKOLAEVIC". წარწერის გარშემო ზეთისხილის რტოებია. იქვეა მითითებული დაჯილდოებულის გმირობის თარიღი და ადგილი: 1944 წლის 3 დეკემბერი, მატარონე-ლეზა (ნოვარა). მედლის შუბლზე

გამოსახულია იტალიის სახელმწიფო გერბი. იქვეა ამოტეიფრული იტალიური წარწერები: „AL VALORE MILITARE“ („მხედრული მამაცობისათვის“) და „LA REPUBLICA ITALIANA“ („იტალიის რესპუბლიკა“). ეს საპატიო ჯილდო 1971 წლის 19 მარტს, მოსკოვში, იტალიის საელჩოს შენობაში გადაეცათ დაჯილდოებულის ძმებს ვასილ და გიორგი მოსულიშვილებს (49).

იტალიის სახელმწიფო ჯილდოებით, ფ.მოსულიშვილის გარდა, სხვა ქართველი მებრძოლებიც არიან დაჯილდოებულნი. მათ შორის ღირსეული ადგილი უკავია „კაპიტანი მონტის“ სახელით ცნობილ პარტიზანს გიორგი ვარაზაშვილს, რომელსაც გმირული სიკვდილის შემდეგ მიეკუთვნა ბრინჯაოს მედალი „მხედრული მამაცობისათვის“ (43,53).

ფორე მოსულიშვილი

1966 წელს იტალიის საბრძოლო ორდენები გადაეცათ იტალიაში საგანგებოდ ჩასულ ყოფილ ვარიბალდელ პარტიზანებს: ნ.გიორგაძეს და შ.მუნჯიშვილს (34,219).

აღსანიშნავია, რომ მამაცობისა და ვამბედაობისათვის „სალვატორედ“ წოდებული შალვა მუნჯიშვილი, სხვა იტალიურ ჯილდოებთან ერთად, „გარიბალდის ოქროს ვარსკვლავის“ კავალერიც ყოფილა (43,25).

საფრანგეთის რესპუბლიკის მაღალი საბრძოლო ჯილდოები — სამხედრო ჯვარი და ვერცხლის ვარსკვლავი გმირული სიკვდილის (1944 წლის 6 აგვისტო) შემდეგ მიეკუთვნათ საფრანგეთის ქალაქ კარმოს მახლობლად მდებარე ჟუკეილის ტყეში მოქმედ ქართველ პარტიზანებს: ი. დინგაშვილს, ნ.ტაბაღუას, ს.ხატიაშვილსა და ა.ხუჭუას (34,213-214).

„მებრძოლი საფრანგეთის“ ორდენებით დაჯილდოვდნენ ის ქართველი მეომრები, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ: ჟიუმიაკის, ექსიდეის, ბერჟერაკისა და სხვა ფრანგული ქალაქებისათვის ბრძოლებში (34,213-218).

აღსანიშნავია, რომ მეორე მსოფლიო ომში, ფრანგების მხარდამხარ თავგამოდებით იბრძოდნენ საფრანგეთში მცხოვრები ქართველებიც, რომელთათვისაც ევროპის ეს ლამაზი ქვეყანა მეორე სამშობლოდ იქცა.



დიმიტრი ამილახვარი

თავის შესანიშნავ კინოქმნილებაში „ფურცლები ფრანგული დღიურიდან“ მწერალი რევაზ თაბუკაშვილი გადაუჭარბებლად აცხადებს, რომ ფრანგებთან ერთად მებრძოლ რჩეულ ქართველ მხედართა შორის „გამორჩეულად დარჩა პოლკოვნიკ დიმიტრი ამილახვრის სახელი. ისტორიის ბედუკუღმართობით ბავშვობიდან საფრანგეთში მოხვედრილი და აღზრდილი ქართველი ყმაწვილი, მეტსახელად „ბაზორკა“ — საფრანგეთის ეროვნული გმირი გახდა“ (27,88).

დ.ამილახვარმა თავი გამოიჩინა აფრიკაში, „უდაბნოს ვერდენად“ წოდებულ ბირ-ჰაკეიმთან გამართულ ბრძოლაში, სადაც იგი თავისი სამხედრო შენაერთით წინ აღუდგა გერმანელი ფელდმარშლის ერვინ რომელის არმიას. ამისათვის, იგი დაჯილდოვდა „განთავისუფლების ჯვრით“. დ. ამილახვარი გმირის სიკვდილით დაეცა 1942 წლის 24 ოქტომბერს, ელ-ალამეინის ბრძოლაში. საფრანგეთის უმაღლესი სამხედრო აკადემიის „სენ-სირის“ 1956 წლის გამოშვებას პოლკოვნიკ ამილახვრის სახელი მიენიჭა (27,88-90).

ფრანგთა მხარდამხარ მებრძოლ ქართველ მხედრებს შორის ღირსეული ადგილი უკავია საპატიო ლეგიონის ორდენის ორგზის კავალერს ივანე ვაჩნაძეს (1899-1976). მეორე მსოფლიო ომის დროს იგი გერმანელებს ჩრდილოეთ აფრიკაში ებრძოდა და სათავეში ედგა ესკადრონს უცხოელთა ლეგიონში (52,55).

ქართველ იუნკერთა სახელოვანი პლეადის წარმომადგენლების ნ.მათიკაშვილისა და მ.კვალიაშვილის თქმით, უკვე ხსენებული ივანე ვაჩნაძის გარდა, მეორე მსოფლიო ომის დროს, საფრანგეთის არმიაში უმსახურიათ, აგრეთვე „სენ-სირის“ სამხედრო აკადემიადამთავრებულ ქართველ იუნკერებს: გიორგი ოდიშელიძეს, კუკური თოხაძეს, ჭინჭარაძეს და კინწურაშვილს. ზოგიერთ მათგანს პოლკოვნიკის

ხარისხამდე მიუღწევია და მაღალი საბრძოლო ჯილდოებიც დაუმსახურებია (21,30).

მრავალი სამხედრო ჯილდო მიუღია გენერალ დე-გოლის ჯარებში მებრძოლ ალექსი აკაკის ძე ჩხენკელს, რომელსაც „სენ-სირის" სასწავლებელი წარჩინებით ჰქონია დამთავრებული (57,83).

ფრანგული წარჩინების ნიშნებით დაჯილდოებულ ქართველთა რიცხვი იმდენად დიდია, რომ მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

იუგოსლავიის სახალხო გმირის მაღალი წოდება მიენიჭა და შესაბამისი დასახელების ორდენი გადაეცა სამხედრო მფრინავ ალექსანდრე მანაგაძეს, რომელმაც თავი გამოიჩინა იუგოსლავიის განთავისუფლებისათვის ბრძოლისას (29.464-467).

იუგოსლავიის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდნენ. აგრეთვე. ის ქართველი მებრძოლები (ყოფილი სამხედრო ტყვეები), რომლებიც პარტიზანულ ბრძოლას ეწეოდნენ ამ ქვეყნის ტერიტორიაზე. მათ შორის იყვნენ. ს.ჯაფარიძე, ი.გვასალია,გ.ირემაძე, ა.ნადირაძე, ა.ყურაშვილი, ი.რევეიშვილი, დ.რაზმაძე, ს.გერგედავა და სხვები (34,212).

მეორე მსოფლიო ომში თავი ისახელეს პოლონელთა რეგულარულ არმიაში მყოფმა ქართველმა მხედრებმა. რომელთა დიდი ნაწილი საქართველოს იძულებითი გასაბჭოების შემდეგ ჩავიდა პოლონეთში ამ ქვეყნის მეთაურის მარშალ იუზეფ პილსუდსკის (1867-1935) მიწვევით.

პოლონური წარჩინების ნიშნებით დაჯილდოებულ ქართველთა შორის გამოირჩევა ვარშავის დაცვის გმირი — პოლკოვნიკი დავით ვაჩნაძე. არსებობს ცნობა, რომ დ.ვაჩნაძემ „პოლონელებისაგან უმაღლესი ჯილდო მიიღო, რომელიც ჯერ კიდევ ნაპოლეონს დაუარსებია და მერე პილსუდსკიმ



ივანე ვაჩნაძე

ალექსანდრე მანაგაძე

აღადგინა“ (51,156). ეფიქრობთ, აღნიშნული ჯილდო უნდა იყოს 1792 წელს დაწესებული ორდენი „VIRTUTI MILITARI“, რომელიც 1919 წელს აღადგინა პილსუდსკიმ (93,237).

1939 წლის სექტემბერში, პოლონეთში შეჭრილი გერმანული არმიის სარდლობამ გენერალი ალექსანდრე ზაქარიაძე „პოლონეთის დამცველ უკანასკნელ რაინდად“ გამოაცხადა (51,157).

დიდი ბრიტანეთის სამხედრო დაზვერვის ყოფილი პოლკოვნიკი, 1943 წელს გამართულ თეირანის კონფერენციაზე ინგლისის მხარის ერთ-ერთი წარმომადგენელი მერაბ კვიტაშვილი (1902-1990), პოლონეთის არმიაში მომსახურე ქართველ გენერლებს შორის გამოყოფს გენერალ ზაქარია ბაქრაძეს. მ.კვიტაშვილი იგონებდა: „ზაქარია იყო დიმიტრი ბაქრაძის შვილიშვილი. ის ჯერ რუსეთის არმიაში მსახურობდა და მერე პოლონეთის არმიის გენერალი გახდა. გენერალი ბაქრაძე იყო ყველაზე მეტი ორდენების კავალერი მხოლოდ ქართველებს შორის კი არა, საერთოდ იმათ შორის, ვინც მე შემხვედრია. სხვათა შორის, მას ჯერ კიდევ რუსეთში ჰქონდა გიორგი ჯერის (უნდა იყოს წმინდა გიორგის ნ.ჯ.) მეორე ხარისხის ორდენი. ეს ორდენი სამეფო ოჯახისთვის იყო განკუთვნილი და მხოლოდ ზაქარიასთვის გაკეთდა ერთადერთი გამონაკლისი“ (17,9). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 1769 წელს დაწესებული წმინდა გიორგის ორდენის დამსახურება ერთობ ძნელი იყო. მაშინ, როდესაც რუსეთის უმაღლესი საიმპერიო ჯილდო — წმინდა მოციქულის ანდრია პირველწოდებულის ორდენი ათასზე მეტმა კაცმა მიიღო, წმინდა გიორგის I ხარისხის ორდენი მთელი მისი არსებობის მანძილზე სულ 25 კაცს ერგო. არანაკლებ რთული იყო წმინდა გიორგის შედარებით დაბალი ხარისხის ორდენების დამსახურებაც, რაც გენერალ ბაქრაძის გარდა რუსეთის სამსახურში მყოფ სხვა ქართველ სამხედრო პირებსაც მოუხერხებიათ (50,85).

ჩვენი ისტორიული ბედუკუღმართობის შედეგად, განგებამ ისე ინება, რომ დედამიწის ზურგზე ოდესმე მომხდარ ომებს შორის ყველაზე სისხლისმღერელ მეორე მსოფლიო ომში ქართველები დაპირისპირებულ მხარეთა ორივე ბანაკში ყოფილიყვნენ. ვინაიდან გერმანიისა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ ბრძოლაში თავგამოჩენილ ქართველთა შესახებ უკვე გვქონდა საუბარი, ეფიქრობთ, რომ საჭიროა გავიხსენოთ ის ქართველებიც, რომლებიც თავგანწირვით იბრძოდნენ გერმანელთა და მათ მოკავშირეთა მხარდამხარ. მათ უმრავლესობას გულწრფელად სჯეროდა, რომ სამშობლოს ბოლშევიკური ურჩხულისაგან განსათავისუფლებლად ღერიდა სისხლს.

ასე, რომ ჩვენი მიზანია არა მტყუანისა და მართლის გარკვევა, არამედ დასახული მიზნისათვის თავშეწირულ იმ ქართველ მხედართა სახელების გახსენება, რომელთა გმირობაც გერმანული არმიის ხელმძღვანელობამ სათანადოდ დააფასა და დამსახურებული ჯილდოების გაცემით აღნიშნა. აქვე შევნიშნავთ, რომ გერმანელთა სამხედრო მესვეურებმა, მათ მხარდამხარ მებრძოლ ქართველ თუ სხვა ეროვნების მოხალისეთა დასაჯილდოებლად საგანგებოდ გამოუშვეს: ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს წარჩინების ნიშნები (51,559).

1942 წლის 26 თებერვალს, გერმანიის უმაღლესი სარდლობის ხელშეწყობით, ჩამოყალიბდა ძირითადად ქართველ სამხედრო ტყვეთაგან დაკომპლექტებული საჯარისო შენაერთი ქართული ლეგიონი. ამ ფაქტიდან ერთი წლის შემდეგ, ლეგიონის ყოველკვირეული გაზეთი „საქართველო“ (რედაქტორი გაიოზ მაღლაკელიძე) იუწყებოდა: „ერთმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც ქართული ლეგიონი ჩამოყალიბდა. დიდი გერმანელი ხალხის დახმარებით და მზრუნველობით, ქართველმა ახალგაზრდობამ, სამშობლოს მკერდიდან ძალით მოგლეჯილმა შვილებმა შეჰქმნეს თავიანთი ნაციონალური ლაშქარი, რომლის საბრძოლო დროშაზედაც სწერია — ეროვნული მონობის ბორკილთა დამსხვრევა, ბოლშევიკური ჯოჯოხეთისაგან მამულის განთავისუფლება... ამ ერთი წლის განმავლობაში ქართულმა ლეგიონმა გერმანიის არმიის სარდლობას დაუმტკიცა თავისი ერთგულება. მამაც ქართველ ლეგიონერთა მკერდებს დღეს ამშვენებს ბრძოლითა და სისხლით მოპოვებული საბრძოლო ჯილდონი (51,286-288).

1942-1945 წლებში გამომავალ გაზეთ „საქართველოს“ სხვადასხვა ნომერში ხშირად არის ნათქვამი ქართველ ლეგიონერთა დაჯილდოების შესახებ, როგორც სპეციალურად მათთვის გამოშვებული, ასევე გერმანული წარჩინების ნიშნებით. ამავე დროს, იშვიათად არის მოხსენიებული დაჯილდოებულის გვარ-სახელი, ანდა თვით ჯილდოს სახელწოდება. გამონაკლის შემთხვევაში, დაჯილდოებულის გვარ-სახელი წარმოდგენილია ინიციალებით.

1944 წლის 25 ოქტომბერს, ბერლინში, ქართული საკავშირო შტაბის დაარსებისა და მოღვაწეობის წლისთავთან დაკავშირებით, შედგა გერმანიის სამხედრო ხელისუფლების წარმომადგენელთა საზეიმო შეხვედრა შტაბის წევრებთან. გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის წარმომადგენელთა და ქართული შტაბის წევრთა გარდა, შეხვედრას დაესწრნენ ქართველი მოხალისენი, აგრეთვე, ქართველი და გერმანელი სტუმრები.

მისასალმებელი სიტყვის წარმოთქმის შემდეგ, ობერტს-ლეიტენანტმა ვინმე ა.დ.ე-მ, გენერალ კესტრინგის დავალებით, „საერთო მტრის — ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში დაუღალავი და ენერგიული მუშაობისათვის“, მამაცობის I ხარისხის ორდენით დააჯილდოვა ობერლეიტენანტი გივი ეგნატეს ძე გაბლიანი (51,515).

გერმანელთა მხარდამხარ თავგანწირული ბრძოლისათვის, ქართველი მოხალისე გულო ნადირაია სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდა პრესტიჟული გერმანული წარჩინების ნიშნით — I ხარისხის რკინის ჯვრით. მანამდე იგი ყოფილა კავალერი II ხარისხის რკინის ჯვრისა (51,547-552).

გერმანული ჯარების მხარდამხარ მებრძოლი ქართველი მხედრების დაჯილდოება გერმანული თუ საგანგებოდ მოხალისეთათვის დამზადებული წარჩინების ნიშნებით — გრძელდებოდა თითქმის მეორე მსოფლიო ომის ბოლომდე.

აღსანიშნავია, რომ უცხოური საბრძოლო ჯილდოები მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგაც დაიმსახურა საზღვარგარეთის ქვეყნების შეიარაღებულ ძალებში მომსახურე ზოგიერთმა ქართველმა მხედარმა. მათ შორის გამორჩეული

ადგილი უკავია აშშ-ის შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბების კომიტეტის თავმჯდომარეს ჯონ (მალხაზ) შალიკაშვილს, რომელიც არაერთი საპატიო უცხოური ჯილდოს კავალერია და ფაქტობრივად, უმაღლესი სამხედრო პირია თანამედროვე აშშ-ში.

ამრიგად, თუ გადავხედავთ მხედრული მამაცობისა თუ საბრძოლო დამსახურებისათვის უცხოური წარჩინების ნიშნებით დაჯილდოებულ ქართველთა სიას, მთლიანად ვირწმუნებთ XI საუკუნის ქართველი პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწის გრიგოლ ბაკურიანის ძის სიტყვების ჭეშმარიტებას, რომ „ქართველნი ვართ ნათესავით მხნენი და მხედრობით აღზრდილნი და მარადის ჭირვეულსა ცხოვრებასა ჩვეულნი“.

სამწუხაროდ, უცხოური საბრძოლო ჯილდოების ქართველ კავალერთა შორის არიან ისეთებიც, რომლებმაც წარჩინების ნიშნები საკუთარი სამშობლოს წინააღმდეგ ბრძოლისათვის მიიღეს.

ჯონ მალხაზ შალიკაშვილი

დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის ოკუპაციის საქმეში გამოჩენილი გულმოდგინებისათვის, აზერბაიჯანის სსრ-ის რევოლუციურმა კომიტეტმა წითელი დროშის ორდენით დააჯილდოა სერგო ორჯონიკიძე. რევკომის დადგენილებაში ნათქვამი იყო, რომ აღნიშნული ჯილდო არის „აზერბაიჯანის სსრ-ის წითელი დროშის ორდენი №9, რომლითაც აზერბაიჯანის სსრ-ის რევოლუციური კომიტეტის 1921 წლის 25 თებერვლის დადგენილებით გ. კ.ორჯონიკიძე — რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს მდივანი, დაჯილდოებულია ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლებიის დასამყარებლად ბრძოლის ხელმძღვანელობისათვის“.

ორდენი სპეციალურად დაამზადეს მაღალსინჯიანი (958) ოქროსაგან. მის ზურგზე რუსულად და აზერბაიჯანულად წარწერილი იყო: „აზერბაიჯანის სსრ-ის რევკომისაგან ამხ. ს.ორჯონიკიძეს ტფილისის აღებისათვის 25 თებერვალი 1921 წ.“.

არსებობს ცნობა, რომ „ორდენს წარწერით „ტფილისის აღებისათვის“

სათუთად ინახავდა მისი მფლობელი, ხშირად წაუკითხავს ორდენზე ამოკვეთილი წარწერა, მაგრამ საწინააღმდეგო აზრი არასოდეს გამოუთქვამს. ეს ორდენი ორჯონიკიძის გარდაცვალებიდან 16 წლის შემდეგ, 1953 წელს, მისმა ოჯახმა გადასცა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ცენტრალურ მუზეუმს" (24).

აზერბაიჯანის სსრ-ის წითელი დროშის ორდენის გარდა, ს.ორჯონიკიძე დაჯილდოებული იყო, აგერთვე, რუსეთის სფსრ-ის წითელი დროშის ორდენითაც (74,51).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ, რუსეთის სფსრ-ის მე-11 წითელი არმიის მხარდამხარ იბრძოდა სიმონ ხმალაძე, შემდგომში ქართული საბჭოთა წითელი დროშისა და შრომის წითელი დროშის ორდენების კავალერი. ოკუპანტებისათვის გაწეული ერთგული სამსახურის სანაცვლოდ, იგი დაჯილდოვდა რუსეთისა და აზერბაიჯანის წითელი დროშის ორდენებით (70,55).

აღსანიშნავია, რომ ქართველი ერის მრავალმა ღირსეულმა წარმომადგენელთა უცხოური ჯილდო მიიღო ნაყოფიერი მეცნიერული, კულტურული და სამოქალაქო საქმიანობის სხვა სფეროებში მიღწეული წარმატებებისათვის.

1970 წელს, ბულგარეთის რესპუბლიკის სახალხო კრების პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით, აკადემიკოსი ნიკო მუსხელიშვილი დაჯილდოდა კირილესა და მეთოდეს I ხარისხის ორდენით (12.22). აქვე უნდა ითქვას, რომ ნ.მუსხელიშვილმა მრავალად დაიმსახურა უცხოური სამეცნიერო ჯილდოებიც.

1987 წლის 6 აპრილს, ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სრულუფლებიანმა ელჩმა მოსკოვში, საპატიო ჯილდო — მეგობრობის ორდენი გადასცა ქართველ ინჟინერ-გეოლოგს გურამ არეშიძეს, რომელიც 1983-1985 წლებში მუშაობდა ლაოსში (19).

1988 წელს, ბასტილიის აღების დღეს — 14 ივლისს, საფრანგეთის რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროს თანამშრომელი — ელენე გრიგოლის ასული წერეთელი, სამსახურში წარჩინებისა და საქველმოქმედო საქმიანობისათვის დააჯილდოეს საპატიო ლეგიონის ორდენით. 1989 წლის 11 იანვარს, ლუვრის სასახლის სალონში, ორი სხვა მინისტრის თანხლებით, მას ეს ჯილდო გადასცა საფრანგეთის ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრმა პიერ ბერეგოუამ (5).

უცხოურ ჯილდოთა ქართველი კავალრების ზემოთმოყვანილი სია, ცხადია, ყოვლისმომცველი არ არის და შევსებას საჭიროებს. მას შეძლებისდაგვარად სრულეყოფთ შემდგომი კვლევა-ძიების დროს.

ამრიგად, ჩვენი წინაპრებისა თუ თანამედროვეთა გარკვეული ნაწილი, სხვადასხვა დროს დაჯილდოდა უცხოური წარჩინების ნიშნებით.

დასკვნა

1. ქართული ფალერისტიკის საკითხები უკანასკნელ დრომდე არ იყო მონოგრაფიულად შესწავლილი და ჩვენი ისტორიოგრაფიის თვთრ ლაქად რჩებოდა.

2. ქართულ ჯილდოთა დაწესების იდეა ჯერ კიდევ XVIII საუკუნის ბოლოს წამოაყენა იოანე ბაგრატიონმა (1768-1830). წარჩინების ეროვნული ნიშნების შემოღების საკუთარი კონცეფცია მან სათანადო ადგილზე, საკმაოდ ერცლად ჩამოაყალიბა „სჯულდებაში" ჩამოთვლილ მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოებრივ რეფორმათა პროექტებს შორის. ამ ფრიად პროგრესული ეროვნული წამოწყების განხორციელება ვერ მოხერხდა, რადგან 1801 წელს ქართლ-კახეთის სამეფომ დაკარგა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და რუსეთის იმპერიის შემადგენელ ნაწილად იქცა.

3. არსებობს ცნობა, რომლის თანახმადაც პრუსიის მონარქს ფრიდრიხ მეორეს ხოტბა შეუსხამს ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე მეორისათვის. არის ვარაუდი, რომ ერეკლე მეფის ხოტბა ფრიდრიხ მეორის ბრძანებით მოჭრილ მედალზეც არის დაფიქსირებული. ასეთი მედალი ჯერჯერობით, მიუკვლეველია. თუმცა მისი არსებობის ფაქტი ვაზეთ „ივერიაში" 1902 წელს გამოქვეყნებული ერთი ცნობით დასტურდება.

4. რუსეთის იმპერიის რამდენიმე მედლის მოჭრის ფაქტი საქართველოსთან არის დაკავშირებული. ეს მედლები მოჭრა: 1. 1783 წლის 24 ივლისის ვეორგიევსკის ტრაქტატის დადების აღსანიშნავად; 2. თბილისის ქართულ ზარაფხანის ამოქმედების (1804 წლის 15 სექტემბერი) გამო; 3. ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლის (1801 წლის 12 სექტემბერი) მე-100 წლისთავზე თბილისში გახსნილ სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო გამოფენასთან (1901 წ.) დაკავშირებით.

5. პირველი მსოფლიო ომის დროს, გერმანიისა და მისი მოკავშირეების მხარდამხარ მებრძოლ ქართულ ლეგიონში. რომელიც დაბანაკებული იყო ოსმალეთში, ისტორიული ჰანეთის ტერიტორიაზე, 1915 წელს დაწესდა თამარ მეფის ორდენი. ცნობილია I, II და III ხარისხის თამარ მეფის ორდენები. აქედან I და II ხარისხის ორდენები ბერლინშია დამზადებული, ხოლო III ხარისხისა, როგორც ჩანს — საქართველოში. აღნიშნული ორდენებით ჯილდოვდებოდნენ ისინიც, ვინც არ შედიოდნენ ქართულ ლეგიონში, მაგრამ რაიმე სერიოზულ სამსახურს გაუწევდნენ გერმანულ-ქართულ სამხედრო-პოლიტიკურ ალიანსს. ამ ორდენით ჯილდოვდებოდნენ 1918 წლამდე. 1941 წელს თამარ მეფის ორდენი აღადგინა გერმანიის გენერალური შტაბის სამხედრო მრჩეველმა პოლკოვნიკმა შალვა მაღლაკელიძემ. თამარ მეფის ორდენის დაწესებისა და არსებობის ისტორია გადაჯაჭვულია პირველ მსოფლიო ომში გერმანიის მხარეზე მებრძოლი საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტისა და ქართული ლეგიონის ისტორიასთან, ხოლო ამ ჯილდოს აღდგენის ფაქტი 1941 წელს — უკავშირდება მეორე მსოფლიო ომში ასევე გერმანელთა მხარდამხარ მებრძოლ ქართველ მხედართა ისტორიას. ხსენებული წარჩინების

ნიშნების კავალერთა შორის არიან, როგორც გერმანელები, ასევე ქართველები. აქედან გამომდინარე, თამარ მეფის ორდენი არსებითად გერმანულ-ქართული სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის ჯილდოა, თუმცა, ამავე დროს, იგი პირველ ქართულ ორდენადაც შეიძლება ჩაითვალოს.

6. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის, ისევე, როგორც მანამდე არსებული ამიერკავკასიის კომისარიატისა და სეიმის არსებობის ხანაში, სახელმწიფო ჯილდოთა როლს ასრულებდა რუსეთის საიმპერიო წარჩინების ნიშნები — გიორგის ჯვრები. ისინი გაიცემოდა მხედრული მამაცობისა თუ საბრძოლო დამსახურებისათვის.

7. საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას, თავისი არსებობის პირველ ხანებში გააჩნდა საკუთარი სახელმწიფო ჯილდოები: წითელი დროშისა და შრომის წითელი დროშის ორდენები. პირველი ორდენით აჯილდოებდნენ 1921-1924 წლებში, ხოლო მეორე ორდენით— 1928-1936 წლებში. ამ წარჩინების ნიშნებით დაჯილდოების შეწყვეტის შემდეგ, საქართველოს სახელმწიფო ჯილდოთა როლს, თითქმის სსრ კავშირის დაშლამდე ასრულებდა საერთო-საკავშირო ორდენები და მედლები. რომლებითაც მრავალი ქართველია დაჯილდოებული. რამდენიმე საკავშირო ჯილდოზე გამოსახულია გენერალისიმუს ი. ბ. სტალინის პორტრეტი. ამასთანავე, 1943 წელს ადგილი ჰქონდა გენერალ პეტრე ბაგრატიონის, ხოლო 1947 წელს — გენერალისიმუს სტალინის ორდენისა და მედლის დაწესების ცდას.

8. 1991 წელს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ სცადა შემოეღო სახელმწიფო ჯილდოები, რაც იმხანად ვერ მოხერხდა. ამის მიუხედავად, მაშინ შემუშავებულ და სახელმწიფო ჯილდოების დაწესებასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო დოკუმენტებს თავიანთი მნიშვნელობა აქვს ქართული ფალერისტიკისათვის.

9. 1992 წლის 24 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოების დაწესების შესახებ". რომლითაც დაწესდა: დავით აღმაშენებლის, ვახტანგ გორგასლის (I, II და III ხარისხის), ღირსების ორდენები და მედლები: „მხედრული მამაცობისათვის", „საბრძოლო დამსახურებისათვის", აგრეთვე. ღირსების მედალი. ამით კვლავ აღდგა საქართველოში საკუთარი სახელმწიფო ჯილდოების ტრადიცია, რაც უდაოდ დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა.

10. 1921 წლიდან ემიგრაციაში გახიზნული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილებით, 1921-33 წლების პერიოდში, პარიზში შემუშავებულ იქნა პროექტი ორდენისა „საქართველოს თავისუფლებისათვის", რომელიც ვერ განხორციელდა. ამის მიუხედავად, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის მებრძოლ უცხოელთა დასაჯილდოებლად საგანგებო ორდენის დაწესების ცდა ჩვენი საუკუნის ოცდან-ოცდაათიანი წლების პარიზში — მეტად საგულისხმო ისტორიული ფაქტია ქართული ჯილდოთმცოდნეობისათვის.

11. 1954 წელს, ორგანიზაციამ „ქართველ მხედართა დარაზმულობა უცხოეთში“, რომელსაც სათავეში ედგა ჯერ გენერალი შალვა მაღლაკელიძე, ხოლო შემდეგ მისი ეაჟი გაიოზ მაღლაკელიძე, შეიმუშავა ეროვნული სამხედრო ჯილდოთა, კერძოდ, დავით აღმაშენებლის ორდენის, აგრეთვე, წმინდა გიორგისა და ქართული ლეგიონის მედლების პროექტები. მართალია, ისინი არ დამზადებულა, მაგრამ ქართულ ჯილდოთა შემოღების ცდა, ოთხი ათეული წლის წინ, გერმანიის ქალაქ მიუნხენში — ფრიად საყურადღებო ფალერისტიკულ ფაქტად რჩება.

12. ჩვენი წინაპრებისა თუ თანამედროვეთა გარკვეული ნაწილი სხვადასხვა დროს დაჯილდოვდა უცხოური წარჩინების ნიშნებით. მათ მიერ მუყაითი შრომის, სისხლისა თუ სიცოცხლის ფასად მოპოებული უცხოური ჯილდოები (იშვიათი გამონაკლისის გარდა), ამავე დროს, მთელი ქართველი ერის წმიდათაწმიდა საკუთრებაა.

13. ქართული ფალერისტიკის საკითხების მონოგრაფიული შესწავლის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართველებს გაგვაჩნია საკუთარი წარჩინების ნიშნების გარკვეული ტრადიცია. აგასთანავე, XVIII საუკუნის მიწურულიდან მოყოლებული, საქართველოში, თუ მის ფარგლებს გარეთ, არაერთხელ ჰქონდა ადგილი ქართულ ჯილდოთა დაწესების ცდას.

ГРУЗИНСКАЯ ФАЛЕРИСТИКА
(Очерки из истории грузинских наград)

РЕЗЮМЕ

Вопросы грузинской фалеристики до сегодняшнего дня не были монографически изучены. Данный труд представляет собой первую попытку монографически исследовать вопросы грузинской фалеристики.

Труд создан на основе изучения памятников и их проектов грузинской фалеристики, использована соответствующая грузинская и иностранная литература, источники, а также архивные материалы.

Вместе коренными вопросами в книге рассмотрены некоторые детали, которые боле или менее связаны с историей грузинской фалеристики.

Монография состоит из введений, четырех глав и заключительной части.

I глава состоит из трех параграфов. В I параграфе изучена концепция Иоана Багратиони об установлении грузинских наград.

Идея установления грузинских знаков отличия была выдвинута еще в конце X\III века сыном последнего царя Картли и Кахети Георгием XII. Иоаном Багратиони (1768-1830). Концепцию введения национальных наград он подробно рассмотрел наряду с проектами государственных реформ, для осуществления которых автор предполагал модернизацию и европеизацию царского государственного строя. Однако это - прогрессивное начинание не удалось осуществить, так как в 1801 году Картл-Кахетинское царство потеряло независимость и стало составной частью Российской империи.

Во II параграфе дается справка, по которой монарх пруссии Фридрих II (1722-1786) воздал хвалу Ираклию II (1720-1798). Существует предположение, что этот дифирамб, по приказу Фридриха II, значится на одной из медалей. Такая медаль пока не найдена, но факт ее существования подтверждается.

В III параграфе рассмотрены некоторые медали Российской империи, факт выпуска которых связан с Грузией. Эти медали выпущены: I. В знак подписания Георгиевского трактата (24 июля 1783 года); 2. В связи с вводом Тбилисского монетного двора (15 сентября 1804 г.); 3. В связи со столетием присоединения Грузии к Росийсской империи (12 сентября 1801

г.), когда в Тбилиси октрылась „Кавказская выставка сельского хозяйства и промышленности" (1901 г.).

Во второй главе выделены пять параграфов. В I параграфе говорится об ордене царицы Тамары. Он был введен в 1915 году во время первой мировой войны, в которой участвовал и грузинский легион, дислоцированный на территории Турции, недалеко от Трапезунда. Орден царицы Тамары был трех степеней: I, II, III. Ордена I и II степеней были изготовлены в Германии, а орден III степени в Грузии. Этими орденами удостаивались и те, которые не входили в грузинский легион, но оказывали серьезную услугу немецко-грузинскому военно-политическому альянсу. Кавалерами этой награды являются как немцы, так и грузины. Этими орденами награждались вплоть до конца 1918 года. В 1941 году орден царицы Тамары восстановил военный советник германского генерального штаба полковник Шалва Маглакелидзе. Орден царицы Тамары, исходя из истории его установления, существования или восстановления, был наградой немецко-грузинского военно-политического альянса, но этот знак отличия можно считать и первым грузинским орденом.

Во II параграфе отмечено, что во времена существования Закавказского комиссариата, сейма и Грузинской демократической республики, охватывающие период 1917-1921 гг., роль государственных наград выполняли знаки отличия Российской империи георгиевские кресты. Они выдавались за войнскую доблесть и за боевые заслуги.

В III параграфе изучены ордена Грузинской советской социалистической республики: орден Красного Знамени и орден Трудового Красного знамени. После прекращения награждения этими знаками отличия, роль государственных наград Грузии почти до распада СССР выполняли общесоюзные ордена и медали, которыми награждено множество грузин. На нескольких союзных наградах изображен портрет генералиссимуса И.В.Сталина (Джугашвили). В 1943 г. предпринималась попытка учредить орден генерала Петра Багратиони, а в 1947 г. орден и медаль генералиссимуса Сталина.

В IV параграфе представлены разработанные в 1991 году, с целью установления государственных наград Грузии, законодательные документы, имеющие определенное значение для грузинской фалеристики.

В V параграфе изучены современные грузинские государственные награды, которые были учреждены законом, принятым грузинским парламентом от 24 декабря 1992 года. Эти награды: орден Давида Агмашенебели (великого грузинского царя), орден Вахтанга Горгасали (I,II, и III степеней), орден Достоинства и медали: „За Воинскую доблесть", „За боевые заслуги", а также „Медаль Достоинства".

III глава состоит из двух параграфов. В I параграфе рассмотрен проект ордена „За свободу Грузии", который был разработан по решению правительства демократической республики Грузии, бывшем в эмиграции с 1921 года, но этот проект не осуществился.

В II параграфе рассмотрены проекты грузинских военных наград, разработанных в немецком городе Мюнхене в 1954 году организацией „Сплоченность грузинских войнов за рубежом", это: орден Давида Агмашенебели, медали Святого Георгия и Грузинского легиона, но они также не были осуществлены.

В IV главе приводится список грузинских кавалеров зарубежных наград. Показано, что определенная часть грузин в разное время была награждена почетными наградами различных стран мира.

Таким образом, путем монографического исследования вопросов грузинской фалеристики устанавливается, что грузинский народ имеет определенную традицию собственных знаков отличия. При этом, начиная с конца 18 в. в Грузии и за ее пределами не раз имели место попытки учредить грузинские награды.

GEORGIAN PHALERISTICS
(Outlines from the Georgian rewards history)

SUMMARY

The questions of Georgian Phaleristics has never been monographicaly studied yet. This work is the first attempt of such kind. It is based on the rewards examples and their projects. Many materials from archives and other sources from Georgian and foreign literature are incorporated in it.

Alongside with the fundamental questions the certain details more or less associated with the Georgian rewards history are considered.

The monograph consists out of the preface, four chapters and the conclusion.

There are three paragraphs in the first chapter.

The first idea of Georgian rewards establishment, which belongs to Joane Bagrationi is studied in the first paragraph.

The idea of setting up Georgian rewards was raised at the end of the XVIII century by Joane Bagrationi (1768-1830), the son of the last King of Kartli-Kakheti Giorgi XII. The conception of the national rewords was considered together with the projects of the state reforms. The author thought his state's system to be modernized and Europeanized by putting it into practice but this progressive beginning was not realized as the Kingdom of Kartli-Kakheti lost his independence and became the part of the Russian Empire.

According to the information given in the second paragraph the Prussian Monarch Frederik II (1712-1782) said panegiric to Erekle II (1720-1798), the King of Kartli-Kakheti. The panegiric is said to be imprinted on the medal. This medal has not been discovered yet, but such information about its existence is being confirmed.

Some medals of the Russian Empire are studied in the third paragraph, the coinage of which is connected to Georgia.

These medals are coined:

1. In memory with Georgievsk treaty of 1783, July 24;

2. In connection with setting in motion of Tbilisi mint (1804, September 15);

3. In connection with opening of the Agrocultural and Industrial Exhibition in Tbilisi, in 1901, being dadicated to the 100th anniversary of Georgia's unification with Russia.

There are five paragraphs in the second chapter.

The order of Queen Tamar is being explored in the first paragraph. It was founded in 1915, during the world war I, in the Georgian legion, for the warriors fighting side by side with Germany and its alliance. The legion was encamped in the territory of Turkey. The orders of the I, II, III quality were being existed. The orders of the I and II quality were coined in Germany and the orders of the III quality - in Georgia.

Those who did not belong to the Georgian legion but were at the German-Georgian service, many Germans and Georgians were the bearers of the orders. The rewarding with those orders lasted till 1918.

In 1941, a colonel Shalva Maglakelidze - the military counceller of the German General stuff renewed the order of Queen Tamar.

The order of Queen Tamar was the award of German-Georgian military and political alliance, though with this, that reward we can also consider as the first Georgian order.

In the second paragraph it is marked that during 1917-1921 the Russian Empireal military award - the crosses of St. George carried out the role of the governmental award. It was the epoch of Transkaukasian Komisariat, Seim and the Democratic Republic of Georgia.

In the third paragraph the awards of the Georgian Soviet Socialist Republic are explored. They are Order of the Red Banner, and order of the Red Banner of labour. After interrupting of the rewarding with those orders, the awards of all the Union Soviet Socialist republics played the role of the governmantal awards. It nearly lasted till the disintegration of the USSR. On some medals of the USSR is the portrait of generalissimo Stalin. In 1943 - order of general Petre Bagrationi, and 1947 - order and medal Stalin were supposed to be established.

In the fourth paragraph are reflected the documents of 1991, order to establish the state awards of Georgia. These documents ha their certain importance.

Modern Georgian state awards are studied in the fifth paragrap which were founded in 1992 December 24, by the Parliament of Gec gia. They are the orders: of David the Builder (the greatest Georgi King); Vakhtang Gorgasali (I, II, III quality); Honour; the meda "For Military Bravery"; "For Fight Service" and also the "medal Honour".

The third chapter consists of two paragraphs.

In the first paragraph is considered a project of the order "F Georgia's Liberty", which was worked out by the Georgian governma which had been exiled from Georgia in 1921. But the project has nev been implimented.

In the second paragraph the projects the order of David the build and the medals of St. George and the Georgian legion are reflect by the organization "The Soliderity of Georgian fighters in forei countries" (1954, Germany, Munich). These projects were not acco plished.

In the fourth chapter the list of different foreign rewards Georgi cavaliers is given. It is shown that Georgians were awarded with t orders and medals of many abroad countries.

It is proved that the Georgians have their own tradition of awa ing. At the same time, since the end of the XVIII century there we several effords to establish Georgian awards in Georgia and abroad well.

ლიტერატურა

1. ბაბუნაშვილი ზ., კულტურის ორი ტაძარი, თბ. 1981.
2. ბაგრატიონი ი., სჯულდება (ქართლ-კახეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტი), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ივ.სურგულაძემ, თბ., 1957.
3. ბელადის იუბილე, დამოუკიდებელი გაზ. „მოზაიკა“, 1994, №3-5.
4. ბენდიაშვილი ა., ეროვნული საკითხი საქართველოში 1801-1921, თბ., 1980.
5. ბერიძე ლ., ელენე წერეთელი — საპატიო ლეგიონის ორდენის კავალერი, გაზ. „სამშობლო“, 1989, №18.
6. გელოვანი ნ., საქართველოს სამხედრო ავიაციისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ისტორიიდან (1918-1921), თბ., 1994.
7. გიგინეიშვილი ო., ნარკვევები ოსმალეთის ისტორიიდან, თბ. 1982
8. გონიკაშვილი მ., ბაგრატიონთა დასახლება და მოღვაწეობა რუსეთში, თბ., 1986.
9. დუმბაძე მ., ქართლ-კახეთის სახელმწიფოს გაუქმება და რუსეთთან შეერთება, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ. 1973.
10. ესვანჯია ვ., აღიარება, გაზ. „კომუნისტი“, 1990 წლის 9 მაისი.
11. ვაჩნაძე დ., სამშობლოს სამსახურში (მოგონებანი), ნაწ. I, ქართულ-ევროპული ინსტიტუტის ჟურნ. „ევერია“, თბილისი-პარიზი, 1992, №1.
12. ვეკუა ნ., ნიკო მუსხელიშვილი, თბ., 1989.
13. ზაქარიაძე ა., საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1917-1921), პუბლიკაცია მოამზადა გ.შარაძემ, საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-ისტორიული ჟურნ. „მხედარი“, თბ., 1993, №1-2.
14. თევზაძე ვ., ქართველი ოფიცრის ჩანაწერები, „მაცნეს“ ბიბლიოთეკა, ისტორიის სერია, თბ., 1990.
15. იოსებ (ოსიკა) ივანეს ძე ჯანდიერი, ამონაწერი დედის დღიურიდან, კომერციული გაზ. „ექსპრესი“, 1991, №2.
16. კაპანაძე დ., ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969.
17. კვიტაშვილი მ., „თეირანის კონფერენცია“, „ფიქრები საქართველოს მომავალზე“, მასალები ამერიკული დღიურებიდან, გ. გაჩეჩილაძის წინასიტყვაობითა და კომენტარებით, ინგლისურიდან თარგმანი დ. კიზირიასი, თბ., 1991.
18. ლაისტი ა., საქართველოს გული, თბ., 1963.
19. ლაოსის ორდენი ქართველ გეოლოგს, გაზ. „თბილისი“, 1987, №109.
20. ლიონიძე ს., სიტყვა თქმული ერეკლე მეორის დაკრძალვაზე, XVIII საუკუნის ავტობიოგრაფიული ხელნაწერის მიხედვით ტექსტი დაადგინა, ნარკვევი წაუმძღვარა და საძიებლები დაურთო ნ.კანდელაკმა, თბ., 1957.

21. მათიკაშვილი ნ., კვალიაშვილი მ., იუნკრები, „მაცნეს“ (ისტორიის სერია) ბიბლიოთეკა, თბ., 1990.
22. მანჯგალაძე გ., თურქეთის დამპყრობლური პოლიტიკა და ამიერკავკასიის ხალხები პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში, ევროპის ქვეყნების ისტორიის პრობლემები, III, თბ., 1983.
23. მაჭარაშვილი შ., ქართული ორდენები და მედლები მზადდება, გაზ. „აბჯარი“ (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკის“ ჩანართი), 1993, №15.
24. მახარაძე ფ., ორდენი... ტფილისის აღებისათვის, გაზ. „კომუნისტი“, 1989 წლის 12 აგვისტო.
25. მეგრელიძე შ., ჩვენი სახელოვანი სამხედრო წინაპრები, თბ., 1979.
26. ნადარეიშვილი გ., იოანე ბატონიშვილის სჯულდება, ქსე, ტ. 5. თბ., 1980.
27. ნაცელიშვილი პ., ბედნიერი ჭირისუფალი, თბ., 1986.
28. ნაცელიშვილი პ., საქართველოს მიწა. თბ., 1994.
29. ომის გზებზე, წიგნი მეორე, კრებული შეადგინა ზ.ზურაბიანმა, თბ., 1968.
30. პორფილე გორგოშიძე, სათეატრო-სალიტერატურო ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, თბ., 1918. №12.
31. ჟორდანია ნ., ჩემი წარსული, თბ., 1990.
32. სალია კ., საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი პირველი მსოფლიო ომის დროს, ჟურნ. „ბედი ქართლისა“, პარიზი, 1962. № 39-40.
33. სანიკიძე ლ., „მესამე დასის“ საქართველო, თბ., 1989.
34. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VIII, თბ., 1980.
35. საქართველოს ისტორიის ქრონიკები XVII — XIX სს., ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები და განმარტებები დაურთო პროფ. ავთ. იოსელიანმა, თბ., 1980.
36. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1991, № 26.
37. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1992, № 262.
38. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1992, № 263.
39. სცსსა, ფონდი 13, ან. 27, საქ. 4342, ფურც. 2-3.
40. სცსსა, ფონდი 13, ან. 27, საქ. 5439, ფურც. 49-50.
41. სცსსა, ფონდი 13, ან. 27, საქ. 5542, ფურც. 18-19.
42. სვანიძე მ., ქართული ლეგიონი ოსმალეთში პირველი მსოფლიო ომის დროს, გაზ. „სამშობლო“, 1992, № 7-10.
43. სიხარულიძე ე., სიკვდილთა სიკვდილისა დამთრგუნველი, თბ., 1988.
44. სტალინი, ქსე, ტ. 9, თბ., 1985.
45. სურგულაძე ა., სურგულაძე კ., ქართული ლეგიონი თურქეთში, ბათუმი, 1994
46. სურგულაძე ა., ექვთიმე თაყაიშვილი, თბ., 1977.
47. სურმანიძე რ., დაუვიწყარი სახეები, ბათუმი, 1969.

48. უგულავა ი., სარიყამიში, საქართველოს ეროვნული გვარდიის სამხედრო-ისტორიული ჟურნ. „მხედარი“, თბ., 1991, №3.
49. უკედავება, გაზ. „სამშობლო“, 1971, № 6.
50. ფირცხალავა ლ., ისტორიის მეცნიერების შესავალი, თბ., 1995.
51. ქართველები გერმანული დროშის ქვეშ მეორე მსოფლიო ომში, მასალები გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ვ. რცხილაძემ, თბ., 1994.
52. ქართველი იუნკერი — საფრანგეთის გმირი, საქართველოს ეროვნული გვარდიის სამხედრო-ისტორიული ჟურნ. „მხედარი“, თბ., 1991, № 2.
53. ქართველი ემიგრანტული ლიტერატურა, დაბრუნება, მრავალტომეული, გ. შარაძის საერთო რედაქციით, ტ. III, თბ., 1992.
54. შაორისპირელი ვ. (კობახიძე გ.), პირველი მსოფლიო ომის დროს მოქმედი „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ მოკლე ისტორია, გაზ. „საქართველო“, ბერლინი, 1944, № 109-110.
55. შარაძე გ., თეთრი გიორგი, გაზ. „ახალგაზრდა ივერიელი“, 1990, № 53.
56. შარაძე ვ., მემედ აბაშიძე — თამარ მეფის ორდენის კავალერი, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1994, №2.
57. შარაძე გ., უცხოეთის ცის ქვეშ, წიგნი I, თბ., 1991.
58. შენგელია გ.. ქართული ჯარის ისტორიისათვის, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1994, №56.
59. ცქიტიშვილი ზ., საქართველოს სახელმწიფო მოღვაწენი (მე-18 ს. II ნახევარი — მე-19 ს. დამდეგი), თბ., 1980.
60. წურწუმია მ., გენერალი გიორგი კვინიტაძე, გაზ. „სახალხო განათლება“, 1990 წლის 1 ნოემბერი.
61. ჯავახიშვილი ი., გერმანელები თამარის ორდენს ატარებდნენ, გაზ. „ქართველი ერი“, 1993, №15.
62. ჯავახიშვილი ი., ეროვნული ორდენები, გაზ. „თბილისი“, 1967, №212.
63. ჯავახიშვილი ი., ქართული სამართლის ისტორია, წიგნი I, თბ., 1928.
64. ჯავახიშვილი ნ., მასალები ქართული ფალერისტიკის ისტორიისათვის, ახალგაზრდა ისტორიკოსთა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნ. „არტანუჯი“, თბ., 1994, №1.
65. ჯავახიშვილი ნ., საქართველოს სამეფოს აღდგენის ცდა II მსოფლიო ომის დროს, საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ახალგაზრდა ეროვნულ-დემოკრატის“ ისტორიული კომისიის ჟურნ. „ისტორია“, თბ., 1993, №1.
66. ჯავახიშვილი ნ., ქართული საბრძოლო ორდენები პირველ მსოფლიო ომში, საქართველოს ეროვნული გვარდიის სამხედრო-ისტორიული ჟურნ. „მხედარი“, თბ., 1992, №1.

67. ჯოხაძე დ., გენერალი მაზნიაშვილი, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1992. №30.
68. Всеволодов И.В., Беседы о фалеристике (Из истории наградных систем), Москва, 1990.
69. Государственный ордена Ленина Исторический музей, Русские и советские ордена, Внешторгиздат. изд. 671 р.
70. Дуров В.А., Русские и советские боевые награды, Государственный ордена Ленина Исторический музей, Внешторгиздат, Изд. 471 р, 1990.
71. Жалейко Б.А., Залесский С.А., Орден БСЭ, т. 18, Москва, 1974.
72. Жалейко Б.А., Медаль, БСЭ, т. 15, Москва, 1974.
73. Из истории Грузинских наград, газ. „Свободная Грузия“, 1994, № 3.
74. Колесников Г.А., Рожков А.М., Ордена и Медали СССР, Москва, 1978.
75. Пипия Г.Г., Германский империализм в Закавказье в 1910-1918 гг., Москва. 1978
76. Спасский И.Г Иностранные и русские ордена до 1917 года, Ленинград, 1963.
77. Фенглер Х., Гироу Г Унгер В., Словарь нумизмата, Москва, 1982.
78. Abbot P.E.. Tamplin J.M.A.. British Gallantry Awards. London. 1971.
79. Bihl W.. Die Kaukasus Politik der Mittelmachtet. 1. Wien-Graz. 1975.
80. Brinkmann J.. Orden und Ehrenzeichen des "Dritten Reiches". Munchen. 1975.
81. Chaffanjion A.. Les grands ordres de Chevalerie. Paris. 1969.
82. Dimacopoulos G.D.. Greek orders and Medals. Athenes. 1961.
83. Falkenstein J.von. Imperial Austrain Medals and Decorations. Tucson Arizona. 1972
84. Gillingham H.E.. South American Decorations and War Medals. 1932.
85. Gillingham H.E.. Italian Orders of Chivalry and Medals of Honour. New York. 1939.
86. Gordon L.L., British Battles and Medals, London. 1962.
87. Grove F.W.. Orders Awards and Military Decorations of Mexico. 1974.
88. Hazelton A.W., The Russian imperial Orders, New York. 1932.
89. Klenau A.. Graf. Grosser Deutscher Ordenskatalog. Munchen. 1974.
90. Klietmann K.G., Phaleristik - Rumanien. Berlin, 1975.
91. Lang D.M., War Medals and Paper-Money of Georgia in Transcaucasia (1915-24). Reprinted From the American Numismatic Society Museum Notes VII.

92. Lange K.. Orden und Ehrenzeichen der Deutschen Demokratischen Republic. Drezden, 1964.
93. Mericka V., Faleristik, ein Buch uber Ordenskunde, Prag, Artia, 1976.
94. Mericka V., Orden und Auszeichnungen, Prag. Artia, 1966.
95. Neubecker O., Ordensritterliche Heraldik, Gorlitz, 1940.
96. Risk J.C.. Georgia: Order of Saint Tamara (From the collection of A.A.Miller). The Medal Collector. February. 1952.
97. Svoboda Z.. Vietnamska vyznamenani. Praha, 1965.
98. Werlich R.. Orders and Decorations of all Nations (Ancient and Modern. Civil and Military) Washington, 1973.
99. Werlich R., Russian Orders. Decoratons and Medals, including those of Imperial Russia. The Provisional Governmant and the Soviet Union. Washington. 1968.
100. Werlich R.. Andolenko S.. Badges of Imperial Russia. Military. civil and Religion. Washington. 1973.

ნიკო გიორგის ძე ჯავახიშვილი

ქართული ფალერისტიკა
(ჯილდოთმცოდნეობა)

გამომცემელი ბუბა კუდავა

მხატვრები:
ვახტანგ რურუა,
თამაზ შარიფაშვილი

აიწყო და დაკაბადონდა
გამომცემლობა „დრონის“ კომპიუტერულ ცენტრში,
მერაბ კოსტავის ქ. № 14.